გამოდის ოთხშაბათობით

№32 (296)

# ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

ფასი 1 ლარი

12 – 18 აგვისტო 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## „ჟვანია წყნეთის გზაზე თავისი დაცვის წევრებმა მოკლეს!“



„ერთ-ერთი მოტივი ფოთის პორტი იყო. სააკაშვილს არაბი ინვესტორების მოყვანა უნდოდა, რომლებიც ამ საქმეში 300 მილიონს ჩადებდნენ. ზურა ამას ეწინააღმდეგებოდა, თანაც იცოდა, თუ რა ძალა იდგა ამ არაბების უკან. უსუპოვი ჟვანიას გუნდის წევრი იყო, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ ეს ინვესტიცია კარგს არაფერს მოგვიტანდა... სააკაშვილმა ზურას მოშორების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც კი პრემიერი მოკლეს, ფოთის პორტი ხსენებულ არაბებს გადაეცათ. ინვესტორთა უკან იდგა საკმაოდ ოდიოზური პიროვნება – ადნან ხაშოკი, რომელიც ყველაფერზე იყო წამსვლელი...“

მე-10-11 გვ.

**საბურთალოს ქუჩის არაბული საიდუმლო**

**რატომ იყო ჟვანია რაულ უსუპოვთან ერთად – სკანდალური ინტერვიუ გარდაცვლილი პრემიერის ყოფილ რეფერენტთან**

## „ხალვაშის უკან ოქრუაშვილი, ოქრუაშვილის უკან კი, მოსკოვის „კანტორა“ დგას!“





მე-2-3-4 გვ.

**„რუსთავი 2“-ის სკანდალის უცნობი ვერსია და მილიონერი, რომელსაც კრემლი გზას უსუფთავებს**

## ნინო ბურჯანაძე პარტიის გარეშე რჩება?!



მე-9 გვ.

გოჩა ჯოჯუა: „ლევან ვეფხვაძეს, ვიდრე შემეძლება, პოლიტიკაში არ მოვუშვებ! ვეფხვაძე პოლიტიკაში მოსაშვები არაა და ვფიქრობ, რომ მისი იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. უნდა იგრძნოს, რომ ამორალურად მოქცევა დასჯადია!.. გიორგი ახვლედიანის მოქმედებები და ის ისტერიკა, რომელშიც ჩავარდნილია, მაფიქრებინებს, რომ თავის თავს ვერდიქტი უკვე გამოუტანა...“

## ფრანგული შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

**პრეზიდენტობის ექსკანდიდატი პარიზში, „მშვიდობის კედელზე“ მიზმას აპირებს**

მე-15 გვ.

„საქართველოს ქუთაისური „ჯიგარის“ პრეზიდენტი, რკინის ხელი სჭირდება... ვიქნებოდი უკომპრომისო და ბოროტებას, უკანონობას თავს შევწირავდი! ავაშენებდი ციხე-გემ „ლაზიკას“, სადაც უმსგავსო ხალხს შევყრიდი, ციხე-გემს ფოთის პორტთან ახლოს დავაყენებდი, ხელისუფლებაში პატიოსან ადამიანებს მოვიყვანდი, ქვეყანას ავალორძინებდი, პატიმრებს კი, როცა დაშოშმინდებოდნენ, საქართველოში მერე შემოვუშვებდი...“

**ვინ და რატომ გეგმავს ფოთთან ციხე-გემ „ლაზიკას“ აშენებას**

## „საბანკო სექტორი ყოველგვარი ზეწოლისგან თავისუფალია!“

**ინტერვიუ საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტ ზურაბ გვასალიასთან**

მე-14 გვ.

## „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ მობილობას აცხადებს

**100-ლარიანი სტიპენდია წარჩინებული სტუდენტებისთვის, სწავლის საფასურის ყოველთვიური გადახდა**

მე-13 გვ.

№ 32 (296)
12 – 18 აგვისტო 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## სკანდალური ექსკლუზივი

**ამას წინათ, ერთ ბიზნესმენთან პრივატული საუბარი მქონდა. სიტყვა „რუსთავი 2“-ის გარშემო შექმნილ ვითარებაზე ჩამოვარდა. ბიზნესმენმა, რომელსაც „ნაციონალებმა“ აურაცხელი ქონება წაართვეს, ლოგიკურად და რიტორიკულად იკითხა: „ვერ გავიგე, თუკი სამართალი ქიბარ ხალვაშისთვის არსებობს, ჩემთვის რატომ არ არსებობს? — მთავარ პროკურატურაში განცხადება „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შევიტანე და წართმეულის დაბრუნება კი არა, იმ ადამიანის ქონების დაყადაღება მოვითხოვე, ვინც ჩემი ბიზნესები გადაიფორმა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, დაკითხვაზეც არ დამიბარეს. ხალვაშის განცხადება კი, ორ დღეში დააკმაყოფილეს და „რუსთავი 2“-ის მთელი ქონება დააყადაღეს“. უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკთან, უსაფრთხოების ექსპერტ კონსტანტინე ფორჩხიძესთან საუბარიც, ცხადია, „რუსთავი 2“-ის თემით დავიწყე, თუმცა მანამდე, ქართველმა სპეცსამსახურელმა „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდი გაიხსენა და აღნიშნა, რომ ყველაფერი ძველი სცენარით მიდის. ამასთან, საუბრის დროს, კონსტანტინე ფორჩხიძემ აქცენტი ირაკლი ოქრუაშვილსა და მის ჩრდილოეთურ ბეგრაუნდზეც გააკეთა. საერთოდ, „ქართული სიტყვის“ ტრადიციული რესპონდენტი, რომელსაც ეროვნულ უშიშროებაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და რომელიც, პრაქტიკულად, ერთადერთი ძალოვანი იყო, რომელმაც სამსახურიდან დათხოვის გამო, ვანო მერაბიშვილს უჩივლა, ამბობს, რომ კრემლმა საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყო და ყველაფერს გააკეთებს, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, ამ არეულობაში კი, თავისი ხალხი შემოგვაპაროს...**

# „ხალვაშის უკან ოქრუაშვილი, ოქრუაშვილის უკან კი, მოსკოვის „კანტორა“ დგას!“



**„რუსთავი 2“-ის სკანდალის უცნობი ვერსია და მილიონერი, რომელსაც კრემლი გზას უსუფთავებს**

**— ბატონო კოტე, წეღან, 2001 წლის მოვლენები, ე.წ. მინი რევოლუცია გაიხსენეთ. რატომ?**

— გახსოვთ, მაშინ უშიშროება „რუსთავი 2“-ში შევიდა, რომელსაც მხოლოდ მთავრობის კი არა, ზურაბ ჟვანიას გადადგომა მოჰყვა. ყველაფერი ეს კი, პრაქტიკულად, „ვარდების რევოლუციის“ წინაპირობა გახდა. საერთოდ, მედიაზე ნებისმიერი სახის შეტევა პოლიტიკურ ჭრილში განიხილება და, პირველ რიგში, ასე დასავლეთი განიხილავს, რადგან დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთი რაღაცები წარმოუდგენელია. ვინმეს „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო პოლიტიკა მოსწონს თუ არა, ბევრს არაფერს ნიშნავს. „რუსთავი 2“ კერძო სამართლის იურიდიული პირია და როცა ვიღაც „სამართლიანობის აღდგენის“ კონტექსტში წილების დასაბრუნებლად იბრძვის, ეს ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.

**— ქიბარ ხალვაშს ან, თუნდაც, დვალსა და აქიმიძეს არ აქვთ უფლება, რომ სამართლიანობის აღდგენა მოითხოვონ?**

— თუკი სამართლიანობის აღდგენაზეა ლაპარაკი, მაშინ მოდით, ჯერ ის ვთქვათ, ქიბარ ხალვაში ვინაა და მისი ბეგრაუნდი როგორია.

**— ხალვაში, სხვათა შორის, „ოცნების“ ქობულეთის მაჟორიტარია...**

— სულ არ მაინტერესებს ხალვაში ვისი მაჟორიტარია. ქიბარ ხალვაშის უკან ირაკლი ოქრუაშვილის ინტერესები დგას. ირაკლი ოქრუაშვილის უკან კი, მისივე სიტყვებიდან გამომდინარე, „კანტორა“ დგას და ეს „მოსკოვის კანტორაა“. როგორც კი ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაციის ნიშნები ჩნდება — ლარმა ქვევით ჩამოსვლა დაიწყო, უცებ „რუსთავი 2“-ის თემატიკა ჩნდება... ფარულად, ყველა ეს კავშირი რუსეთში მიდის.

**— ანუ?**

— რუსეთმა, პრაქტიკულად, „სატოპკე აზია“ — ოქრუაშვილ-ხალვაშის გააქტიურება ისევ „ნაცმოძრაობას“ ააყვირებს, მით უმეტეს, რომ „რუსთავი 2“ ამ პოლიტიკური ძალის მიმართ პოლიტიკურ სიმპათიას არ მალავს. ყველაფერი ეს ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ ამას ხელისუფლება ან არ ან ვერ აცნობიერებს. მეტიც, ან ყველაფერს შეგნებულად აკეთებს... კაცო, თუ „ნაცმოძრაობა“ და ამ შემთხვევაში, „რუსთავი 2“ შენს საწინააღმდეგო პიარს აწაროებს, ეს მისი საქმეა და შენც პიარი დაუპირისპირე, თუნდაც იგივე „რუსთავი 2“-ის საშუალებით. რა, „რუსთავი 2“ ხელისუფლებას საშუალებას არ აძლევს, რომ ამა თუ იმ თემაზე საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს, ან რამე განცხადება გააკეთოს?

**— მაშასადამე, ბატონო კოტე, იზიარებთ მოსაზრებას, რომ ხალვაშის უკან ხელისუფლება დგას?**

— ამას ვერ ვიტყვი... ხალვაშის უკან ოქრუაშვილი, ოქრუაშვილის უკან კი, რუსეთის ინტერესებს ვხედავ!

**— ვთქვათ, ასეა, მაგრამ ვერ ვხვდები, კრემლს „რუსთავი 2“-ზე „დარტყმა“ ხელს რატომ აძლევს?**

— რატომ და, — ქვეყანაში დაძაბულობისა და დესტრუქციის შემოსატანად, ანუ ვიღაცები „რუსთავი 2“-ს დაიცავენ, მაგალითად, მამულაშვილმა და უკრაინაში მყოფმა სხვა პირებმა განაცხადეს, ჩამოვალთ და თუ საჭირო იქნება, „რუსთავი 2“-ს გვერდით იარაღითაც დავუდგებითო. იცით, ეს რა არის?

**— რა?**

— რა და, — ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობა, ქვეყანაში დესტაბილიზაციის შემოტანის მცდელობა და მეტი არაფერი.

**— ამ დესტაბილიზაციით ოკუპანტი რა ხეირს ნახავს?**

— რუსეთს თავისი გეოსტრატეგიული გეგმები აქვს გადასაწყვეტი. მას დამოუკიდებელი საქართველო და მის საზღვრებთან ნატო-სა თუ ევროკავშირის მოახლოება ვერ წარმოუდგენია. რუსეთი ბუფერულ ზონას ქმნის, ანუ რუსეთისთვის მთავარია, რომ კავკასიაში, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახით, ბუფერული ზონა შექმნას.

**— ვთქვათ, თუკი საქართველოში სამოქალაქო ომის ნიშნები გამოიკვეთება, ამით ბუფერული ზონა როგორ შეიქმნება?**

— შეეცდება, ამით ისარგებლოს და ხელისუფლებაში თავისთვის სასურველი ხალხი მოიყვანოს, ანუ ხალხს გამოსავალი აღარ ექნება — ისევ „ნაცმოძრაობას“ და იმ რეჟიმს ხომ არ აირჩევს, რომელიც ქვეყანას 9 წელი მართავდა. მოქმედი ხელისუფლება ქვეყანას, პრაქტიკულად, ვერ მართავს და საზოგადოებას პრობლემებს ვერ უგვარებს. ამასობაში, ვიღაც ფულიანი, დაშიფრული ტიპები გამოჩნდებიან...

**— ესე იგი, ბატონო კოტე, ეჭვობთ, რომ „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებული მოვლენები შესაძლოა, სამოქალაქო დაპირისპირების საბაბი გახდეს?**

— შეიძლება, არ გახდეს, მაგრამ ამის უკან რომ რაღაც დგას, ფაქტია და ამის ნიშნებიც ჩანს. სამი წელია, ხელისუფლება შეიცვალა და ქიბარ ხალვაშს სამი წლის შემდეგ გაახსენდა, რომ „რუსთავი 2“-ში წილი აქვს მოსათხოვი?!

**— „ნაციონალები“ ანვითარებენ ვერსიას, რომ „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღება ეროსი კიწმარიშვილის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების გაგრძელებაა, ანუ კიწმარიშვილმა სიმართლე იცოდა...**

— კიწმარიშვილმა ძალიან ბევრი იცოდა, მათ შორის, ისიც, ოქრუაშვილსა და ქიბარ ხალვაშს რა ინტერესები ჰქონდათ... კიწმარიშვილმა ამ მიმართულებით გიგი უგულავას პოლიტიკური ბეგრაუნდიც იცოდა... ამიტომ, კიწმარიშვილი ამ თამაშში პოლიტიკურად შეიძლება, მიუღებელი იყო, მით უმეტეს, რომ პირველი, ვინც „რუსთავი 2“-ის დაბრუნებისთვის ბრძოლას დაიწყებდა, სწორედ ეროსი იქნებოდა...

მოკლედ, „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებული მოვლენები ის ერთი პატარა მარცვალია, რომლისგანაც დიდი რაღაცის გაღვივებას შეეცდებიან. საერთოდ, არ მგონია, რომ ყველაფერი ეს გონიერი ხალხის მიერ იყოს მოფიქრებული. გონიერი ხალხი ცოტა სხვანაირად იქცევა...

**— გამორიცხავთ, რომ ხელისუფლებას დესტრუქციას ხელისუფლებაშივე მყოფი ძალები უწყობდნენ?**

— არა...

**— დამისაბუთეთ, რატომ?**

— ხელისუფლებაში, მინიმუმ, 80 პროცენტი ის დესტრუქციული ელემენტია, ვინც 9 წლის განმავლობაში რეჟიმს ემსახურებოდა, იმ რეჟიმს, რომლის ფარული კვალიც, მეათასედ გავიმეორებ, რუსეთში მიდის.

**— ერთი სიტყვით, ყველაფერი რუსული სცენარია?**

— რა თქმა უნდა. ვანო, ადრეც მითქვამს, რომ „ვარდების რევოლუცია“ და მის შემდეგ განვითარებული მოვლენებიც რუსული სცენარი იყო. ყველაფერს კადრები განსაზღვრავენ: ყველა, ვინც სააკაშვილის გვერდით იყო, რუსეთზე მიბმული აღმოჩნდა — თანაშემწეებიდან დაწყებული რიგითი მინისტრებით დამთავრებული, პრემიერებზე აღარაფერს ვამბობ... იგივე ნოღაიდელი, კეზერაშვილ-იაკობაშვილის ურთიერთობა და, პრაქტიკულად, რა გამოდის? — იმ ხელისუფლებას ფარულად რუსეთი მართავდა. სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძეც „ნაციონალების“ ხელისუფლების წევრი იყო. თუკი პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრები და გენშტაბის უფროსები რუსეთზე იყვნენ მიბმულნი, მაშინ „ნაცმოძრაობა“ რა გამოდის?

**— კოტე ბატონო, ან თემებზე ხშირად გვილაპარაკია, თუმცა ისიც გითქვამთ, რომ დღეს რუსეთისთვის მთავარი ამოცანა საქართველო კი არა, უკრაინაა. სხვათა შორის, სწორედ მაშინ, როცა „რუსთავი 2“-ის გარშემო სკანდალი დაიწყო, ცნობილი გახდა, რომ ოკუპანტებმა სამაჩაბლოში ადმინისტრაციული საზღვარი კიდევ 800 მეტრით გადმოწიეს. პარალელურად, აფხაზეთის რკინიგზის გაწმენდას შეუდგნენ...**

— ვანო, იმ ჯაჭვს გავყვეთ, რომელზეც წინა ინტერვიუებში ვისაუბრეთ...

**— რომელ ჯაჭვს?**

— ადრე ვთქვი, რომ თურქეთი ქურთისტანის საკითხის გადაწყვეტას „აი-სი-სი“-ს პრობლემატიკის გამოყენებით ცდილობს. ამასობაში, თურქეთის პრეზიდენტმა, ერდოღანმა ყირიმელი თათრების კონგრესს პირდაპირი მხარდაჭერა გამოუცხადა, რასაც რუსეთის სერიოზული რეაქცია მოჰყვა.

**— რეაქციაში პუტინის მიერ რუსეთში თურქეთის ელჩის დაბარებას და ამ შეხვედრაზე გაკეთებულ განცხადებებს გულისხმობთ?**

— დიახ. ელჩის დაბარება ერთ-ერთი არამეგობრული დიპლომატიური ნაბიჯია, მით უმეტეს, რომ პუტინი პრეზიდენტ ერდოღანს დაემუქრა, რუსეთი ქურთებს მარტო არ დატოვებს და ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა წინ აღუდგეს ქურთების მუშათა პარტიის წინააღმდეგ მიმართულ ერდოღანის ხელისუფლების ქმედებებს. ასეთი რაღაცები დიპლომატიაში არ ხდება. პუტინი დიპლომატიის ყოველგვარი ჩარჩოდან „ამოვიდა“...

სხვათა შორის, ქურთების მუშათა პარტიას საერთაშორისო თანამეგობრობა ტერორისტულ ორგანიზაციად აღიქვამს და პუტინი ამ ორგანიზაციის დაცვას აპირებს. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ბაქო-ჯეიჰანის გაზსადენზე, ყარსის რეგიონში მომხდარი ინციდენტი. ქურთები კომპაქტურად სწორედ აქ არიან დასახლებულები. მოკლედ, რუსეთი ჩრდილიდან გამოვიდა და ქურთისტანს მხარი ღიად დაუჭირა. ადრე ვთქვი, რომ კრემლი ქურთისტანს მხარს ფარულად ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან უჭერდა, ანუ ახლო აღმოსავლეთში ეს რუსეთის გენერალური ხაზია — მისი

გაგრძელება მე-3 გვ.

## სკანდალური ექსკლუზივი



„ვარდების რევოლუცია“ და მის შემდეგ განვითარებული მოვლენებიც რუსული სცენარი იყო. ყველაფერს კადრები განსაზღვრავენ: ყველა, ვინც სააკაშვილის გვერდით იყო, რუსეთზე მიბმული აღმოჩნდა – თანაშემწეებიდან დაწყებული რიგითი მინისტრებით დამთავრებული, პრემიერებზე აღარაფერს ვამბობ... იგივე ნოღაიდელი, კეზერაშვილ-იაკობაშვილის ურთიერთობა და, პრაქტიკულად, რა გამოდის? – იმ ხელისუფლებას ფარულად რუსეთი მართავდა. სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძეც „ნაციონალების“ ხელისუფლების წევრი იყო. თუკი პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრები და გენშტაბის უფროსები რუსეთზე იყვნენ მიბმულნი, მაშინ „ნაცმოძრაობა“ რა გამოდის?“

მე-2 გვერდიდან

იდეაა, რომ ქურთისტანის რესპუბლიკა აღადგინოს და ეს მისთვის უდიდესი დასაყრდენი იქნება, მით უმეტეს, თუკი ქურთებისა და სომხების ურთიერთობას გავითვალისწინებთ.

**– ეს რაღა შუაშია?**

– ქურთებსა და სომხებს, ტრადიციულად, კარგი ურთიერთობა აქვთ და თუკი აღდგა ქურთისტანის რესპუბლიკა, პრაქტიკულად, სომხეთის მეზობელი იქნება და ამით რუსეთი თავის პოლიტიკურ არეალს გაიფართოვებს. ქურთისტანი ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გზაჯვარედინია. ახლო აღმოსავლეთში საქართველოც მოიაზრება და ყველა ნაბიჯი, რომელსაც რუსეთი დგამს, იგივე ემბარგოსთან დაკავშირებული განცხადებები, პატარ-პატარა პასუხებია. ყველაფერ ამას წინასწარ ვერ ვთვლით, არადა, შეგვიძლია, რუსეთს ამ ნაბიჯების გადადგმის საშუალება არ დავუტოვოთ და ჩიხში არ შეგვიყვანოს. ვხედავთ, რომ ამ ჩიხისკენ მივჩოჩავთ...

სხვათა შორის, ონიშენკოს მიერ სასოფლიო-სამეურნეო პროდუქტებზე ემბარგოს დაწესებაზე გაკეთებული განცხადებით, ამ სანქციებში რამდენიმე მსხვილი კომპანია მოხვდა. ყველაფერ ამას რუსეთის პრეზიდენტი „დომაშნი ზაგატოვკებს“ ეძახის. მოკლედ, ონიშენკოს განცხადება ევროკავშირის რუსეთისადმი დაწესებულ სანქციებზე საქართველოს მიერთების პასუხია...

**– ისე, ჩვენმა პრემიერმა განაცხადა, რომ ამ სანქციებზე მიერთების მომხრე არაა...**

– პრემიერმა ამას საქართველოს მტრების მიერ ძალით ატეხილი სკანდალი თუ რაღაც ასეთი უწოდა, ამ თემას პოლიტიკური წრეები საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების რუსეთთან პოლიტიკის შესარყევად იყენებენო. ბატონო ირაკლი, თუკი ასეა, მაშინ ყველაფერი ეს ქვეყნის ძირგამომთხრელი საქმიანობის ნიშნებს ატარებს და რას აკეთებს ხელისუფლება ამდაგვარი გამოწვევების დროულად გამოსავლენად და ალსაკვეთად, ქართველი გლეხის ინტერესების დასაცავად, რომელიც, პრაქტიკულად, რუსეთის ბაზარზეა დამოკიდებული?

**– ბატონო კოტე, არ დაგავიწყდეთ, რომ ასოცირების ხელშეკრულება ხელმოწერილია და ევროპული ბაზარიც გვაქვს...**

– დიახ, მაგრამ ჩვენი საქონელი ევროპული ბაზრისთვის არაკონკურენტუნარიანია და ვიდრე ჩვენი პროდუქტი ევროპულ




„არ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე არსებული პარტიის დაფინანსება დაიწყონ... მოკლედ, არჩევნების წინ გამოჩნდება ძალა, რომელსაც ძალიან დიდი ფული ექნება და რუსეთი იმ ამოცანას გადაწყვეტს, რისი გადაწყვეტაც უნდა. არ ვამბობ, რომ რუსეთი აქცენტს ბურჯანაძეზე გააკეთებს. საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში სრულიად ახალი ტიპები უცებ გაჩნდებიან...“

ბაზარზე მოხვდება, ხელისუფლებამ მრავალი რამ უნდა გააკეთოს, რათა ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტანდარტები დაკმაყოფილდეს. ეს არაა გაკეთებული, ამასობაში, შემოდგომა მოდის, გლეხი პროდუქტს რუსეთში ვერ გაიტანს, თუკი ხელისუფლებაც ვერ შეისყიდის და ჩაწვება, ეს უკმაყოფილების კიდევ ერთი საბაბი გახდება...

საერთოდ, რუსეთს თაფლაკვერისა და მათრახის პოლიტიკა აქვს.

**– ეს რაღას ნიშნავს?**

– მაგალითად, კარასინის შემთხვევაში, თაფლაკვერის პოლიტიკას იყენებს, ფარულად კი, მათრახს გვირტყამს, უფრო სწორად, ჩვენს ხელისუფლებას ურტყამს.

**– ე.წ. მათრახის პოლიტიკის მიზანი რა არის?**

– რა და, – რაზეც წეღან ვილაპარაკეთ: ქვეყანა ნელ-ნელა დესტრუქციასა თუ დესტაბილიზაციაში ჩაითრიოს, რაც არჩევნებამდე უნდა მოხდეს, რათა გზა იმ პოლიტიკურ, ანუ თავის ძალებს გაუხსნას, რომელთაც საქართველოს მომავალი რუსეთთან ურთიერთობის პრიზმაში წარმოუდგენიათ.

**– მაშასადამე, ამ ორომტრიალში ახალი ტიპი გამოჩნდება, რომელსაც ახალ მესიად შევრაცხავთ?**

– სამწუხაროდ, მესიანიზმი გვჩვევია. ვიდრე საქართველოში ეს მესიანიზმი არ მოკვდება და იმაზე ლაპარაკი არ დაიწყება, რომ საზოგადოებამ თავის წიაღში მოძებნოს ადამიანი, ვისაც ენდობა და ქვეყანას ანდობს, მუდმივად იმ წრეზე ვიტრიალებთ, რომელზეც ლამის 25 წელია, ვტრიალებთ!

რაც შეეხება აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის გაწმენდას, ნახეთ, როგორაა: რუსეთი ამ ნაბიჯებს თვითონ კი არ დგამს, არამედ, განცხადება დე ფაქტო აფხაზეთის, თუ არ ვცდები, რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელს გააკეთებინა.

**– ობივატელმა შეიძლება, იკითხოს, რკინიგზის გაწმენდაში ცუდი რა არის?**

– აგიხსნით, ცუდი რატომაცაა: რკინიგზას დე ფაქტო ე.წ. სახელმწიფო სტრუქტურები კი არა, რუსეთის შეიარაღებული ძალების საინჟინრო ქვედანაყოფები წმენდენ. ყველაფერი ეს კი, საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედებს, რომელიც მუდამ, კარასინის ფორმატის გამო, თავის მართლების რეჟიმშია. რუსეთს ასეთი პიარი აწყობს და ისე წარმოაჩენს, რომ ჩვენი ხელისუფლება კრემლთან, აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე თითქოს რაღაც ფარულ გარიგებებს აწარმოებს. სინამდვილეში კი, ეს ისევ „ნაცმოძრაობისთვის“ აწეული „სატოპკეა“, რომელიც „ნაციონალებს“ საშუალებას აძლევს, ამ თემაზე მუდმივი დისკუსია ჰქონდეს და ამით ხელისუფლების თითქოს პრორუსული განწყობების გამოაშკარავების კამპანიას განაგრძობს. ყველაფერ ამის ამოცანა სწორედ ესაა და მეტი არაფერი.

**– ერთი სიტყვით, ბატონო კონსტანტინე, ამბობთ, რომ „ნაცმოძრაობასა“ და რუსეთის პოლიტიკურ წრეებს შორის ფარული გარიგება არსებობს?**

– დიახ, არსებობს. რუსეთმა იცის, რომ „ნაცმოძრაობა“ ლამის გასამხედროებული პარტიული სტრუქტურაა.

**– ეს რა შუაშია?**

– „ნაცმოძრაობის“ ელიტა შეიძლება, ვერ ხვდება და თვლის, რომ შექმნილ სიტუაციას თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს, მაგრამ სინამდვილეში, ამით რუსულ ინტერესებს ემსახურება, თუმცა „ნაცმოძრაობაში“ არიან ადამიანები, რომლებიც სხვანაირად იქცევიან. მაგალითად, გიგა ბოკერიას განცხადებებს თუ დააკვირდებით, საკმაოდ ზომიერია და აქცენტს მაინც დასავლეთზე აკეთებს. ზოგიერთი ლიდერის განცხადება კი, პირდაპირ რუსულ ინტერესებს ემსახურება.

**– და ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?**

– ხელისუფლება დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობს – ლარის, საკადრო და სხვა პრობლემები აქვს, რომელთა მოგვარების პროცესში შორს არ იყურება და იმაზე აღარ ფიქრობს, თუნდაც შიდა პოლიტიკურ საფრთხეებს როგორ აღუდგეს. მაგალითად, რა საჭირო იყო „რუსთავი 2“-ის თემის შემოტანა...

**– ხელისუფლება ამბობს, მე რა შუაში ვარ, ეს კერძო დავაა და ყოფილი მეწილე თავისი წილის დაბრუნებას ითხოვსო...**

– კი ბატონო, მაგრამ ისიც უნდა თქვას, რომ ამ ყოფილი მეწილის უკან ვიღაცის, შესაძლოა, რუსული ინტერესები დგასო. ნახევრად ნათქვამი სიმართლე სიმართლე არაა და თუკი სიმართლეს ამბობ, ბოლომდე უნდა თქვა. შედეგი სწორედ ამას ექნება, თორემ ნახევარი სიმართლე ცუდად ისევ შენ დაგიბრუნდება. სხვათა შორის, ამის გაცნობიერების მომენტი გაჩნდა და პრემიერის განცხადებაც ამას მიანიშნებდა.

**– რომელი განცხადება?**

– ყველაფერი გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა შეიძლება, დესტრუქციისთვის გამოიყენონო, მაგრამ მთავრობა რომ ხარ, რას აკეთებ, რომ პატარ-პატარა პრობლემები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, დიდ პრობლემას ქმნიან, თავიდანვე აღკვეთო?

**– მოკლედ, „რუსთავი 2“-ის, ლარის და სხვა პატარ-პატარა პრობლემები ყურადღების გადატანას ემსახურება და ამასობაში, კრემლი სხვა, უფრო დიდ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, არა?**

– რა თქმა უნდა.

**– ეს „სხვა, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი“ საქმე რა არის?**

– რუსეთს აქვს ინტერესი, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება არ დაუშვას.

**– თუკი შეიქმნება ილუზია, რომ საქართველოში მედიაზე ზეწოლა ხდება, მაპი ისევ „შორს, ბუზისტოლად“ დარჩება?**

– დიახ. დააკვირდით, პედალირება ისეთ თემებზე ხდება, რომლებიც დემოკრატიის პრობლემებს წარმოაჩენს. ეს საშიშია.

**– სხვათა შორის, 2007 წლის 7 ნოემბერი ბუქარესტის სამიტს უსწრებდა და მაშინაც გამოითქვა ვარაუდი, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, მაპი-ს არმოცემას ემსახურებოდა...**

– მაშინაც ყველაფერი სპეციალურად მოხდა. 7 ნოემბერს კი, აგვისტოს ომი მოჰყვა. არადა, ნატო-სთან ისე ახლოს, როგორც ბუქარესტის სამიტის წინ ვიყავით, არასოდეს ვყოფილვართ და ყველაფერი ეს რომ არ ყოფილიყო, მაპი არა, მაგრამ ნატო-სთან ურთიერთობის შესაძლოა, მეტი წელი მოგვეგო, მაგრამ მიშა ხალხს დაერია და დედა უტირა...

**– კოტე ბატონო, წეღან თქვით, ლამის 25 წელია, ერთ წრეზე ვტრიალებთო. რომელიმე ხელისუფლება შეცდომებზე რატომ არ სწავლობს და სტრატეგიას რატომ არ ცვლის?**

– იმიტომ, რომ ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება კი, აბსოლუტურად რყვნის! მითქვამს და ვიმეორებ, სისტემა არ შეცვლილა! ასევე, არ შეცვლილა დამოკიდებულება ხალხსა და პროფესიონალების მიმართ. ინერციით იგივე გრძელდება, რაც „ნაცმოძრაობის“ დროს იყო: მაშინაც კლანური მმართველობის პრინციპი იყო

გაგრძელება მე-4 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## სკანდალური ექსკლუზივი

**„რკინიგზას დე ფაქტო ე.წ. სახელმწიფო სტრუქტურები კი არა, რუსეთის შეიარაღებული ძალების საინჟინრო ქვედანაყოფები წმენდენ. ყველაფერი ეს კი, საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედებს, რომელიც მუდამ, კარასინის ფორმატის გამო, თავის მართლების რეჟიმშია. რუსეთს ასეთი პიარი აწყობს და ისე წარმოაჩენს, რომ ჩვენი ხელისუფლება კრემლთან, აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე თითქოს რაღაც ფარულ გარიგებებს აწარმოებს. სინამდვილეში კი, ეს ისევ „ნაცმოძრაობისთვის“ აწეული „სატოპკეა“, რომელიც „ნაციონალებს“ საშუალებას აძლევს, ამ თემაზე მუდმივი დისკუსია ჰქონდეს და ამით ხელისუფლების თითქოს პრორუსული განწყობების გამოაშკარავების კამპანიას განაგრძობს. ყველაფერ ამის ამოცანა სწორედ ესაა და მეტი არაფერი“.**

მე-3 გვერდიდან

და ახლაც; მაშინაც აქცენტი გამოუცდელ ახალგაზრდებზე კეთდებოდა და დღესაც. ახალგაზრდების წინააღმდეგი არ ვარ — ახალგაზრდა მეც ვიყავი და თანამდებობაც მქონდა, მაგრამ ამას, დღევანდელი გადასახედიდან, ცუდის მეტი არაფერი მოუტანია.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ თანამდებობა ამბიციას აჩენს, მით უმეტეს, ძალოვან სტრუქტურებში. ყველამ მაპატიოს და შეურაცხყოფად არ მიიღოს. ყველა საფეხურის გავლა გამოცდილებას გაძლევს და როცა გამოუცდელს ამხელა ძალაუფლებას ანდობ, იმის გარანტიაც უნდა არსებობდეს, რომ ყველა გამოწვევას და საფრთხეს ადექვატურად უპასუხებს. ბიძინა ივანიშვილს შეიძლება, დროც არ ჰქონდა, რომ გამოცდილი კადრები შეერჩია... რას ჰქვია, 29 წლის ადამიანი რაიონის პროკურორად დაინიშნოს და ეს მაშინ, როცა საქართველოში პროკურატურის ასები გვყავს. დავიჯერო, პატიოსანი და ნორმალური პროფესიონალები არ არიან, ვისაც შეიძლება, თანამდებობა ანდო? კი ბატონო, ახალგაზრდაც მიიყვანე, მაგრამ ყველა საფეხური გაატარე და თანამდებობა მერე მიეცი!

**— ვერ ვიტყვით, რომ დღევანდელი მინისტრთა კაბინეტი, როგორც მიშას დროს იყო, ძალიან ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული...**

— საქმეს, როგორც წესი, ქვედა რგოლები აკეთებენ. მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა. პოლიტიკურ ფიგურებზე კი არა, საჯარო მოხელეებზე ვსაუბრობ, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს ქმნიან. თუკი, ვთქვათ, საშუალო რგოლის ძალოვანმა ქვეყანაში ოპერატიული ვითარება არ შეისწავლა და ანალიზი არ გააკეთა, მინისტრმა რა გააკეთოს? თუ საშუალო რგოლი მინისტრს იმ სურათს მიაწვდის, რაც ქვეყანაში არსებულ ოპერატიულ ვითარებას რეალურად არ შეესაბამება, იმ შედეგს მიიღებ, რაც დღეს გვაქვს. ყველაფერ ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ქვეყანა მაწუხებს და მინდა, სტაბილურ სახელმწიფოში ვიცხოვრო, მაგრამ ამ სტაბილურობას 25 წელია, ვერ მივაღწიეთ, რადგან ამდენი ხანია, ერთი და იგივე პოლიტიკა გრძელდება — ის ამის მეგობარია, ეს იმის თანაკლასელია. კი ბატონო, შეიძლება, შენი თანაკლასელი კარგი ადამიანია, მაგრამ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება აქვს?

**— შეიძლება, არ აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, ერთგულია!**

— ერთგულება საქმესა და პროფესიონალიზმიდან მოდის, ანუ როცა საქმეში დაინახავ, რომ ადამიანს კარიერული ზრდის შესაძლებლობა და საკუთარ შრომაში კარგი ანაზღაურების მიღების საშუალება აქვს, ერთგულებაც გაჩნდება. ჩემს ყველა თანაკლასელსა და უნივერსიტეტის მეგობარს ვენაცვალე, მაგრამ ჩვენი გზები გაიყო და მათ ბეგრაუნდზე პასუხისმგებლობა როგორ ავიღო?

მოკლედ, აქცენტი ისევ „ნაცმოძრაობის“ კადრებზე კეთდება და ეს ამორალურია!

**— კონკრეტულად?**

— მაგალითად, ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტში ბენდელიანი მოიყვანეს, რომელიც თავის დროზე საკრებულოს წევრი „ნაცმოძრაობიდან“ გახდა. შე მამაცხონებულო, თუკი „ნაცმოძრაობის“ კადრები გინდოდა, თავიდანვე გეთქვა, ხელისუფლება არ შეგვიცვლიაო.

**— ბატონო კოტე, ასეთი მიდგომა არ შეიძლება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ 10 წელი ამ ქვეყანას „ნაცმოძრაობა“ მართავდა და, მეორეც, ადამიანებს პოლიტიკური გემოვნება გვეცვლება...**

— გასაგებია, მაგრამ ამდენ ვეტერანში ისეთი ვერავინ მოძებნე, ვინც საჯარო მოხელის პირობებს აკმაყოფილებს?

**— ხომ შეიძლება, ადამიანებმა მოინანიეს, რომ უწინ „ნაციონალები“ იყვნენ?**

— რა მოინანიეს? — მამაოსთან მივიდნენ და აღსარება ჩააბარეს თუ ვერ გავიგე?! ბენდელიანი ვეტერანთა დეპარტამენტში რეგიონებს ხელმძღვანელობს, ანუ რეგიონებში მისი წინადადების გარეშე ვერავინ დაინიშნება. ვერ გავიგე, რა ხდება?! რომელ რევოლუციურ ცვლილებებზე ლაპარაკობენ?! ერთადერთი კარგი, რაც მოხდა, შსს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების გაყოფაა.

**— ისე, ელოდით, რომ შს მინისტრი მღებრიშვილი გახდებოდა?**

— ამით საერთო კონფიგურაცია დალაგდა.

**— ანუ?**

— მღებრიშვილი პრემიერის კადრია და, როგორც ვიცი, შსს-ს ბეგრაუნდი არ აქვს. პოლიტიკური ფიგურა ასეთიც უნდა იყოს... მინისტრის მოადგილეობა მხოლოდ ყავის დალევა, „ბორჯომის“ გახსნა და კარგი მანქანით სიარული არაა. ის ადამიანები, ვინც ასები არიან და ქილიკით შემოგხედავენ, ასეთ მინისტრის მოადგილეობას მირჩევია, ისევ რიგითი ოპერატიული თანამშრომელი ვიყო. ახალგაზრდა კადრების დანიშვნა 90-იანი წლებიდან დაიწყო — გია ყარყარაშვილი თავდაცვის მინისტრი რომ გახდა, 26 წლის იყო...

**— დავით აღმაშენებლი 16 წლის გამეფდა...**

— დღევანდელობას დავითის ეპოქას ნუ შევადარებთ... მოკლედ, თანამდებობაზე დანიშვნით ახალგაზრდებს ვღუპავთ.

**— რატომ?**

— ყოფილა შემთხვევა, ადამიანს უთქვამს, 30 წლის ასაკში მინისტრის მოადგილე ვიყავი და ახლა, უბრალო სამსახურში ხომ არ წავალო?! ყველაფერი ეს კი, კორუფციას აჩენს...

**— ბატონო კონსტანტინე, დღევანდელი საუბრის რეზიუმე რომ გავაკეთოთ, სექტემბერში, როცა ხალხი თბილისში დაბრუნდება, რა მოხდება?**

— ადრეც ვთქვი, რომ სიტუაცია დაიძაბება. საგარეო ფაქტორებიც იძაბება. ამიტომ, მაქსიმალური ყურადღებაა საჭირო. თემაა საჭირო, რასაც ხალხი მასობრივად აიტაცებს... დესტრუქციის წინააღმდეგ გამკლავება ძალიან რთულია. საჭიროა, მოწყვლადი უბნები და საფრთხეები განისაზღვროს. საამისოდ კი, ძლიერი ანალიტიკური სამსახურია საჭირო, მაგრამ ბავშვებმა რა ანალიტიკური ცნობა უნდა დაწერონ? ადრე, თუკი ადამიანს ოპერატიული გამოცდილება არ ჰქონდა, ანალიტიკურ სამსახურში არ მიჰყავდათ იმიტომ, რომ ანალიტიკური სამსახური ყველა ოპერატიული სამსახურის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას თავს უყრის, აანალიზებს და რისკებსა თუ შესაძლო ძირგამომთხრელი საქმიანობის მოდელებს განსაზღვრავს. პარალელურად, გამოსავალ გზებს სახავს. ანალიტიკური სამსახური, პრაქტიკულად, სპეცსამსახურების მართვის ცენტრია. ამათ კი, ანალიტიკური სამსახური ისე წარმოუდგენიათ, რომ მისი წარმომადგენელი, ვთქვათ ერგნეთში ჩავიდეს, ვიღაცას ხელი ჩამოართვას და მორჩა. აშშ-ზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს, რუსეთის სპეცსამსახურებს შეხედონ, რომლებიც ოპერატიულ კომბინაციებს მსოფლიო მასშტაბით ალაგებენ...

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**
**(თემის გაგრძელება იქნება)**

## სტოპკადრი

## 1 სექტემბრიდან ხორბლის ფქვილის წარმოების, გადამუშავებისა და ბაზარზე განთავსების პირობები იცვლება

**საქართველოს მთავრობის 376 დადგენილებით, 1 სექტემბრიდან „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ ამოქმედდება.**

**დადგენილების თანახმად, ბიზნესოპერატორის მიერ ხორბლის ფქვილის წარმოების, გადამუშავებისა და ბაზარზე განთავსების პირობები იცვლება.**

ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. ტექნიკური რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ბაზარზე განთავსებული ხორბლის ფქვილის ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს „ხორბლის ფქვილი“; ნებისმიერი ინგრედიენტი, რომელიც ემატება ხორბლის ფქვილს, უნდა იყოს უვნებელი; მას არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი და გემო, არ შეიცავდეს ცოცხალ ან მკვდარ მწერებს. ფქვის სიმსხოს მიხედვით ხორბლის ფქვილი იყოფა ექსტრა, უმაღლესი ხარისხის, გამტკიცული, პირველი ხარისხის, მე-2 ხარისხის და ცეხვილ ხორბლის ფქვილად.

ბიზნეს ოპერატორი აგრეთვე ვალდებულია, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნები. მაგალითად, იმპორტის დროს პროდუქტი უნდა იყოს განთავსებული მცენარეთა მავნებლებზე დამუშავებულ ხის პალეტებზე.

მათივე ინფორმაციით, ახალი რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ რბილი ხორბლისა და ქონდარა ხორბლისაგან მიღებულ ფქვილზე ან მათ ნარევზე, რომელიც შეფუთული, დაფასოებული და განთავსებულია ბაზარზე მოხმარებისათვის. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება უშუალოდ ხორბალზე, მანანას ბურღულზე, სახამებელზე ან იმ ხორბლის ფქვილზე, რომელიც გამოიყენება ლუდის წარმოებაში, როგორც დამხმარე საშუალება, ან ხორბლის ფქვილზე, რომელიც



გამოიყენება სახამებლის ან წებოგვარას (გლუტენი) წარმოებისათვის, არასასურსათო დანიშნულების ხორბლის ფქვილზე.

რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე ქვეყნის ფარგლებში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო იმპორტზე ზედამხედველობა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ეკისრება.

**„ინტერპრესნიუსი“**

### ცეკვის ბრწყინვალება მარადიულში წავიდა

წავიდა ჩვენგან იქ, მარადიულში ქართული ცეკვის ბრწყინვალება, უბრწყინვალესი ქალბატონი, გამორჩეული დედა ლალი გელაშვილი.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და ვუსამძიმრებთ ქალბატონ ლალის შვილებს — ნინო და ლაშა გელაშვილებს.

**ჟანსუღ ჩარკვიანი, ირმა ჩხეიძე, თაკო ჩარკვიანი, ჟონი გიგანი**

### ლალი დეიდა...

დღე არ გავიდოდა, რამდენჯერმე არ დაერეკა... ვიდრე ნინო დაელაპარაკებოდა, გამომკითხავდა, როგორ ხართ, ახალი რა არისო, ან შენი წერილი წავიკითხე და მომეწონაო... რამდენჯერმე შინაც ვესტუმრე და გემრიელად გვიმასპინძლა...

ყველაფერი ეს უკვე წარსულია — ლალი დეიდა მარადიულშია...

ნინო, ლაშა, ასეთ დროს დამშვიდება ძნელია... გითანაგრძნობთ...

**ვანო პავლიაშვილი, ზურა მეგრელიშვილი, მარი ჩაგელიშვილი**





ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
12 – 18 აგვისტო 2015
№ 32 (296)
5
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პოეზია

## ვაჟა ფშაველა

# გველისმჭამელი



VII

მთანი ჩამოშრენ. პირ-თავქვე
ქოთით მოდიან ღვარები,
ხევებში ზვავი შათხელდა
ვეშაპის მინაგვარები.
აჩქამდა ბუერაზედა
ანკარა წვიმის ცვარები,
ველებზე ბზინვენ ყვავილნი —
თამარ-დედოფლის თვალები.
კლდის პირზე მოსულს პირი-მზეს
გულ-მკერდში ვენაცვალები!..
მთაზე უვნებლად გადმოხდენ
პირ-იქითული მგზავრები.
მთის კალთებს ჰშვენის ცხვარ-ძროხა,
როგორც ლამაზს ქალს ხალები;
გაცოცხლებულა მთა-ბარი
ზამთრისგან დანაწვალები.
ქვეყნად ბევრია ბეჩავი,
ბევრია შასაწყალები, —
ერთი რო ვნახოთ, სხვას ბევრსა
ვერ ჰხედვენ ჩვენი თვალები!
სოფლებში ხმაურობაა,
ძახილ-ძუხილი დიდია:
„გააგებინეთ, სად არი
გველისმჭამელი მინდია;
ქისტების მოდის ლაშქარი,
არღუნს ჩატეხეს ხიდია,
დახვედრა მტრისა, ვაჟებო,
ეხლა ჩვენზედა ჰკიდია!“
დიდი მზადება შაექნათ,
ხალხი ზღვასავით ღელავდა,
საით მხარესაც გაჰხედავ,
თოფი და ხმალი ელავდა.
კარგა ხანია ხევსურნი
მტრის რაზმებს აღარ სცელავდნენ,
მათ აოხრებულს ბანაკსა
უწყალოდ აღარ სთელავდნენ;
ომისკე დამშეულები
ძლივს მოელიან დილასა,
ყველას ისა აქვს გულშია —
ბელადს ვინ მოჰკლავს წინასა,
თავსა და მარჯვენას მასჭრის,
შინ მოვა სახელიანი,
საკარგყმოდ თასი მიერთმის
ხატობას სანთლებიანი.
გვარიც დარჩება იმისი
სამუდმოდ საქებიანი.
ციხე-კოშკებში შადიან
დიაცნი ბალღებიანი,
მზად შაუნახეს ქმარ-შვილთა
გუდები საგძლებიანი.

VIII

ბინდდება. ბნელი ხევები
იმურებიან შავადა.
თვალს ისე ეჩვენებიან,
თითქო გამხდარან ავადა.
მთები მაღლები, კლდეები,
ლაღი არაგვი თავადა —
მოწყენილია სუყველა,
ვხედავ, ჩუმადა ტირიან.
მხოლოდ თამამად შიკრიკნი
სოფლითი-სოფლად ყვირიან
„ვინაც ხვალ ლაშქარს დააკლდეს,
ამოვარდებამც ძირიან!“
გარეთ აღარსად ცეცხლი ჩანს,
არ ისმის სტვენა წყემსისა,
კარში აღარა დასტოვეს
დანაფასები ნემსისა.
სოფლად მილაგდენ ყველანი,
კოშკ-ციხეები ჰფარავენ,
ცხვარ-ძროხას, საგანძურებსა
ფარულს ალაგას ჰმალავენ.
ცოტა რამ მკრთალი ნათელი
ხახმატს ხატშია ჩნდებოდა,
სანთლები ენთო ყორეზე,
ალი იფნებსა ჰხვდებოდა,
ხან ცისკრად გამოაშუქის,
ხან კი მინელდის, ჰქრებოდა,
სულ-მაბრძოლ სნეულსა ჰგავდა,
ტანჯვა-ვაებით კვდებოდა.
სხვა იქ კაცის ძე არა ჩანს,
ორნი ჰყუდიან ველზედა,
ერთს სისხლიანი ხანჯარი
უპყრავ, სისხლი აქვს ხელზედა;
მათ წინ დაკლული კურატი
წამოწოლილა გვერდზედა.

**ბერდია** (ხევისბერი)
წყალობა მოგცეს, მინდიავ,
იმ გულზედა და წესზედა,
რა ფიქრითაცა სწირავდე,
იმედოვნებდე ღმერთზედა;
ნუმც მოგეშლება სახელი,
მინამ ხმალი გრტყავ წელზედა.
იმედო ხევსურეთისავ,
მწყალობელიმც გყავ ჯვარია,
მუდამამც გამარჯვებული
მიგყავ და მოგყავ ჯარია!
მგონია, მეათე დაჰკალ
წელსა, გასწყვიტე ძროხები,
რას ეხვეწები მაგდენსა,
რა გაქვის შანაცოდები?
ერთი წესია, ორიცა,
შენ ხვეწნა მეტის-მეტია
ნურასამც ვაწყენ ამით ღმერთს,
რაც ეხლა დავიყბედია.
**მინდია**
ყევარი ხარი კიდევ მყავ,
სამი თუ ოთხი ფურები —
იმათაც აუსახელებ,
ოღომც მამირჩეს წყლულები.
**ბერდია**
რა წყლული. კაცო, შენ წყლული
ჩვენ არვის გაგვიგონია,
შენ წყლულიანებს სხვებს არჩენ
ათასობითა, მგონია.
**მინდია**
სხვა რამ საქმეა, ბერდიავ,
ადვილ ვერ ვიტყვი იმასა:
თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით,
ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა.
ფულის პატრონნი, თუ იცი,
ყველგან გახჰსნიან ქისასა?
ხვალ, ხვალე-ზეგავ გაიგებთ,
მაცნე რო მოვა მთისასა.
**ბერდია**
შენა ხარ ჩვენი იმედი,
ხევსურთ დავლათიც შენთანა.
ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი,
რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა,
ხატიც გამმარჯვედ დაგყვების,
კარგად იციან ყველგანა.
ნუმც მოგეშლება დავლათი
წმინდის გიორგის ძალითა,
ნუმც გაგვიმეტებს უფალი,
არ გიმფარველოს კალთითა.
აიღო თასი ხელშია
და კვლავ დაიწყებს ბერდია:
„სადიდებულო გიორგის
და სამწყალობლო შენია!..
შენ მეშველიმცა, რაც უფალს
ხატები გაუჩენია,
შენი მერჩოლი, ცოცხალი
ერთიც ნუ დაურჩენია.
ხვალ თუ ხვალე-ზეგ უცილოდ
ომი გვექნება მტერთანა,
მანამ ცოცხალი გვყევიხარ,
რას გახდებიან ჩვენთანა?!“
ეს რომ სთქვა, მლოცავს თვალები
აევსო ცხელის ცრემლითა,
არ შამნიშნოსო, მობრუნდა
და მოიწმინდა ხელითა.
დაემხო საჯარის წინა,
როგორც მოჭრილი ცელითა
ჯოყარი რამა, თუ ფიჩხი,
შასაკონავი წნელითა.
ლოცულობს თვალ-ცრემლიანი,
აზრი არ ისმის ლოცვისა.
ასე მხურვალედ მლოცველი
ვერ ნახა ვერა როდისა
წინათ ბერდიამ, — ეს უკვირს:
უფრო ტანჯვაა გლოვისა,
ვიდრე გულ-დაწყნარებული
წყალობის გამოთხოვისა.
ცრემლი სდის, ჩუმი ქვითინი
აბჯრის ჟღერაში ერევა,
ლოცულობს, დაჩოქილია,
ხანიც მრავალი ელევა.
„უსმინე, ხახმატის ჯვარო!“
თვითაც უმატებს იგია:
„ნუ გაუქარწყლებ ვედრებას,
კეთილზე დაარიგია“.

IX

შუაღამისას დაიწყო
დელგმა, მოჰხეთქა ღვარები,
გატეხეს, თუ სად ლოდების
ხევებში იყო კარები
და სწორედ არ მიუტანეს
ბარს მთისა დანაბარები.
ხშირად დაედვა ბალახთა
ღრუბელთა ცრემლის ცვარები,
გაჰქრა და აღარცა ბჟუტავს
ხახმატს ლოდებზე სანთლები.
აღარსად ხევისბერი სჩანს,
აღარც მლოცავი მტირალი,
მარტო საჯარის ყორეა
მრისხანედ გამომზირალი
და კლდეებს არღვევს არაგვი
გაბეზრებული, მყვირალი.

X

დილაზე ფრთა-დაკეცილთა,
ნამტირალევთა ღამითა,
მთებზე ეძინა ნისლებსა
მიტკლით შაკრულის თავითა;
ზოგჯერ რო გაგვახარებენ
მაცოცხლებელის ცვარითა,
სხვა დროს ბედს გვაწყევინებენ
ჩანადინარის ავითა.
დაბლა ჭალა და ხევები,
გუშინ სავსენი ზვავითა,
დღეს სიცოცხლითა ხარობენ,
გაბადრულნია მწვანითა
და კოშკი დაფიქრებული
ხეობას დაჰმზერს მაღლითა.
კოშკში მოსჩანან ქალები,
როგორც ყვავილნი მთისანი, —
სძლევენ მტერს, თუ ვერ ხევსურნი —
მათ სასაუბრო ის არი.
სათოფურებით ჩაჰმზერენ
მოუსვენარად ჭალასა
და ახვეწებენ თავის ჯარს
ღვთისა და ხატის ძალასა.
აქით კარგად სჩანს მიდამო:
მთა, მთის ყელები ყოველი,
ვერ დაემალვის კაცის თვალს
მწერი, ვერც ერთი ცხოველი.
ზოგები სხედან ფიცარზე,
ჰბჭობენ, თან ჰქსოვენ წინდასა,
ისინიც სამშობლოსადა
ლოცვას ამბობენ წმინდასა.
**სანდუა** (დედაკაცი)
მზიავ, გულშამოყრითა ხარ
შენ უფრო სხვებზე მეტადა;
ქმარას თუ ჰნანობ, თვალ-შურთხო,
ვერ ჰქშეროფ მოსაკვლელადა,
არა გცოდნია, რო ომსა
ის ჰსახავს თავის ბედადა
და მინდიაის მამკლავი
ჯერ არ გაუზდავ დედასა.
მაშ მე რაღა ვქნა? ჩემები
ბევრნი წავიდნენ ლაშქარსა:
ჩემ კაცი, ძმანი სამნივე
არ მაჰკლებიან ამქარსა.
შენს ქმარს ხო ვერვინ აჯობნებს,
ძველებურს იზამს ნაქნარსა,
როგორაც ბევრჯელ უწინა,
ეხლაც მტერს მისცემს ზიანსა:
ვისაც მაუკლავს, ის მაჰკლავს
ხარსა ირემსა რქიანსა.
**მზია**
ვაჰ მე, რო ველარ იბიჭოს,
ისეთს სიზმრებსა ჰხედავდა:
მთელს ერთს წელს სნეულსა ჰგავნდა,
თავის ხორცთ კბილით ჰკვნეტავდა.
ცოლ-შვილთ გაგჟლეტთო, იძახდის,
თუმც რადღაც არა ჰბედავდა.
ხატ-ღმერთს მიეყრდნო, შასწირა,
თუ სად რა გვყვანდა საქონი,
მოვიდის, პურიც არ ჭამის,
ვაპატიჟოდი რამდონი.
მარტოკაც ბევრჯელა ვნახე,
ჩუმად, ბალღივით ტიროდის:
„დავკარგე ძვირი საუნჯე“,
თავისთვის ამას იტყოდის.
სულ ბანზე იჯდის ღამითა,
აშტერდებოდა ცასაო,
მოსულს და წასულს, არავის
აღარა სცემდა ხმასაო;
აღარც სტუმარი უნდოდის,
ჩვენ ხომ არა და აღარა,
ამ ცოტა ხანში თმა-წვერი
დარდმა თუ გაუჭაღარა?!.
ბევრჯელ ქურდულად ბნელაში
დაუყუროდი ჩუმადა,
მაგრამ მის მარტოდ ყოფნასა
მე ვერ შაუვედ გულადა.
რომ თავს და ხალხსა ტიროდის,
ის კი შავიგენ სრულადა:
„ველარას ვარგებ ქვეყანას“,
ტიროდა დაფარულადა.
ცოლ-შვილთ კი, უფრო ბოლოს დროს,
გვეკიდებოდა მტრულადა.
**სანდუა**
ჩვენ ეგ არ გაგვიგონია,
პირველად მესმის შენგანა:
მე ისივ მინდია მგონავ,
შასადარები მზესთანა.
მაგას, ათასი იუბნო,
არ დაგიჯერებს ქვეყანა.
მიკვირს, ეგ შენთან ნათქვამი
რად არ იუბნა სხვებთანა?
ვითომ რას ცოდნას გლოვობდა,
რომელს ცოდნაზე ჩიოდა?
ან თქვენ რის დამნაშავეთი?..
გული იმ რიგად სტკიოდა,
რომ ცოლ-შვილთ დასალევადა
ხმლისკე ხელ მიუდიოდა?!.
**მზია**
ისიო, იმას ამბობდა,
ემათ მზემ, არ ვსთქვა მრუდია, —
ხელი დაადო შვილებსა,
ორივ მის გვერდზე ჰყუდია, —
რომ თქვენგან ცოდვაში შაველ,
არ-საქნელი ვქენ საქმეო:
შეშა ვჭერ, ნადირი ვხოცე,
როგორც უბრალო რამეო.
ყვავილნი ხმას აღარ მცემენ,
აღარც ვარსკვლავნი ღამეო.
უფლისგან მომადლებული
დიდი ცოდნა და ძალია
დავკარგე შენის აყოლით,
წელზე რადღა მრტყავ ხმალია?
და სხვა ამგვარი ათასი
შამიგმის პირზე ცოფითა
და ორჯერ-სამჯერ გადურჩი,
კინაღამ მამკლა თოფითა.
ალბათ ჯერ იმედი ჰქონდა,
ხატებს ეხვეწა, იშრომა...
თან ჩვენაც ვებრალებოდით
და არ დაგვხოცა მიტომა.

№ 32 (296)
12 – 18 ამვისხო 2015
ლიტერატურული საქართველო
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროზა

# ოჩოპინტრეები

ვლადიმირ ნაბოკოვი

მთარგმნელი
ნათია უშტიაშვილი



ჩაფიქრებული ვიჯექი. სამელნის მრგვალად მთრთოლვარე კონტური კალმით გამომყავდა. შორეულ ოთახში საათმა ჩამოჰკრა და ოცნებამორეულს მომეჩვენა, თითქოს კარზე ვიღაც აკაკუნებდა — ჯერ ჩუმად, შემდეგ ხმამაღლა; თორმეტი თანმიმდევრული კაკუნი და... სრული სიწყნარე.

— დიახ, მობრძანდით, აქა ვარ...

კარის სახელური მორცხვად აჭრიალდა, ჩამოღვენთილი სანთლის ალი ატკრციალდა და ის — მოხრილი, მთლად ნაცრისფერი, ვარსკვლავა და ჭირხლიანი ღამის მტვრით დაფიფქული, მართკუთხა წყვდიადიდან გვერდულად ამოიმართა...

მახსოვდა მისი სახე, მერედა რა კარგად მახსოვდა!

მარჯვენა თვალზე ჯერ ისევ ბინდი ედგა, მარცხენა კი — მოგრძო და კვამლიანი მწვანე ფერისა — შეშინებული მიმზერდა; თვალის გუგა ჟანგისფრად უღველფავდა... ეს მოხაკისფრო-მორუხო ბულული საფეთქელზე, მკრთალი ვერცხლისფერი წარბის ოდნავ შესამჩნევი ზოლი, უულვაშო პირთან აღბეჭდილი ნაოჭი — საოცრად აღიზიანებდა და აცოცხლებდა ჩემს მითვლემილ მეხსიერებას.

წამოვდექი, ისიც გამოემართა.

გაცრეცილი პალტო რაღაც სხვანაირად, თითქმის ქალურად ჰქონდა შეკრული, ხელში კი, შლაპა ეჭირა, უფრო სწორად, — მუქი ფერის უხეირო ფუთა... გამოდის, რომ შლაპა სულაც არ სჭერია.

რასაკვირველია, ვიცნობდი, უფრო მეტიც, მგონი, მიყვარდა... მხოლოდ იმას ვერ ვიხსენებდი, სად და როდის მენახა, თუმცა ერთმანეთს რომ უეჭველად ვცნობდით, ფაქტი იყო, რადგან ასე ცხადად აღმბეჭვდოდა მისი მოცხარისფერი ტუჩები, წაწვეტებული ყურები და სასაცილო ხვანჩი.

ბუტბუტით მივესალმე და ჩამოვართვი ხელი, რომელიც საოცრად მსუბუქი და ცივი ჰქონდა, მერე, ძველ სავარძელზე მივუთითე. ყვავი რომ კუნძზე ჩამოჯდება, ისე მოკალათდა და სულმოუთქმელად დაიწყო:

— გარეთ ისეთი საშინელებაა, გადავწყვიტე, შენთან შემოვსულიყავი, მენახე. მიცანი? ჩვენ ხომ დღე არ გადიოდა, ერთად არ გვეცელქა, არ გვეოხუნჯა, — იქ, ჩვენს სამშობლოში... ნუთუ დაგავიწყდა?

ამ ხმის გაგონებაზე თითქოს დავბრმავდი, თვალები ამიჭრელდა, თავბრუ დამესხა და ბედნიერება — უსაზღვრო, ბობოქარი, გარდასულ დღეთა და აწ უკვე განსვენებული ბედნიერება გამახსენდა.

არა, ეს შეუძლებელია! — მე მარტო ვარ, ყველაფერი ეს, უბრალოდ ახირებული ბოდვაა! მაგრამ ჩემს გვერდით მართლა იჯდა ვიღაც, — ყურებიან გერმანულ ჩექმებში გამოწყობილი ძვალტყავა უცნაური კაცი, მისი ხმა — ასე ნაცნობი, ჟღერადი და ნედლ-მწვანე ფერისა — საოცრად შარიშურობდა, სიტყვები კი საკვირველად ადამიანური და უბრალო...

— მადლობა, ღმერთს, გაგახსენდა... მე სწორედ ის ოჩოპინტრე ვარ, გულსწრაფი და ლაღი ჭინკა... ვინ წარმოიდგენდა, რომ მე აქ აღმოვჩნდებოდი.

ღრმად ამოისუნთქა. მორიალე ღრუბლები, ფოთოლნარის ცადაწვდილი ტალღები, ვერცხლისფრად მბზინვარე არყები, მარადიული ტკბილხმოვანი ბუბუნი კვლავ შევიგრძენი. ჩემსკენ დაიხარა და სითბოთი სავსე მზერა მომაპყრო.

— ჩვენი ტყე თუ გახსოვს, შავი ნაძვი? თეთრი არყი? სუყველა მოჭრეს...

სიბრალულისაგან ვიტანჯებოდი; მესმოდა მათი ტოტების ჭახაჭუხი, ძირს რომ ეცემოდნენ, მესმოდა, მაგრამ ვერაფრით ვშველოდი. ჭაობში მიმამწყვდიეს, ვტიროდი, ვღმუოდი... ბოლოს, მახლობელ წიწვნარს შევეფარე.

ძალზე მოვიწყინე. ქვითინს ვერ ვიკავებდი. შეჩვევა დავიწყე და სწორედ იმ დროს, რას ვხედავ — ძველი ფოთოლნარის ადგილას ცარიელი ფერფლიღა დარჩენილა. ისევ ხეტიალი დავიწყე. მერე, მოვძებნე ერთი პატარა ტყე, ძალიან ლამაზი, დაბურული, ლორთქო ბალახით დაფარული, მაგრამ მაინც ვერ ვგუობდი... ხანდახან დაღამებამდე ვთამაშობდი, გაშმაგებით ვუსტვენდი, ყიჟინას ვცემდი, გამვლელებს ვაშინებდი. გემახსოვრება, ერთხელ ჩემს გამო გზა დაგებნათ შენ და იმ შენს თეთრკაბიანს; მე მაშინ ბილიკებს ვხლართავდი, რტოებს ვარხევდი, ფოთოლნარს მიღმა მიმოვკრთოდი, მთელი ღამე გაგტანჯეთ. ამით, შენც ხომ იცი, მხოლოდ თავს ვირთობდი. მოგვიანებით, დავშოშმინდი, ჩემს ახალ სამოსახლოში პირველი დღიდანვე მოვიწყინე, თუმცაღა ირგვლივ, დღე და ღამე, ჭახაჭუხი გაუდიოდა რაღაცებს. ხმაურის გამომწვევი ტყის კაცი მეგონა, მაგრამ არ გამომეხმაურა, მივხვდი, რომ სხვა რამ ხდებოდა. დიდი დრო არ გასულა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მდელოზე გავედი და რას ვხედავ? — ადამიანები წვანან; ზოგი მუცელზე, ზოგიც — გვერდზე. ვიფიქრე, გავაღვიძებ-მეთქი, ტოტების მტვრევა და გირჩების სროლა დავიწყე, ავაშრიალე ყველაფერი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, არც გაინძრნენ. ახლოს მივედი და... ღმერთო ჩემო... ზოგს თავი წკიპზეღა ეკიდა, ზოგსაც — მუცლის ღრუ მსუქანი ჭიებით ამოვსებოდა... ველარ გავუძელი, ერთი ამოვიღმუვლე და უკანმოუხედავად გავიქეცი.

დიდხანს ვიხეტიალე ტყე-ღრეში, მაგრამ საცხოვრებელი ვერსად დავიგულე. ირგვლივ მხოლოდ სასაფლაოს მოწყენილობა და უდაბნოს მდუმარება გამეფებულიყო; სიცოცხლე ისეთი გაუსაძლისი გახდა, რომ გახსენებაც არ მინდა. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე და ადამიანად გადავიქეცი — აბგიან მაწანწალად, რომელიც სამუდამოდ დაემშვიდობა სამშობლოს! სამანს გარეთ ჩემი მეგობარი, ჩემსავით თავშესაფრის მძებნელი წყლის კაცი შემომხვდა; ისიც გულისტკივილითა და გაკვირვებით მეუბნებოდა, რა საშინელი დრო დაგვიდგაო... ადრე კი, იცოცხლეთ, კარგად ჰქონდა საქმე, ოსტატურად ატყუებდა ხალხს („სტუმართმოყვარე“ რომ იყო, მტკიცება არ უნდა), თანაც როგორ ეალერსებოდა მათ, უნანავებდა და უვლიდა თავისი მდინარის ოქროვან ფსკერზე, მშვენიერი სიმღერებით ხიბლავდა. ახლა კი, — განაგრძობდა, — მხოლოდ მკვდრებიღა დაცურავენ, წყალიც კი მადანივით სქელი, ისეთი თბილი და წებოვანი გახდა, რომ სუნთქვა ჭირს. სწორედ მან მიშველა, თან გამიყოლა, ერთ ნისლიან ნაპირზე გადმომსვა და მითხრა, წადი, ძამიკო, იქნებ, რაიმე ბუჩქისმაგვარი მაინც იპოვოო. ვერაფერი ვიპოვე, გარდა ამ საშინელი, სრულიად ქვის ქალაქისა... ასე ვიქეცი ადამიანად, ყველაფერი მაქვს — ჩექმაც, საყელოც, ლაპარაკიც მათსავით დავიწყე, მაგრამ...

გაყუჩდა. თვალები სველი ფოთლებივით აუბრწყინდა, ხელები მკერდზე დაეწყო. მთრთოლვარე ანარეკლში ჩაცურებულ სანთლის შუქზე კი, გასაოცრად კრთოდა მისი გვერდზე გადავარცხნილი, გაცრეცილი თმა.

— ვიცი, შენც გენატრება, — ისევ გაიჟღერა მისმა ხმამ, — მაგრამ, ისიც იცოდე, რომ შენი მონატრება ჩემს ქარაშოტულთან შედარებით, მძინარის უდარდელი ფშვინვაა მხოლოდ. იქ, ჩვენს სამშობლოში, ჩვენისთანებს აღარაფერი ესაქმებათ. ხომ იცი, ერთნი ნისლივით გაიფანტნენ, სხვები — სამყაროს მიმოედნენ. მშობლიური მდინარეებიც დასევდიანდნენ, რადგან არავის მოუსვენარ ხელს აღარ უცდია მათი მთვარეული ბზინების დაფარვა; ობლდებიან და დუმდებიან მოცელვას შემთხვევით გადარჩენილი შროშანები — ისინი ხომ ჩემი მეტოქის, მსუბუქი მეველის ცისფერი ბარბითები იყვნენ; ფუმფულა, მოალერსე ქვეშსაგებელმაც ვაებით დატოვა შენი წაბილწული, შერყვნილი სახლი; კორომებიც ხომ ჩამოჭკნა — შენი მგრძნობიარე, ზღაპრულად სევდიანი კორომები...

ახლა რაღა ვქნათ, სამშობლოვ, ჩვენ ხომ შთაგონება, მიუღწეველი მშვენიერება, უკიდეგანო მომხიბვლელობა — შენი მომავალი ვართ, ჩემო... და ჩვენ, ყველანი წამოვედით, უფრო სწორად, გამოგვყარა გადარეულმა, უგუნურმა მიწისმზომელმა.

— მეგობარო, ვიცი, მალე მოვკვდები, მითხარი რამე, ის მაინც, რომ გიყვარვარ, რომ გიყვარს ერთი უსახლკარო მოჩვენება, — მოყვასები ვართ მაინც... ახლოს მოიწიე, ხელი მომეცი...

სანთელი აშიშინდა და ჩაქრა.

მისი ცივი თითები შეეხო ჩემს ხელისგულს, სევდიანმა ნაცნობმა სიცილმა გაიჟღერა და შეწყდა, მერე...

დუმილი.

სინათლე რომ ავანთე, ოთახში მარტო ვიყავი, მარტო... მხოლოდ არყისა და ნოტიო ხავსის სურნელი რიალებდა სასწაულებრივი სინაზით...

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

12 – 18 აგვისტო 2015 | № 32 (296) | 7

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## ახალი ლექსები

# ვიქტორ ჯაოშვილი



### დავით ალმაშენებელს

ამბობენ: ჰქონდა სიმტკიცე რვალის,
გაბზარულ ზეცას ედგაო ბეჭით
და გაჰყურებდა გამჭოლი თვალით,
ვინც საქართველოს უმზერდა ეჭვით.
არტახებს გლეჯდა ჩასუნთქვა მისი,
იცოდა თავის და სხვათა ფასი,
უდუღდა მეფე-პოეტის სისხლი
და ცნობილ იყო გონით დ აზრით.
ყოფილა, თურმე, მოწყალეც, მკაცრიც,
უტყუარ ჰქონდა ალღო და გეში,
ამაოდ დავშვრი — ღვთისტოლა კაცი
ვერ ჩავატიე პატარა ლექსში...

### სიჭაბუკის დღეებო!

მიმატოვეთ უპატრონოდ,
სიჭაბუკის დღეებო,
აწი, სადღა უნდა გპოვოთ,
ჩემო ნატვრის ხეებო!
მატყუარა აპრილებო,
აშვებულო აფრებო,
გუდანაბადაყრილებო
ცხრაფრთიანო ზღაპრებო!
ორღობეში ჩარჩენილო
სიყმაწვილის გზაკვალო,
იმედივით გაჩორკნილო
ბაფთიანო აკვანო!
თავი ისე მომანატრეთ
სიყმაწვილის წუთებო,
მოგეძებნეთ ცოტა ადრე, —
გამიჭირდა უთქვენოდ!
წახვედით და გადიკარგეთ,
მეტირება ხანდახან,
ვიცი, მაინც არ იკადრებთ
შურისგების გადახდას!
ერთხელ მაინც დამენახეთ,
მოგიხადოთ ბოდიში,
ან შორიდან შემომძახეთ,
ანდა ახლოს მომიშვით!
თქვენი სითბო მიწილადეთ,
გაფანტულნო ცალ-ცალად,
თქვენთან ყოფნა სიკვდილამდე
ღმერთმა რად არ მაცალა?!
გაგიმეტეთ, გამიმეტეთ,
არც ერთი ვართ მართალი,
ჩვენს გულებში ჩავიკეტეთ
უთქმელიც და ნათქვამიც!
უნდა გპოვოთ, უნდა მპოვოთ,
სიჭაბუკის დღეებო,
ჯერ ცოდო ვარ უპატრონოდ,
მერე, როგორც გენებოთ!

### უთქვენოდ?

ზეცავ, —
გაშლილო თაბახო,
მიწავ, —
ძეხორცის დილეგო!
გულო, —
იმედთა სამარხო!
ვერხვებო, —
ჩოხის ქილებო!
სვეტიცხოველო, — ზვიადო,
გარდასულ დღეთა ნათებავ,
უკუნისამდე გვინათოს
შენთან
ნანთებმა
სანთლებმა!
ჯვარო, —
ნისლებში შობილო, —
ჯვარდაწერილო ტაძარო!
მთვარევ, —
ნუგეშად ხმობილო!
მზეო, —
ხანძართა ხანძარო!
ღამევ, —
ლეკების სამოსო!
გოგოვ, —
სიყვარულნასვამო,
მითხარი,
როგორ დაგლოცო,
შენ, ჩემი ბედის ვარსკვლავო!
უთქვენოდ,
უამყველაფროდ,
ღმერთმა ქვეყნად ნუ დამტოვოს!
..............................................
რომ არ გახსენე, გელათო,
ხომ არ გეწყინა, ბატონო?

### ვედრება

ისე როგორ გავთეთრდები,
ისე როგორ დავბერდები,
ერთხელ თუ არ ავფეთქდები, —
არაგვს თუ არ დავედრები!
ღმერთო, კალთა დაიბერტყე:
წუთისოფელს შემარჩინე,
ერთბაშად ნუ გამიმეტებ,
სიკვდილს ნელა შემაჩვიე!
ეს სანთლები საერთგულოდ
სამშობლოსთვის მანთებინე,
საერო და სამამულო
სეფელექსი მათქმევინე!
მერე სიკვდილს დამაზმანე,
თუკი დიდხანს დავაყოვნო,
ოღონდ უბნის ლამაზმანებს
ერთხელ თვალი გავაყოლო...
ლოგინად ნუ გამათეთრებ,
ლოგინად ნუ დამაბერებ,
მწევარივით დამაფეთე
და მგლის კვალზე დამადევნე!
ვნატრობ, თითქოს ვნატრობ ბავშვი:
დამგეშე და მაბზრიალე,
მერე ამხსენ „პატრონტაში“,
მომკალი და მაზიარე!
მაგრამ ვიდრე დავბერდები,
მაგრამ ვიდრე გავთეთრდები,
მომეც ძალა ამღერების,
რომ დამისკდეს საფეთქლები!
ვთეთრდები და ვგავარ თეთრ ლომს,
ვბერდები და ვგავარ ბერ ლომს,
ღმერთმა მართლა გამათეთროს,
ღმერთმა ქნას და, დამაბეროს!

### გორი

ამ დალოცვილ საქართველოს
ეს რა ძალა ჰქონია,
გორი ქვეყნად ერთი არის,
ასე გამიგონია;
განა, მართლა ერთი არის
ერთია ან ორია?!
თურმე, თითო კაცის გულში
თითო-თითო გორია!
აქ ლიახვი, ბობოქარი,
ისე არ ადიდდება,
რომ სახლს ასჯერ არ გასძახოს
დიდება და დიდება.
ერდოს ბანზე მერცხალთ გუნდი
ისე არ გადაივლის,
რომ ჭიკჭიკით არ აიკლოს
კუთხეები აივნის.
ყოველ დილით მის დირესთან
მივლენ ბერიკაცები,
საზანდრებით, სიმღერებით,
ტაშით და აღტაცებით.
ძველი დარდი წარსულს გაჰყვა,
ჭერი ამაღლებულა,
ბაგეებზე უთამაშებთ
სოსოს „ხასანბეგურა“.
ამ დალოცვილ საქართველოს
ეს რა ძალა ჰქონია,
გორი ქვეყნად ერთი არის,
ასე გამიგონია;
განა, მართლა ერთი არის
ერთია ან ორია?!
თურმე, თითო კაცის გულში
თითო-თითო გორია!

### პირველად...

თითქოს ზეციდან მესმის
საუფლო განაჩენი:
პირველად იყო ლექსი
და მერე — დანარჩენი...
პირველად ლექსი გაჩნდა,
ვით ცეცხლი — კვეს-აბედით,
და მეც ვიარე მასთან
სიცოცხლის მესამედი...
ახლა რომ მითხრას ვინმემ,
უნდა დათმოო ლექსი,
მე მირჩევნია, პირველ
გასროლაზე თუ მესვრის...
მიხარის, როცა მესმის
საუფლო განაჩენი:
პირველად გაჩნდა ლექსი
და მერე — დანარჩენი...

### ჯვრის მონასტერი

დგახარ ასე...
მშვიდად, ხელის უხლებლად,
თუმცა ხელის შეხებაც კი სცადეს,
ვის გაუძლო ფილტვებმა და მუხლებმა,
ასე ციმციმ რომ აგტყორცნა ცაზე!
შენ ხარ ჩვენი საქართველოს მზე გული
და ხარ ერთად დაგროვილი ჯავრი,
ვერ გაგთვალეს ეული და გრძნეული,
ავთვალთაგან დაგწერია ჯვარი!
გადაურჩი მეწყერსა და ფათერაკს,
ფრთებს ისწორებ, ვით არწივის მართვე...
დარჩი, როგორც ფეხადგმული ხატება,
დგახარ, როგორც მეხამრიდი ქართლის!..
შემბოჭე და ნება შენი აღსრულდეს,
მონა ვარ და სიტყვას აღარ მაცლი
და ვართ ასე, ორნივ ფიქრში წასულნი,
შენ — უტყვი და მე — მეტყველი კაცი!
დრომ და ჟამმა ვერაფერი მოგრისხა,
კვლავ გვიყვები ენით უთქმელ ამბავს,
და ნისლებში როცა გხედავ, მგონიხარ
სუდარაში გახვეული საბა!
შენი ფუძის საკოცნელად მოვსულვარ,
წმინდანივით მეგებები სანთლით,
და მგონია, ხელგაწვდილი ლოცულობს
შენს ფეხებთან დაცემული ქართლი!

●●●

შენ მართალი ხარ,
მართალი ცამდე,
რაც გიყვარს, მხოლოდ იმას მღეროდე;
მთავარი არის,
რაღაცა გწამდეს,
უფრო მთავარი: რაც გწამს, გჯეროდეს!

### ანდერძი შვილიშვილებს

*ზუკას, გუგას, კოკას, გიორგის, ლევანს*

მოუარეთ დედამხარეს,
მასზე ფიქრი ჯავრად მაქვს,
ოღონდ იგი გამიარეთ,
ჩემი თავი — ჯანდაბას!
არ მენახოს ჩვენი ერი
უნაყოფოდ, ჯანდაგად,
თქვენ იყავით ბედნიერი,
ჩემი თავი — ჯანდაბას!
ქართველების რჯულზე მლოცველთ
ბედიც გქონდეთ ბარდაბარ,
თქვენ იმრავლეთ, თქვენ იცოცხლეთ,
ჩემი თავი — ჯანდაბას!
დაგსეოდეთ შვილიშვილი, —
სიხარული დამდაგავს,
და ეძინოთ ტკბილი ძილით,
ჩემი თავი — ჯანდაბას!
სხვა სანატრელს ვერ ვინატრებ,
ვერ გავდგები განდაგან,
ოღონდ, ოღონდ თქვენ იბარტყეთ.
ჩემი თავი — ჯანდაბას!
სიყვარულში ბაძეთ ძველებს,
შემოევლეთ ანს და ბანს,
დედაენა მიდღეგრძელეთ,
დანარჩენი — ჯანდაბას!

### ავტოპორტრეტი

მე თავის ქება არ დამცდენია,
არა ვარ სხვებში გამოსარჩევი,
ლექსის იმდენი ვაჟკაცებია,
არცა მაქვს თავი გამოსაჩენი.
თუმცა, მეცა მაქვს ჩემი არჩივი,
მეც გამაჩნია სიტყვა სათქმელი
და როგორც ჩემი ტანის აჩრდილი,
დამყვება ლექსის მისამართები.
ცვრიანი სიტყვა მახარებს ისე,
ვით მონადირეს ნანადირევი
და როცა ვინმეს სიმღერას ვისმენ,
ლექსების წერით გადავირევი.
დავდგები ჩემი მამულის კართან,
როგორც ვიცით და როგორც ვიცოდით,
ყველა მოკეთეს და ყველა გამტანს
შემოვევლები ლექსის სიცოცხლით.
მაგრამ, ვაითუ, ტრაბახად დამრჩეს
და თუ არ მეყოს სიტყვა სათქმელი,
მაშინ მოდით და თაბახზე ნახეთ,
ვისი მაქვს ლექსის მისამართები.
ნახეთ ათასი უძილო ღამე,
თუ ულექსობით გამიტეხია
და თუ ვერ ვამბობ საკვირველ რამეს,
არც არასოდეს დამიკვეხნია.
ვთქვი: თავის ქება არ დამცდენია,
არა ვარ სხვებში გამოსარჩევი,
ლექსის იმდენი ვაჟკაცებია,
არცა მაქვს თავი გამოსაჩენი.

### მაინც

რაც არ უნდა ვმალოთ ბევრი,
დღესვე უკვე ნათელია,
რომ ყველაზე დიდი მტერი
ქართველისთვის ქართველია.
ეს სიტყვები, განა ჩემი,
მთელი ერის სათქმელია,
რადგან ერის გადამრჩენი
მაინც ისევ ქართველია.

### სიბერის კუნძული

ძილისწინ ვამბობ:
გზა მშვიდობისა!
და მე მგონია, აღარ ავდგები,
როგორც კუნძული
წყალდიდობისას,
თანდათან ისე ვპატარავდები...
მგონია: ვეღარ
ვასწრებ ცხონებას,
სიზრებით სავსე მოკლე ღამეში,
და იძირება ჩემი ცხოვრება,
როგორც კუნძული — ოკეანეში...

### ბელურებო!

თქვენ ვერ გალობთ ბულბულივით, ვერც მტრედივით ღუღუნობთ,
თქვენი ოდა-სახლი არის საბძელი და ფუღურო!
მარტო ჩვენში იბადებით, აქ ცხოვრობთ და აქ კვდებით,
თქვენი ნაგრამ-მონაგარით გვემატებით, გვაკლდებით!
არც თბილ ქვეყნებს ეხარბებით, არც ცივ მხარეს შენატრით,
თქვენც ჩვენსავით მოძულე ხართ საქართველოს ყველა მტრის!
თქვენნაირი ცით და მიწით ქვეყნად ცოტა მკვეხარობს,
ქართველების ჯიშისა ხართ, მამულს გარეთ ვერ ხარობთ!
ვინც გაფრინდა სამუდამოდ, დაგვტოვა და გვიმტყუნა,
ყველა დარჩა მუზეუმის ნაკრძალად და ფიტულად!
თქვენ არასდროს არ იცვლიდით ბუმბულსა და სამყოფელს,
თქვენი ღმერთი სიკვდილამდე ერთ სამოსში გამყოფებთ!
მარტო ერთი ნოტი იცით, მარტო ერთი ჟივჟივი
და დილიდან საღამომდე თავს გვევლებით გიჟივით!
მერე რა, რომ ეხიზნებით ძველი ციხის ქონგურებს?!
მერე რა, რომ ხმებს ვერ უწყობთ გიტარებს და ჩონგურებს?!
მერე რა, რომ არ ეკუთვნით მეფურ ჩიტთა ელიტას?!
ვერც კამარას ვერ კრავთ ცაში, ვერც გალიას ვერ იტანთ!
მაგრამ თქვენი ერთგულებით საფრინველეთს დაწონით.
არც არასდროს გამრუდდება თქვენი ბედის სასწორი!
ზოგ-ზოგივით სანავარდოდ არ დაფრინავთ ღრუბლებში,
საკუთარ კვერცხს დასაჩეკად სხვებს არ უდებთ ბუდეში!
მეც თქვენსავით მშინებია მოღერილი შურდულის,
რომ ლექსებში მეჟღურტულა თქვენებური ჟღურტულით!
ხვითოსავით დაჰკანკალებთ ბარტყებიან საბუდარს,
თქვენი სვე და თქვენი ბედი მე მაგონებს საკუთარს!
თქვენს კერიას ეგუზგუზოს, თქვენს კერიას ელუოს
და ეხაროს, მამულისთვის ვინც თქვენსავით ბელურობს!

№ 32 (296)
12 – 18 აგვისტო 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ექსპერტი

# მამუკა არეშიძე: „ხელისუფლებამ ხალვაში შეიძლება, შეაგულიანა!“

**ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა აშკარა გახადა, რომ ქართულ ელექტრონულ მედიაში ახალი გადანაწილება იწყება. როცა სასამართლო გადაწყვეტილება არ არსებობს, იმაზე ლაპარაკი, ქიბარ ხალვაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მეწილე ისევ გახდება თუ არა, ჯერ ნაადრევია. საერთოდ, „რუსთავი 2“-ის მფლობელები, „ვარდების რევოლუციის“ მერე, ხშირად იცვლებოდნენ და ეს, როგორც გარედან ჩანდა, იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი ფრთა წინაურდებოდა სააკაშვილის კარზე. ქიბარ ხალვაშიც ტელევიზიის მეწილე მაშინ გახდა, როცა მისი მეგობარი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ირაკლი ოქრუაშვილი მიხეილ სააკაშვილის ყველაზე სანდო დასაყრდენად ითვლებოდა... „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ჟურნალისტი და კავკასიის საკითხების ექსპერტი მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ „რუსთავი 2“ არ უნდა დაიხუროს, თუმცა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაეცეს პასუხი შეკითხვას, ვინ არის ამ ტელეკომპანიის სამართლებრივი მესაკუთრე.**



Mzia Saganelidze (RFE/RL)

**მამუკა არეშიძე:** — როცა უკანონობას ერთხელ დაუშვებ, ნუ გაგიკვირდება, რომ შენს მიმართაც ვიღაც ასევე მოიქცეს. „რუსთავი 2“-ის ბიოგრაფიაში ბევრი შავი ლაქაა, მათ შორის, უკანონობის თვალსაზრისითაც. ჯერ კიდევ 90-იან წლებში, ვიღაც-ვიღაცებს არაკანონიერად მოექცნენ... მოკლედ რომ ვთქვათ, უამრავი ადამიანი მონაწილეობდა წართმევა, მიღება-ჩაბარების საქმეში და აქედან გამომდინარე, ბევრი უკანონობა მოხდა. უკანონობა შობს საპასუხო რეაქციას...

**— კი ბატონო, მაგრამ ქიბარ ხალვაში ადრე ამბობდა, როგორ უნდა მოეთხოვა ქონება, რომელშიც ფული არ ჰქონდა გადახდილი. მერე, განაცხადა, რომ ტელევიზიის დასაბრუნებლად იბრძოლებდა. ხალვაშის გამოჩენასა და სამართლიანობისთვის ბრძოლას პოლიტიკური ხასიათი აქვს?**

— ვერაფერს გამოვრიცხავ, შეიძლება ასეცაა, თუმცა მახსოვს, 2011-2012 წლებში, ანუ მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო არჩევნები ჩატარებული, ხალვაში ამბობდა, „რუსთავი 2“-დან ჩემი წილი უნდა მოვითხოვოო. უფრო მოგვიანებით, 2013-2014 წლებში, ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რატომ არ ითხოვთ ქონების დაბრუნებასო და უპასუხა, სამართლებრივ დოკუმენტებს ვამზადებო. არაა გამორიცხული, რომ ქიბარ ხალვაში შესაბამის დროს ელოდა.

**— სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფერი გამჭვირვალე არც მაშინ იყო, როცა ტელევიზია ქიბარ ხალვაშს გადასცეს...**

— დიახ, რამდენადაც მახსოვს, მაშინაც, როცა ეროსიმ ტელევიზია ქიბარ ხალვაშს გადასცა, იყო გარკვეული უსიამოვნო ეპიზოდები... ოქრუაშვილის თემა იყო ძალიან სერიოზული.

**— იზიარებთ მოსაზრებას, რომ ხალვაშის უკან შესაძლოა, ხელისუფლება იდგეს?**

— ხელისუფლებამ ხალვაში შეიძლება, შეაგულიანა, თუმცა ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ის ამ ნაბიჯისთვის ემზადებოდა.

...ვინმეს მოწონს თუ არა, ამ ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება მაინც მაღალი კვალიფიკაციისაა. ისე, რამდენიმე წუთის წინ, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა ჩამწერა, რომელიც ჩვეულებრივად, მანქანით მოვიდა და როცა ვკითხე, დაყადაღებული მანქანით დადიხართ-მეთქი, მიპასუხა, დაყადაღებულია, გაყიდვა არ შეიძლება, თორემ გადაადგილება არ გვეკრძალებაო. პრინციპში, ახლა ატეხილი სკანდალით მოსამზადებელ სამუშაოს ატარებენ, რათა სერიოზული დაძაბულობა შექმნან, თითქოს „რუსთავი 2“-ს ხურავენ. არავინ ხურავს და მეც კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ ეს ტელევიზია დაიხუროს და უხეშად შეეხნენ, მაგრამ კანონი რომ აღსრულდეს და უფლებები აღდგეს, უნდა გაირჩეს, იმ ხალხს წილი ნამდვილად ეკუთვნის თუ არა. ხომ შეიძლება, „რუსთავი 2“, რეალურად, ქიბარსაც არ ეკუთვნის?!

**— ხალვაშმა, ის რაზეც პრეტენზია აქვს, რომ დაიბრუნოს, დარწმუნებული ვარ, მას უფრო ძველი მფლობელები შეედავებიან...**

— დიახ და ეს ამბავი, ერთხელ და სამუდამოდ, გასარჩევია. რაც თავი მახსოვს და ჟურნალისტიკაში ვარ, აქიმიძის გვარი ამ კონტექსტში მახსოვს, რომელიც ამბობდა, „რუსთავი 2“ ჩემი იყო და წამართვესო...

**— „რუსთავი 2“-ის მიმართ დაწყებული კამპანია იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ელექტრონულ მედიაში ახალი გადანაწილება დაიწყო?**

— როცა იმ სახეებს ვაკვირდები, რომლებიც დღეს ელექტრონულ მედიასივრცეში არიან, ხშირად ველარ ვხვდები, რომელ ტელევიზიას ვუყურებ, იმდენადაა ყველაფერი ერთმანეთში აზელილი. საერთოდ, ელექტრონული მედიის კვალიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი 2“, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ძალიან მაღალ დონეზე დგას, დაბალია და ეს იმიტომ კი არა, რომ ჟურნალისტები არიან დაბალი დონის. ეს იმიტომ, რომ ასეთი მიდგომები შეგნებულად კეთდება, რათა მოხდეს ხალხის ზომბირება და დაბალი დონე ჩამოყალიბდეს, თან ამას აკეთებს ჯგუფი, რომელიც მედიის უკან დგას და ერთი და იგივე სახეებით მანიპულირებს.

მაგალითად, ის, რაც „პირველ არხზე“ ხდება, ვერ ვიტყვი, რომ ან ჟურნალისტური კულტურაა დაცული, ან იმ ხარჯს ამართლებს, რომელიც ჩვენი ჯიბიდანაა გაღებული. სამწუხაროდ, „პირველი არხი“, როგორც ორგანიზაციული ერთეული, არ არსებობს, რაღაც კეთდება ფრაგმენტულად და სულ ესაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „პირველი არხის“ „პრაიმ ტაიმი“, აღარაფერს ვამბობ საინფორმაციო გამოშვებებზე. ეს კატასტროფაა!

**— „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ნორმალურ ტელევიზიად ჩამოყალიბება რატომ ვერ ხერხდება?**

— „პირველ არხზე“ ორი ბორდია და ეს ხომ სამარცხვინოა?! ბორდის ხელმძღვანელებს თავიანთი მრჩევლების ჯგუფი ჰყავთ, თავმჯდომარეს — თავისი. „პირველი არხის“ ხელმძღვანელობაში უამრავი უსაქმური ადამიანია. არ არსებობს სახელმწიფოსა და საზოგადოების სურვილი, რომ სიტუაცია გამოსწორდეს...

**— „პირველ არხზე“ ხელისუფლებას ასეთი ქაოსი აწყობს?**

— „პირველ არხზე“ ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ არ შეიძლება, ვინმეს აწყობდეს. იმიტომ კი არა, რომ ეს მის წინააღმდეგ მუშაობს. უბრალოდ, იმდენად უგემოვნოა და ყველაფერი ორგანიზაციულად იმდენად მოშლილია, რომ ეს არ შეიძლება გაწყობდეს, ეს შენს იმიჯზე უარყოფითად მუშაობს. ეს ცალკეულ პიროვნებებს უფრო აწყობთ, მაგრამ არ შეიძლება, ხელისუფლებას აწყობდეს და არც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აწყობს.

საერთოდ, ვთვლი, რომ ქართული ელექტრონული მედია ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. სხვათა შორის, ზოგიერთ მედიასაშუალებაში, რომელსაც ნაკლები მაყურებელი ჰყავს, უაღრესად საინტერესო გადაცემებს აკეთებენ და საინტერესო ჟურნალისტები მუშაობენ, ანუ ქართულ ჟურნალისტიკაში ძალიან კარგი პოტენციალია, რომ კარგი ტელევიზია გაკეთდეს, მაგრამ ამას მავანი ხელოვნურად ბლოკავს.

**— ეს „მავანი“ ვინაა?**

— კონკრეტულ სახელს ვერ დავარქმევ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არსებობენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც იდეოლოგიური თვალსაზრისით, ცდილობენ, რომ საზოგადოება პირველყოფილ დონეზე დაიყვანონ. ხშირად ეს გამოსდით.

**ესაუბრა ნათია ვერძეული**

**„ის, რაც „პირველ არხზე“ ხდება, ვერ ვიტყვი, რომ ან ჟურნალისტური კულტურაა დაცული, ან იმ ხარჯს ამართლებს, რომელიც ჩვენი ჯიბიდანაა გაღებული. სამწუხაროდ, „პირველი არხი“, როგორც ორგანიზაციული ერთეული, არ არსებობს, რაღაც კეთდება ფრაგმენტულად და სულ ესაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „პირველი არხის“ „პრაიმ ტაიმი“, აღარაფერს ვამბობ საინფორმაციო გამოშვებებზე. ეს კატასტროფაა! „პირველ არხზე“ ორი ბორდია და ეს ხომ სამარცხვინოა?! ბორდის ხელმძღვანელებს თავიანთი მრჩევლების ჯგუფი ჰყავთ, თავმჯდომარეს — თავისი. „პირველი არხის“ ხელმძღვანელობაში უამრავი უსაქმური ადამიანია. არ არსებობს სახელმწიფოსა და საზოგადოების სურვილი, რომ სიტუაცია გამოსწორდეს...“**

სტოპკადრი

## „სილქნეტი“ და „კავკასუს ონლაინი“ ერთიანდება

**ქართულ ინტერნეტბაზარზე მოქმედი ორი დიდი კომპანია — „სილქნეტი“ და „კავკასუს ონლაინი“ გაერთიანებას გეგმავს. შერწყმის შესახებ განაცხადი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში უკვე შესულია.**

**„სილქნეტში“ ადასტურებენ, რომ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას „კავკასუს ონლაინთან“ გაერთიანების უფლების მინიჭების თაობაზე განცხადებით უკვე მიმართეს.**

**„ინტერპრესნიუსი“**



## გიორგი მარგველაშვილი: „ჩვენი მოწინააღმდეგე ცდილობს, ითამაშოს ჩვენს ნერვებზე!“

**საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი შინდისში, დაღუპული გმირების პატივის მისაგებად გამართულ ღონისძიებას დაესწრო. შინდისში, პრეზიდენტთან ერთად, თავდაცვის მინისტრი და მთავრობის სხვა წევრებიც იმყოფებოდნენ. პრეზიდენტი საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა.**

**„ჩვენი მოწინააღმდეგე ყოველდღიურად ცდილობს ითამაშოს ჩვენს ნერვებზე იმით, რომ გაგვაღიზიანოს და ყველაზე მძაფრი ჭრილობა, რომელიც არის ოკუპაციის ხელოვნური ხაზი, მუდმივად კიდევ უფრო გაგვიმძაფროს და გაგვიღიზიანოს. მათ არ იციან, რომ ჩვენ გვაქვს მოთმინების არაჩვეულებრივი უნარი. ჩვენ ვდგავართ ამ ადგილას სიამაყით, სადაც ჩვენ ვერ დაგვჩაგრეს. სადაც ჩვენ მოგვიგეს ბრძოლა, მაგრამ ვერ გატეხეს ქართველი კაცის სული“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.**

**„ინტერპრესნიუსი“**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ქართული სიტყვა
12 – 18 აგვისტო 2015 | № 32 (296) | 9
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პარტიული დავა

# ნინო ბურჯანაძე პარტიის გარეშე რჩება?!

## დადგება თუ არა გიორგი თარგამაძის პასუხისმგებლობის საკითხი – გოჩა ჯოჯუა პოლიტიკაში ბრუნდება

**თუ სააპელაციო სასამართლომაც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, შესაძლოა, ნინო ბურჯანაძე მომავალ საპარლამენტო არჩევნებს პარტიის გარეშე შეხვდეს. მოსამართლე მაია სუდაძის გადაწყვეტილებით, ნინო ბურჯანაძემ კანონდარღვევით დაიკავა ყოფილი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის სავარძელი, ანუ ექსსპიკერმა და პრეზიდენტობის ექსკანდიდატმა პარტია კი არ მიიერთა, არამედ, თვითონ მიუერთდა „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“. ეს უკანასკნელი დღეს სხვა სახელით ფუნქციონირებს, თუმცა არსებობს შანსი, რომ ძველ სახელწოდებას მალე დაიბრუნებსო. „ქართული სიტყვა“ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ახალ ლიდერს, გოჩა ჯოჯუას ესაუბრა.**

**– ბატონო გოჩა, ელოდით, რომ სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა?**

– იურისტები ცალსახად ამბობდნენ, რომ სამართლებრივად, ჩვენ მართლები ვიყავით, მაგრამ იმაზე, თუ რამდენად შეძლებდა მოსამართლე ფსიქოლოგიური ზეწოლისგან გათავისუფლებას, ვერაფერს გვეუბნებოდნენ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ავტორიტეტული ადამიანის წინააღმდეგ ვიბრძოდით – ნინო ბურჯანაძე ორჯერ იყო პრეზიდენტის მოვალეობის შესმრულებელი, ორჯერ – პარლამენტის თავმჯდომარე და ეს მოსამართლისთვის დიდი ფსიქოლოგიური წნეხი იქნებოდა. არსებობდა ის მომენტიც, ხელისუფლება ამ სიტუაციაში ჩაერეოდა თუ არა. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, ეს ქართული პოლიტიკური სივრცისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, როცა მოსამართლე მაია სუდაძემ სამართლებრივი რეგულაციებით იმსჯელა და გადაწყვეტილებაც ასე მიიღო. როცა ჰკითხეს, ადგილობრივ თვითმმართველობებში 150 დეპუტატი გვყავს და ამას რა ეშველებაო, მოსამართლემ უპასუხა, რომ ეს მისი კომპეტენცია არაა და სამართლებრივ სივრცეში დავა კონკრეტულ ფაქტზე მიდის.

**– მაინც, რა ფაქტზე?**

– სადავო ის გახდა, რომ ყრილობა არასწორად ჩაატარეს. კანონმდებელმა, რომელმაც თავის დროზე პარტიების შესახებ კანონი მიიღო, განსაზღვრა, ხელმძღვანელ პირებს რისი უფლება აქვთ და რისი – არა. არის საკითხი, რომელიც პარტიის ფართო შემადგენლობის გადასაწყვეტია და ესეც სწორედ ასეთი საკითხი იყო. ყრილობის მოწვევასაც თავისი წესი აქვს, თუმცა ნინო ბურჯანაძემ და მისმა გუნდმა ეს მომენტები არ გაითვალისწინეს. ყრილობას მხოლოდ 11 „ქრისტიან-დემოკრატი“ ესწრებოდა, დანარჩენები კი არაუფლებამოსილი პირები იყვნენ.

სასამართლოს გადაწყვეტილება, პოლიტიკურად ასეთი, ძალიან ბევრ ცვლილებას იწვევს.

**– კონკრეტულად?**

– ვაღიარებ, რომ ბურჯანაძე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სერიოზული მოთამაშეა, მაგრამ ამ ამორალური მოქმედებების შედეგად, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა – იცოდა, რომ პოლიტიკურ პარტიაზე იყო საუბარი და არა – ერთ-ორ პიროვნებაზე. ამიტომ, უნდა მოეხერხებინა, რომ ის ადამიანური რესურსი, რაც „ქრისტიან-დემოკრატებში“ არსებობდა, გამოეყენებინა...

**– ბატონო გოჩა, მაშინ, როცა ეს ამბები დაიწყო, პარტიის უდიდესი ნაწილი, თქვენგან განსხვავებით, პარტიაში დარჩა. ახლა რატომ დაბრუნდით?**

– იმ ადამიანების პოზიცია, ვინც პარტიაში დარჩა, უფრო სწორი აღმოჩნდა. ჩემი წასვლით იმ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ვინც თანახმა არაა, გოჩა ჯოჯუასავით ადგება და წავაო, პრობლემა მოვუხსენი. ყველა რომ ჩემსავით მოქცეულიყო, მაშინ ის შედეგი, რომელიც ახლა დადგა, აღარ დადგებოდა. ჩემი გადაწყვეტილება უფრო ემოციური იყო და როგორც პოლიტიკოსმა, განვსაზღვრე, რომ ამ გარიგებაში მონაწილეობა არ მიმეღო. პარტიაში დარჩენილმა ადამიანებმა, არჩევნების დამთავრების შემდეგ, სარჩელი შეიტანეს და მთხოვეს, რომ ამ პროცესს სათავეში ჩავდგომოდი.

**– გარდა იმისა, რომ ყრილობა კანონდარღვევად აღიარა, სასამართლომ ნინო ბურჯანაძის მხარეს კიდევ რა დააკისრა?**

– ეს სასამართლოს პირველი ეტაპი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ აპელაციაზე განაცხადს შეიტანენ, რომელიც, ასევე, დარწმუნებული ვარ, იგივე გადაწყვეტილებას დატოვებს, მაგრამ ეს შეიძლება დროში გაიწელოს და პროცესი სამს თვეს გაგრძელდეს. ამ სამ თვეს გამოიყენებენ, თორემ მერე ის შედეგი დადგება, რაც სასამართლომ გამოიტანა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ის აქტი, რომელიც ამ ყრილობის მერე არის მიღებული, ბათილად ჩაითვლება. სუბიექტი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ დარჩება, რადგან რასაც „გაერთიანებული დემოკრატები“ დაარქვეს, მისი სამართალმემკვიდრეა. მოკლედ, შედეგი, რაც ამ დროისათვის მათ დადეს, იმ პოლიტიკურ ძალას დარჩება, რომლის სახელითაც არჩევნებში მონაწილეობდა და რომელშიც ჩვენი წევრებიც მონაწილეობდნენ. „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ არიან დეპუტატები, რომლებიც ამ სასარჩელო განაცხადს ხელს აწერენ – ვფიქრობ, პროცესების დამთავრებას ელიან. ვაღიარებ, რომ ხალხმა ხმა ნინო ბურჯანაძეს მისცა და ამისთვის ნინო ბურჯანაძემ მილიონი ლარი მიიღო. ეს მისია და ამას სადავოდ არ ვხდი. ერთი წლის დაფინანსებას, რომელიც ჰქონდა, ასევე, სადავოდ არ ვხდი და ვფიქრობ, რომ ეს დაიმსახურა. ჩვენ კი, ჩვენი მისაღები უნდა მივიღოთ.

**– თქვენი „მისაღები“ რა არის?**

– ეს ადამიანები ჩვენგან არაფერს იმსახურებენ. ბევრჯერ ვცადე, რომ სამართლიანობა მოლაპარაკების გზით დამდგარიყო და სასამართლოში არ წავსულიყავით, მაგრამ რატომღაც ჩათვალეს, რომ ჩვეულებრივი პარტიის წევრები ანგარიშის გაწევის ღირსნი არ არიან. როცა ასეთ იგნორირებას თავიანთი პოლიტიკური ჯგუფის წევრებს უკეთებენ, თუ სახელმწიფოს სათავეში მოვლენ, იგნორირებას უკვე მოსახლეობას გაუკეთებენ. ამიტომ, ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

**– „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“, როგორც მახსოვს, გამართული ინფრასტრუქტურა ჰქონდა. ქონებაზეც დავობთ, ბატონო გოჩა?**

– „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ დღეს სამართლებრივად არსებობს – ნინო ბურჯანაძე ხომ ამ პარტიის თავმჯდომარე გახდა. ეს არ იყო გაერთიანება, ან სხვა პროცესი. სამართლებრივად, ნინო ბურჯანაძე „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ მიუერთდა და არა – პირიქით. უბრალოდ, ეს პარტია დღეს სხვა სახელით მოღვაწეობს. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერებმა შეცდომები დაუშვეს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს შეცდომა შეიძლება, დანაშაულის ტოლფასიც იყოს და ამიტომაც დაკარგეს ავტორიტეტი, რომელიც მანამადე ჰქონდათ. ისინი კარგი ჟურნალისტები იყვნენ და ეს რეიტინგი პოლიტიკაშიც გადმოყვათ, მაგრამ ლიდერების დამსახურება იყო, რომ რეიტინგი დავარდა,




განსაკუთრებით, – „რვიანის“ დაშლის მერე. ამ რვიდან ექვსი პარტია დღეს ხელისუფლებაშია... ეს გადაწყვეტილება პარტიის ხელმძღვანელობამ მიიღო და ისინი, ვინც მაშინ ვამბობდით, რომ „რვიანი“ არ უნდა დაშლილიყო, უმცირესობაში აღმოვჩნდით. მოკლედ, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ „ნაცმოძრაობას“ არ დაპირისპირებოდნენ და ამან „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ საბოლოოდ სატელიტის სახელი დაუმკვიდრა. ამით საბოლოოდ დაასაფლავეს პარტია, რომელსაც 10%-იანი რეიტინგი ჰქონდა. ამის გამოსწორებას ვეცდებით. ვიცით, მარტო რომ ვერ შევძლებთ, მაგრამ შევეცდებით, პოლიტიკური პარტნიორები მოვძებნოთ. დღევანდელი სიტუაციით, ვფიქრობ, ქვეყანა შავად და თეთრად არ გაიყოფა და პარლამენტში შესვლას ხუთამდე პარტია შეძლებს.

**– ეს ნიშნავს იმას, რომ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ პოლიტიკურ ორბიტაზე ბრუნდება?**

– დიახ, დაბრუნდება და ურთიერთობას პარტნიორებთანაც გააგრძელებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე მძიმეწონოსანთა მდგომარეობა იცვლება. ბურჯანაძეს სერიოზულად მოაკლდება ის წონა, რომელიც აქვს. იმის მაგივრად, რომ თუნდაც საჯარო დალაპარაკება მომხდარიყო, მხოლოდ აგრესია და შეურაცხყოფა მოდიოდა. მისი პოლიტიკური შეცდომაც სწორედ ესაა, მაგრამ ამ დღეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ყველაფერი ეს გააზრებული არ აქვთ. თუ დალაპარაკებას გვერდში მდგომებთან ვერ ახერხებს, ძნელი წარმოსადგენია, თუ ქვეყნის სათავეში მოვა, სახელმწიფო საკითხები რომ გადაწყვიტოს. მითის, რომ ნინო ბურჯანაძე ერთადერთია, ვინც პუტინთან შეხვედრას ახერხებს, არ მჯერა. მთავარი ის კი არაა, ვის ხვდები, მთავარია, რას აკეთებ და ქვეყნისთვის რა შედეგი მოგაქვს. თუ პოლიტიკურ შედეგად ის მიგაჩნია, რომ ვილაცას ხელისუფლებაში მოსვლისთვის ხვდები, ეს სახელმწიფოსთვის პოლიტიკური შედეგის მომტანი არაა.

**– წელან „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერთა დანაშაულებრივი ქმედებები ახსენეთ, ანუ გიორგი თარგამაძემ, ლევან ვაფხვაძემ და გიორგი ახვლედიანმა პასუხი უნდა აგონ?**

– თარგამაძეს, ამ შემთხვევაში, იურიდიულად პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვს, რადგან გადამდგარი იყო. დარჩა ლევან ვეფხვაძე, რომლის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარია და ვიდრე შემეძლება, პოლიტიკაში არ მოვუშვებ! ვეფხვაძე პოლიტიკაში მოსაშვები არაა და ვფიქრობ, რომ მისი იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. უნდა იგრძნოს, რომ ამორალურად მოქცევა დასჯადია.

**– რაც შეეხება გიორგი ახვლედიანს?**

– ახვლედიანის მოქმედებები და ის ისტერიკა, რომელშიც ჩავარდნილია, მაფიქრებინებს, რომ თავის თავს ვერდიქტი უკვე გამოუტანა. ახვლედიანი იმ გადაწყვეტილების შემსრულებელი იყო, რომელიც ვეფხვაძის თავში დაიგეგმა. აქედან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობა ნაკლებია. ის ახლაც შემსრულებელია. თუ ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ ახვლედიანის ასეთი მოქმედება რამეს შემატებს, მისი გადასაწყვეტია. ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი, მაგრამ ჩვენ ყველა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებას ვაპირებთ, რომ ასეთი ადამიანები პოლიტიკას მოვაშოროთ. მათ ბერკეტი არ უნდა ჰქონდეთ, რომ ადამიანების ბედი გადაწყვიტონ.

**– ისიც თქვეს, ბატონო გოჩა, რომ ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ ხელისუფლების გარკვეული ფრთა გმართავთ...**

– ჩამოყალიბდნენ: პირველ ეტაპზე თქვეს, რომ „ნაცმოძრაობა“ შეგვეკრა... რეალურად, ორ სუბიექტს შორის დაძაბული ურთიერთობა, შეიძლება, ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ძალას აწყობდეს. შენი მოქმედებებით, ან მტრებს შეიძენ, ან მეგობრებს. ჯერჯერობით, ესენი მხოლოდ მტრების შეძენას ახერხებენ. თუ მოვახერხე, რომ ნინო ბურჯანაძემ პოლიტიკური სივრციდან ჩაიწია, ეს სწორი ბრძოლის შედეგი იქნება და ამაში ხელისუფლება რომ არ ჩარეულა, ნამდვილად ვხედავ. „ნაცმოძრაობამ“ რომც მოინდომოს, ვერ ერევა, რადგან ამის ბერკეტები არ აქვს. ასე რომ, ვფიქრობ, სწორად მივდივართ – ჩვენ ვეძებთ მეგობრებს და არა – მტრებს. ცოტა ხანში იმასაც იტყვიან, რომ ბრიუსელი და ვაშინგტონიც მხარს მიჭერს და ეს უკვე იმის მანიშნებელი იქნება, რომ ისეთ ფსიქიურ მდგომარეობაში შევიდნენ, თავს ველარ აკონტროლებენ. მიხვდნენ, რომ აგებენ, თან ვისთან – იმ ადამიანებთან, ვისზეც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ისინი პოლიტიკურად შეიძლება, მათი საპირწონენი ყოფილიყვნენ.

**ესაუბრა ნათია ვერძეული**

> **„ლევან ვეფხვაძეს, ვიდრე შემეძლება, პოლიტიკაში არ მოვუშვებ! ვეფხვაძე პოლიტიკაში მოსაშვები არაა და ვფიქრობ, რომ მისი იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. უნდა იგრძნოს, რომ ამორალურად მოქცევა დასჯადია!.. გიორგი ახვლედიანის მოქმედებები და ის ისტერიკა, რომელშიც ჩავარდნილია, მაფიქრებინებს, რომ თავის თავს ვერდიქტი უკვე გამოუტანა. ახვლედიანი იმ გადაწყვეტილების შემსრულებელი იყო, რომელიც ვეფხვაძის თავში დაიგეგმა. ის ახლაც შემსრულებელია. თუ ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ ახვლედიანის ასეთი მოქმედება რამეს შემატებს, მისი გადასაწყვეტია...“**

№ 32 (296)
12 - 18 აგვისტო 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გახმაურებული საქმეები

# „ჟვანია წყნეთის გზაზე თავისი დაცვის წევრებმა მოკლეს!“

**მას შემდეგ, რაც რუსეთმა ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი ჭრილობა მიაყენა, შვიდი წელი გავიდა, თუმცა ეს ომი შვიდი კი არა, 200 წლის წინ დაიწყო... რა კითხვის ნიშნები არსებობს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით და რითი განსხვავდება თანამედროვე ოკუპაცია თუნდაც 90-იანი წლების ე.წ. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებისგან? – „ქართული სიტყვა“ უსაფრთხოების ექსპერტ ვახტანგ მაისაიას ესაუბრა:**



**რატომ იყო ჟვანია რაულ უსუპოვთან ერთად – სკანდალური ინტერვიუ გარდაცვლილი პრემიერის ყოფილ რეფერენტთან**

– აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტი ერთმანეთისგან არსობრივად განსხვავდება. პირველი სეპარატისტული ფესვების მატარებელია, მეორე კი, ირედენტისტულია. ჩრდილოეთ და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ადამიანები ერთ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ და სწორედ აქედან გამომდინარე, მათი ქმედებები ირედენტისტულია.

1921 წლის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკვე ფიგურირებს, როგორც ეთნო -კულტურული ავტონომია, ბოლშევიკებმა კი, ეს ფაქტი უცვლელად დატოვეს. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. ისიც საგულისხმოა, რომ არსებობდა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაცია, რომელშიც სამი სუბიექტი – საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი იყო გაერთიანებული: ამ სამ ქვეყანას, შემდგომში, 1925 წელს, აფხაზეთი დაემატა, როგორც ფედერაციაში შემავალი დამოუკიდებელი სუბიექტი. საბოლოოდ, ეს ფედერაცია, რა თქმა უნდა, დაიშალა და ზემოხსენებული სუბიექტები სსრკ-ს შემადგენლობაში დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკებად მოიაზრებოდნენ. სწორედ სტალინმა დაუბრუნა აფხაზეთს ის სტატუსი, რაც ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციაში ჰქონდა. როცა ბოლშევიკები ჩვენს გასაწითლებლად შემოიჭრნენ, მაშინდელი მხედრობა, კვინიკაძისა და შემდგომში, მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით, ყველა საკითხს აფხაზეთის ადგილობრივ მმართველს, შერვაშიძეს უთანხმებდა.

**– ესე იგი, ტერიტორიული ნალმები მაინცდამაინც ბოლშევიკებს არ უნდა მივაწეროთ?**

– ბოლშევიკებმა სტატუს-კვო შეინარჩუნეს, თუმცა საკმაოდ დიდი ტერიტორიები თურქეთსა და აზერბაიჯანს გადასცეს. 1992 წელს, ქართულმა მხარემ, თურქეთის პრეზიდენტ დემირელთან ერთად, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც ისტორიულ ტაო-კლარჯეთზე უფლებამოსილებას თურქულ მხარეს გადასცემდა.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირმა ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც საკმაოდ სახიფათო ტერიტორიული ნაღმები დაუტოვა, თუმცა იქაურმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ამ პრობლემებს, ჩვენგან განსხვავებით, გვერდი საკმაოდ მარტივად აუარა. ჩვენმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ კი, 1988-1989 წლებში, ცხინვალში ვითარება დაძაბა, თორემ ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელი იყო, ჯერ კიდევ 90-იან წლებში, თავიდან აგვეცილებინა ოსურ-აფხაზური ტრაგედია. საბჭოთა პერიოდშიც, აფხაზ და ქართველ კომუნისტებს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა არსებობდა. სიტუაცია ხრუშჩოვის ეპოქაში გამწვავდა – ეს უკანასკნელი აფხაზებს ქართველების წინააღმდეგ აქეზებდა, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი ჰქონდა: სტალინის მიმართ პიროვნული ზიზღი ქართველების შევიწროებაში გადაიზარდა და ამას, ალბათ, 1956 წლის დემონსტრაციის სისხლიანი დარბევაც მოწმობს.

აფხაზებში ქართველების მიმართ სიძულვილის ჩანერგვა ორმა ქართველთმოძულემ – ხრუშჩოვმა და სუსლოვმა დაიწყო. აფხაზებმა საბჭოთა სოციალისტურ რუსეთთან შეერთების მოთხოვნით, გამოსვლები დაიწყეს. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, აფხაზეთის მმართველი წრეები გამოდიოდნენ ჩვენს წინააღმდეგ და ეს დაძაბულობა 80-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა, შემდეგ, კონფლიქტი თითქოს დაცხრა, მაგრამ გორბაჩოვის პერიოდში დაპირისპირებამ ახალი სახე მიიღო და შედეგს დღესაც ვხედავთ.

1989 წელს, სოფელ ლიხში, დიდი აფხაზური სახალხო კრება მომზადდა და სეპარატისტული გეგმები სწორედ ამ თავყრილობაზე გასაჯაროვდა.

დავუბრუნდეთ 1989 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნოემბრის მარშს ცხინვალში. ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა, რომელმაც მარგინალი ჩოჩიევი, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეროვნულ გმირად აქცია. ვითომ ამ ბორის ჩოჩიევმა შეაჩერა ქართველები ცხინვალში, პრაქტიკულად, ეს იყო ხაფანგი, რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისტორიის მსვლელობაში.

**– ბატონო ვახტანგ, ასე მოვედით აგვისტოს ომამდე... 5-დღიან ბრძოლებზე რა კითხვის ნიშნებს სვამთ?**

– ვიდრე 2008 წლამდე მივალთ, არ შემიძლია, არ ვახსენო 2004-2005 წლების შეტაკებები, რომლებიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სააკაშვილის ხელისუფლებამ, ასე ვთქვათ, ითავა. 2004 წლის ზაფხულში, საქართველოს პრეზიდენტმა თავდაცვის მაშინდელ მინისტრთან, ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად, სამაჩაბლოში ჯარი შეიყვანა, რომელმაც ცხინვალის გარშემო დაიკავა სიმაღლეები. სხვათა შორის, ამ კონფლიქტს, დაახლოებით, 60 ქართველი სამხედრო პირი შეეწირა და საბოლოოდ, ეს ავანტიურა პირადად ზურაბ ჟვანიამ შეაჩერა. სწორედ მაშინ გაჩნდა ხელახალი ბზარი ქართულ-ოსურ ურთიერთობებში.

**– ხსენებულ სამხედრო დაპირისპირებაში რუსები რატომ არ ჩაერთვნენ?**

– რა თქმა უნდა, ჩაერთვნენ – გამოგზავნეს კაზაკი მოხალისეები და რომ არა ჟვანია, 2008 წლის ვითარებას ბევრად უფრო ადრე მივიღებდით. შეცდომა იყო ერგნეთის ბაზრის გაუქმებაც, რომელმაც, პრაქტიკულად, უნდობლობის ელემენტები შემოიტანა ქართულ-ოსურ ურთიერთობებში.

მე, როგორც შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი, ვიტყვი, რომ 1998-2005 წლები ყველაზე სტაბილური პერიოდი გახლდათ – კონფლიქტის ზონაში საკმაოდ ხშირად ჩავდიოდი და დღევანდელთან შედარებით, ბევრად უკეთესი სიტუაცია მხვდებოდა. ერგნეთის ბაზრობა კი, ნდობის აღდგენის ერთადერთი საშუალება იყო, რომელიც მიშას ხუშტურების გამო, ხელის ერთი მოსმით მოსპეს. ამიტომ ნათელია, თუ ვინ გაამწვავა არსებული ტერიტორიული დაპირისპირება.

**– კი, მაგრამ, როცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ოკუპანტი დგას, იმაზე საუბარი, თუ ვინ დაიწყო ომი, უხერხული არაა?**

– 2005 წელს, რუსეთმა თავისი სამხედრო ბაზები, ჟვანიასა და სალომე ზურაბიშვილის შემწეობით, საქართველოდან გაიყვანა, კონფლიქტის ზონაში კი, მხოლოდ რუსი „სამშვიდობოები“ რჩებოდნენ. სხვათა შორის, 1992 წლის სოჭის ხელშეკრულებით, სამაჩაბლოში ქართული სამხედრო შენაერთებიც უნდა ყოფილიყვნენ. იმ თეზისს, რომ ომი თითქოს საქართველომ დაიწყო, რა თქმა უნდა, არ ვემხრობი, თუმცა ტალიავინის დასკვნაში წერია, რომ 2008 წლის აგვისტოში, პირველად სწორედ ქართულმა მხარემ გაისროლა. ამავე დასკვნაში წერია, რომ ომისთვის რუსები დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ, მაგრამ დაპირისპირების საბაბი (და არა მიზეზი) 7 აგვისტოს დაბომბვა გახდა. ოსური მხრიდან იყო სროლა, ჩვენ ვუპასუხეთ, შეტევაზეც გადავედით და შეცდომაც სწორედ ეს გახლდათ.

**– სხვა გზა დაგვიტოვეს?**

– კარგად გვახსოვს ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა – მათ სურდათ, იურისდიქცია სამხედრო გზით აღედგინათ.

**– ეს საპასუხო ნაბიჯი იყო...**

– შეგვეძლო წერტილოვანი დარტყმების მიყენება, შეტევაზე არ უნდა გადავსულიყავით. 7-ში ცხინვალის დაკავებაც ვერ მოვახერხეთ და 8-ში უკვე პოზიციურ ბრძოლაზე გადავედით. ჩვენ ვერც მოწინააღმდეგე შევაფასეთ და რუსების შემოსვლამდეც შევფერხდით. კოკოითი ისეთივე კურდღელი აღმოჩნდა, როგორიც სააკაშვილი იყო – ის ჯავაში გაიქცა და ცხინვალზე კონტროლი ბარანკევიჩმა აიღო, რომელიც პროფესიონალი სამხედროა.

სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით, ჩვენმა ჯარმა პირველი მისია ვერ შეასრულა – ცხინვალის დაკავება ვერ შევძელით. ვერ დავიკავეთ ლენინის მოედანი, პარლამენტისა და უნივერსიტეტის შენობა. ჩვენი შეტევები იყო „სოლისებური“, აგრეთვე, არ გვქონდა კოორდინაცია და არც ქალაქში მძიმე ტექნიკის შეყვანა იყო გამართლებული.

ვერ გავითვალისწინეთ ის შეცდომა, რაც რუსებმა ჩეჩნეთის ომში დაუშვეს. ოსებმა ჩაჩეხეს ჩვენი სატანკო ნაწილი და ცენტრალური რაიონების შენარჩუნება შეძლეს – მაშინ 8 ტანკი დავკარგეთ.

ჩვენი არმია მოქმედებაში იმიტომ ჩაერთო, რომ მერაბიშვილის სპეციალიზირებულმა ჯგუფმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა და ალყაში მოექცა. ჯარმა კი, პირველი ზღუდე გაარღვია და მეორე თავდაცვითი ბარიერის გადალახვა დაიწყო, თუმცა ქალაქის სექტორული პრინციპით დაკავების ნაცვლად, როგორც ვთქვი, „სოლისებური შეტევა“ წამოვიწყეთ და პირველი შოკი მივიღეთ. შეტევის ტემპი შენელდა, სატანკო ნაწილი შეაჩერეს და ოსები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. ყველაფერი ეს იმის ბრალი იყო, რომ ოპერაციას არაკომპეტენტური ადამიანები გეგმავდნენ და ტაქტიკურ მონახაზებში სამოქალაქო პირები ერეოდნენ.

**– ცხინვალში შეჭრის ოპერაცია ვინ დაგეგმა?**

– არ ვიცი... გორში რაღაც შტაბი შეიქმნა და შეტევებს იქიდან გეგმავდნენ, თუმცა სრული ინფორმაცია ამ შტაბს არ ჰქონია. სააკაშვილის მთავარი მიზანი ცხინვალის დაკავება, იქ სამხედრო აღლუმისა და სამოქალაქო მიტინგის ჩატარება იყო.

მიშა არც როკის გვირაბზე ფიქრობდა, არც – ზნაურსა და ჯავაზე. მოკლედ, ცხინვალისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაკავების გეგმა არ არსებობდა. ამ საკითხს ხელისუფლების წარმომადგენლები მეორეხარისხოვნად უყურებდნენ და ეგონათ, რომ ცხინვალში, უბრალოდ, გავისეირნებდით. ბერლინის აღებას ჟუკოვიც ასეთი ილუზიით აპირებდა და საბოლოოდ, მის გაუაზრებელ მოქმედებებს ერთი მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი შეეწირა.

მექმნება შთაბეჭდილება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი სამ ავტორიტარულ რეჟიმს შორის დაპირისპირება იყო... პუტინი ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს, რომელიც ხელიდან არ გაუშვა – კარგად შეარჩია.

**– ამ ომში ამერიკელების როლზე რას იტყვით?**

– აშშ-ც და ნატო-ც ცხინვალში შეჭრის კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ. კონდოლიზა რაისმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნშიც აღნიშნა, რომ სააკაშვილს ჯერ კიდევ ივლისში, თითების ქნევით აფრთხილებდა, რომ პროვოკაციას არ აყოლოდა.

**– აბა, ჩვენს ხელისუფლებას ვისი იმედი ჰქონდა?**

– არ ვიცი... ალბათ, ეგონა, რომ რუსებს დაჟანგებული ტანკები და ავტომატები აქვთ. ის ფაქტი, რომ კულახმეტოვს 300 000 დოლარად გაურიგდნენ, გარანტიას არ გვაძლევდა. კულახმეტოვმა ფული ხრულოვს გადასცა და ეს უკანასკნელი ალყაში ამიტომაც მოექცა, თორემ ვის გაუგია, მეთაური ფრონტზე პირველი შემორბოდეს? ამ კაცმა ელემენტარული სამხედრო წესდება დაარღვია. დღესაც კი, კორუფციის მუხლით, ხრულოვსა და კულახმეტოვზე სისხლის

გაგრძელება მე- 11 გვ.

**„ერთ-ერთი მოტივი ფოთის პორტი იყო. სააკაშვილს არაბი ინვესტორების მოყვანა უნდოდა, რომლებიც ამ საქმეში 300 მილიონს ჩადებდნენ. ზურა ამას ეწინააღმდეგებოდა – ბევრად უფრო მსხვილი ინვესტიციის მოზიდვას გეგმავდა. თანაც ზურამ იცოდა, თუ რა ძალა იდგა ამ არაბების უკან.**

**უსუპოვი ჟვანიას გუნდის წევრი იყო, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ ეს ინვესტიცია კარგს არაფერს მოგვიტანდა. მოკლედ, მიშა არაბებს ლობირებდა, ზურა სხვა, უფრო ტრანსფარანტულ კომპანიას. მათი ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა და სააკაშვილმა ზურას მოშორების გადაწყვეტილება მიიღო.**

**როგორც კი პრემიერი მოკლეს, ფოთის პორტი ხსენებულ არაბებს გადაეცათ. ინვესტორთა უკან იდგა საკმაოდ ოდიოზური პიროვნება – ადნან ხაშოკი, რომელიც ყველაფერზე იყო წამსვლელი...“**

## გახმაურებული საქმეები

მე-10 გვერდიდან

სამართლის საქმეა აღძრული. რუსეთის ხელისუფლებამ ეს პირები მარგინალებად აქცია. ხრულოვს, თავისი საეჭვო ქმედებების გამო, სამხედრო პენსიასაც კი არ აძლევენ.

ამ გარიგებაზე რუსეთის დაზვერვამ ყველაფერი იცოდა. ჩვენ კი, ისიც ვერ გავიგეთ, რომ „გე-რე-უ-“ს გენერალიტეტი 3 აგვისტოს კოკოითთან მოლაპარაკებებს მართავდა და ცხინვალის ბრძოლისას, ბარანკევიჩის მხარდამხარ, სწორედ ამ უწყების მებრძოლები მოქმედებდნენ.

რაც უნდა იყოს, რომ არა რუსეთის რეგულარული არმია, ჩვენ ნებისმიერ ოსურ ბარიერს გადავლახავდით, გადავეწყობოდით და პირველადი შოკიდან გამოვიდოდით. სხვათა შორის, ამ სიტუაციამ სტალინგრადის ეპოპეა გამახსენა, როცა „ვერმახტმა“ საკმაოდ კარგად გადალახა რამდენიმე თავდაცვითი ზღუდე, შემდეგ, შეყოვნდა და კონტრიერიშზე საბჭოელები გადავიდნენ. ამოსასუნთქად, მაქსიმუმ, ერთი დღე გვჭირდებოდა, თუმცა რუსებმა ამის საშუალება არ მოგვცეს.

ყველაფერს დაერთო რუსული ავიაცია — საჰაერო სივრცეს ვერ ვაკონტროლებდით და ამან ფატალური შედეგი მოგვიტანა. „გე-რე-უმ“ რუსებს შეატყობინა, ქართველები გადაჯგუფდებიან და ველარ გავძლებთო, ამიტომაც დაიწყო საჰაერო იერიში. კარგი საზენიტო სისტემის შემთხვევაში, შეგვეძლო, რომ მტრისთვის ბევრად ეფექტური წინააღმდეგობა გაგვეწია.

**— ბატონო ვახტანგ, სამხედრო თვალსაზრისით, რა უნდა შევცვალოთ და გავაუმჯობესოთ?**

— არ ვიცი, ალასანიას მინისტრობისას რა ცვლილებები მოხდა. ვერც იმას ვხვდები, ომის საქმის გამოძიება რატომ გაასაიდუმლოეს. ეჭვი მეპარება, რომ დღევანდელი ხელისუფლება რამე ნორმალურ შედეგს დადებს. ვითარება უკვე ისეა მიშვებული, რომ კონფლიქტის დარეგულირების მიზერული შანსი გვრჩება. ჩვენს მთავრობას ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში მიზანმიმართული პოლიტიკა არ აქვს.

როგორც აღვნიშნე, ამ მხრივ ყველაზე სტაბილური სიტუაცია შევარდნაძის პერიოდში იყო: ბატონმა ედუარდმა მშვიდობიანი კავკასიის კონცეფცია შეიმუშავა და ამ ინიციატივამ რაღაც შედეგი გამოიღო. იმ პერიოდში სამოქალაქო სექტორიც საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული ნდობისა და მშვიდობის აღდგენაში. შევარდნაძის შემდეგ, ვიდრე პრემიერ-მინისტრი ჟვანია იყო, ეს ვითარება შენარჩუნებული იყო, მაგრამ ჟვანიას მკვლელობის შემდეგ, ყველაფერი აირია.

**— თქვენი აზრით, ზურაბ ჟვანია მოკლულია?**

— ეჭვიც არ მეპარება. ზურას რეფერენტი ვიყავი — უსაფრთხოების საკითხებზე ანალიტიკურ დოკუმენტებს ვუმზადებდი, ასევე, გარკვეულ რეკომენდაციებს ვაძლევდი. მოკლედ, კარგად ვიცნობდი და მისი ჩვეულებებიდან შემიძლია, რამდენიმე დეტალი გამოვყო:

ზურა ძალიან სპეციფიკურ სიგარეტს — მწვანე „მალბოროს“ეწეოდა. ვერ იტანდა დახუთულ სივრცეს. ამაზე ერთი ფაქტი მახსენდება: 2005 წლის იანვარში, კაბინეტში ვესტუმრე და გაუსაძლისი სიცივის მიუხედავად, ყველა ფანჯარა ღია იყო — ჩახუთულ სივრცეში ყოფნა არ შეეძლო.

გარდა ამისა, ზურას კვების რაციონიც საკმაოდ უცნაური ჰქონდა — პარლამენტის საკმაოდ მაღალი სტანდარტების სასადილოშიც კი არ მიირთმევდა. აგრეთვე, ვეგეტარიანელი გახლდათ.

ამ სამი დეტალითაც კი ნეიტრალდება არგუმენტი იმის შესახებ, რომ ზურა. კონსპირაციულ ბინაში, გაზით გაიგუდა, სადაც მიირთმევდა სოსისს, სვამდა კონიაკს და ეწეოდა წითელ „მალბოროს“. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოთახს აუცილებლად გაანიავებდა. ოქრუაშვილმაც დაადასტურა, რომ ჟვანიას ცხედარი იმ სახლში მიიტანეს და გაზით არ გაგუდულა.

**— თუ ამ ვერსიას გავყვებით, პრემიერის მოკვლის მოტივი რა უნდა ყოფილიყო?**

— ერთ-ერთი მოტივი ფოთის პორტი იყო. სააკაშვილს არაბი ინვესტორების მოყვანა უნდოდა, რომლებიც ამ საქმეში 300 მილიონს ჩადებდნენ. ზურა ამას ეწინააღმდეგებოდა — ბევრად უფრო მსხვილი ინვესტიციის მოზიდვას გეგმავდა. თანაც ზურამ იცოდა, თუ რა ძალა იდგა ამ არაბების უკან. უსუპოვი ჟვანიას გუნდის წევრი იყო, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა, რომ ეს ინვესტიცია კარგს არაფერს მოგვიტანდა. მოკლედ, მიშა არაბებს ლობირებდა, ზურა სხვა, უფრო ტრანსფარანტულ კომპანიას. მათი ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა და სააკაშვილმა ზურას მოშორების გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც კი პრემიერი მოკლეს, ფოთის პორტი ხსენებულ არაბებს გადაეცათ. ინვესტორთა უკან იდგა საკმაოდ ოდიოზური პიროვნება — ადნან ხაშოკი, რომელიც ყველაფერზე იყო წამსვლელი. მე, რა თქმა უნდა, ზუსტად არ ვიცი, კონკრეტულად ვის რა წვლილი მიუძღვის ზურას მკვლელობაში, თუმცა მისი ლიკვიდაციის სამი ვერსია არსებობს.

ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ პრემიერი წყნეთის გზაზე თავისი დაცვის წევრებმა მოკლეს. მეორე ვარიანტით, გაგუდეს, ხოლო თუ მესამე ვერსიას დავუჯერებთ, პირადად მიშას შემოაკვდა.

სხვათა შორის, ზურას არც კონსპირაციული ბინები ჰქონდა — შეხვედრებს ყოველთვის დედის სახლში მართავდა, მისი კაბინეტიც საკმაოდ მოხერხებული იყო.

გამოვყოფ კიდევ ერთ გარემოებას: 2005 წლის ზამთარში, ზურა მიშას მიერ შეწყალებულ ზვიადისტ საველე მეთაურ ჯელი ძარიას შეხვდა, რომელსაც სთხოვა, რომ სამეგრელოში პარტიული შტაბის შექმნაში დახმარებოდა. ჟვანია უკვე ოპოზიციაში გადადიოდა... აპირებდა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მოეთხოვა — ესეც კიდევ ერთი მოტივი.

ჯელი ძარია მიშამ ისევ ციხეში შეაბრუნა, შემდეგ კი, ქარდავა-ახალაიას დუეტმა აწამა, რათა ჟვანიასთან შეხვედრის დეტალები ეთქვა. ეს ფაქტი თვითონ ძარიამ დამიდასტურა...

**ესაუბრა დავით გალაშვილი**

„მე, როგორც შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი, ვიტყვი, რომ 1998-2005 წლები ყველაზე სტაბილური პერიოდი გახლდათ — კონფლიქტის ზონაში საკმაოდ ხშირად ჩავდიოდი და დღევანდელთან შედარებით, ბევრად უკეთესი სიტუაცია მხვდებოდა. ერგნეთის ბაზრობა კი, ნდობის აღდგენის ერთადერთი საშუალება იყო, რომელიც მიშას ხუშტურების გამო, ხელის ერთი მოსმით მოსპეს. ამიტომ ნათელია, თუ ვინ გაამწვავა არსებული ტერიტორიული დაპირისპირება“.



## საბურთალოს ქუჩის არაბული საიდუმლო

„იმ თეზისს, რომ ომი თითქოს საქართველომ დაიწყო, რა თქმა უნდა, არ ვემხრობი, თუმცა ტალიავინის დასკვნაში წერია, რომ 2008 წლის აგვისტოში, პირველად სწორედ ქართულმა მხარემ გაისროლა. ამავე დასკვნაში წერია, რომ ომისთვის რუსები დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ, მაგრამ დაპირისპირების საბაბი (და არა მიზეზი) 7 აგვისტოს დაბომბვა გახდა. ოსური მხრიდან იყო სროლა, ჩვენ ვუპასუხეთ, შეტევაზეც გადავედით და შეცდომაც სწორედ ეს გახლდათ.




„ის ფაქტი, რომ კულახმეტოვს 300 000 დოლარად გაურიგდნენ, გარანტიას არ გვაძლევდა. კულახმეტოვმა ფული ხრულოვს გადასცა და ეს უკანასკნელი ალყაში ამიტომაც მოექცა... ამ გარიგებაზე რუსეთის დაზვერვამ ყველაფერი იცოდა. ჩვენ კი, ისიც ვერ გავიგეთ, რომ „გე-რე-უ-“ს გენერალიტეტი 3 აგვისტოს კოკოითთან მოლაპარაკებებს მართავდა და ცხინვალის ბრძოლისას, ბარანკევიჩის მხარდამხარ, სწორედ ამ უწყების მებრძოლები მოქმედებდნენ.

რაც უნდა იყოს, რომ არა რუსეთის რეგულარული არმია, ჩვენ ნებისმიერ ოსურ ბარიერს გადავლახავდით, გადავეწყობოდით და პირველადი შოკიდან გამოვიდოდით. სხვათა შორის, ამ სიტუაციამ სტალინგრადის ეპოპეა გამახსენა, როცა „ვერმახტმა“ საკმაოდ კარგად გადალახა რამდენიმე თავდაცვითი ზღუდე, შემდეგ, შეყოვნდა და კონტრიერიშზე საბჭოელები გადავიდნენ. ამოსასუნთქად, მაქსიმუმ, ერთი დღე გვჭირდებოდა, თუმცა რუსებმა ამის საშუალება არ მოგვცეს“.

№ 32 (296)
12 – 18 აგვისტო 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“









# „თეთრი ტბა“ – წალკოტი გლდანში



არცთუ დიდი ხნის წინ აქ სამშენებლო მასალების ნაგავსაყრელი იყო. მაშინ რომ გეთქვათ, მოვა დრო და, აქაურობა წალკოტს დაემსგავსებაო, ცხადია, არავინ დაიჯერებდა ან, სულაც, გიპასუხებდათ, საამისოდ კეთილი ჯადოქარია საჭირო, რომელიც მხოლოდ ზღაპრებში არსებობსო, მაგრამ... ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ზღაპარი რეალობად იქცევა ხოლმე.

ყველაფერი კი, მას შემდეგ დაიწყო, რაც სამშენებლო მასალების ნაგავსაყრელი ბიზნესმენმა ნატალია კვანტალიანმა შეიძინა. სხვათა შორის, „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკი“ საქართველოში ფლაგმანია, თუმცა ამაზე სხვა დროს...

როგორია „თეთრი ტბა“? – ამას სიტყვებით ვერ გადმოსცემთ, ჯობია, ესტუმროთ და თავად განსაჯოთ.

ბედნიერ დასვენებას გისურვებთ!






## საინფორმაციო მხარდაჭერა

| N | საგანმანათლებლო პროგრამა დასახელება | სტატუსი | ვაკანტური ადგილები | საგანმანათლ. პროგრამის მისანიჭ. კვალიფიკაცია | პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საბაკალავრო პროგრამები:** | | | | | | |
| 1 | ინგლისური ფილოლოგია | აკრედ. | 10 | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 2 | ბიზნესის ადმინისტრირება | აკრედ. | 75 | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ.(თბილისი)<br><br>სწავლის წლიური საფასური 1500 ლ. სიღნაღის რ–ნი სოფ.საქობო, (უნივესიტეტის ქ. N32).<br>– II და III კურსი<br>**35 ადგილი** |
| 3 | სამართალმცოდნეობა | აკრედ. | 40 | სამართლის ბაკალავრი | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 4 | ტურიზმი | აკრედ. | 25 | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ.(თბილისი)<br><br>სწავლის წლიური საფასური 1500 ლ. სიღნაღის რ–ნი სოფ.საქობო, (უნივესიტეტის ქ. N32).<br>II და III კურსი<br>**15 ადგილი** |
| 5 | სასურსათო ტექნოლოგია | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 6 | ჟურნალისტიკა | აკრედ. | 15 | ჟურნალისტიკის ბაკალავრი | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 7 | აგროინჟინერია | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 8 | საერთაშორისო ურთიერთობები | აკრედ. | 10 | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი | | I და II კურსი სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| 9 | საჯარო მმართველობა | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 2250ლ. |
| **სამაგისტრო პროგრამები:** | | | | | | |
| 10 | ფინანსები | აკრედ. | 15 | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 11 | მენეჯმენტი | აკრედ. | 10 | ბიზნესის ადმტრირების მაგისტრი მენეჯმენტში | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 12 | სურსათის უვნებლობა | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 13 | მეცხოვ. პროდუქტების და ნედლეულის საქონელმცოდნეობა | აკრედ. | | | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 14 | სადაზღვევო საქმე | არა აკრედ. | 5 | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი სადაზღვევო საქმეში | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 15 | ტურიზმი | აკრედ. | 10 | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |
| 16 | სამართალი | აკრედ. | 35 | სამართლის მაგისტრი | | სწავლის წლიური საფასური 1800ლ. |







## „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ მობილობას აცხადებს

### 100-ლარიანი სტიპენდია წარჩინებული სტუდენტებისთვის, სწავლის საფასურის ყოველთვიური გადახა

„თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს 2015-2016 სასწავლო წლების შემოდგომის სემესტრის მობილობას.

უნივერსიტეტის რექტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, სოლომონ პავლიაშვილის თქმით, ყველა წარჩინებული სტუდენტი მიიღებს ყოველთვიურ 100-ლარიან სტიპენდიას.

ამასთან, „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში“ სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია არა მხოლოდ ოთხ ნაწილად, არამედ, ყოველთვიურადაც!

შემოდგომის სემესტრის მობილობა გამოცხადებულია შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

№ 32 (296)
12 – 18 აგვისტო 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, მეცნიერება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გამოხმაურება

# „საბანკო სექტორი ყოველგვარი ზეწოლისგან თავისუფალია!“

**„ქართული სიტყვის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ ეკონომიკის ექსპერტის, დემურ გიორხელიძის ინტერვიუს საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი, ზურაბ გვასალია გამოეხმაურა.**

**– ბატონო ზურაბ, ექსპერტთა ნაწილი მიანიშნებს, რომ ხელისუფლებამ საბანკო სექტორში განხეთქილებას მიაღწია, „საბანკო ასოციაცია“ გადაიბირა და ბანკებს დაუპირისპირა, რის გამოც „თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“ საბანკო ასოციაციის დატოვებას აპირებენ...**

– ამ სახის „კულუარულ“ ინფორმაციებზე კომენტარების გაკეთება არ მიყვარს ხოლმე, რადგან ცოტა არასერიოზულადაც კი მიმაჩნია იმის მტკიცება, რაც არ არსებობს. ამაზე ზედგამოჭრილია ნათქვამი, „ბნელ ოთახში შავ კატას არ ეძებენ“.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: დღეს საბანკო სექტორი არის არა მხოლოდ თავისუფალი ყოველგვარი ზეწოლისაგან, არამედ, კიდევ უფრო კონსოლიდირებული და ეკონომიკის მხარდაჭერაზე ორიენტირებული, ვიდრე ადრე ყოფილა.

**– ექსპერტმა ეკონომიკურ საკითხებში, დემურ გიორხელიძემ „ქართული სიტყვის“ წინა ნომერში საბანკო სექტორის ანომალიურ და მახინჯ ხასიათზე მიუთითა, რაც ეკონომიკის 2-პროცენტიანი ზრდის ფონზე, სარეკორდო მოგების მაჩვენებელში აისახება. იანვარ-ივნისის მონაცემებით, ბანკების წმინდა მოგებამ 243 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 26%-ით აღემატება?**

– ამ ლოგიკით, იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის ზრდის ტემპები გაცილებით დაბალი, ან უარყოფით ნიშნულზეა, საბანკო სექტორის მოგება უარყოფითი უნდა იყოს? თუ მაინდამაინც მისი ადექვატურობის შეფასება გვსურს, ასეთ შემთხვევაში, უნდა გამოვიყენოთ წმინდა მოგების შეფარდება საბანკო აქტივებთან მიმართებაში, რომელიც 2.6%-ია, რაც საკმაოდ ნორმალური მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ საშუალო ევროპულ მაჩვენებელს, რომელიც 1.2-1.8 პროცენტის ფარგლებშია.

ამასთან, საბანკო სესხების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, მარტო ბოლო 2 წელიწადში, 32-დან 48 პროცენტამდეა გაზრდილი, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი ინდიკატორია ეკონომიკის დაფინანსების შესაფასებლად.

პრეტენზიები ბანკების მიმართ, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში გაისმის და განსაკუთრებით აქტიურდება სავალუტო რყევების დროს, პოლიტიკური თუ წმინდა სოციალური ფაქტორებიდან გამომდინარე, მაგრამ ის, რაც ჩვენთან ხდება, არცთუ იშვიათად უაპელაციო ბრალდებები და ხელის გაშვერა კომერციული ბანკებისკენ, ყოველგვარი მყარი არგუმენტების და ფაქტების გარეშე, პრინციპულად მიუღებელია და ასევე, მეტად სახიფათოა ქვეყნის საფინანსო ბაზრისა და ეკონომიკის განვითარებისათვის. ჩვენ მოვისმინეთ ეკონომიკის სფეროში ყველაზე კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელი პირების შეფასებები, რომლის მიხედვითაც, ქართული საბანკო სექტორი აღიარებულია არათუ ქვეყნის, არამედ, რეგიონის წამყვან სექტორად.

ამ ე.წ. ანომალიურ საბანკო სექტორში, მარტო ბოლო 5 წელიწადში, 800 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია იქნა ჩადებული. ბანკებმა დანერგეს ახალი საოპერაციო პროგრამები და თანამედროვე ინტეგრირებული პროდუქტები, გაფართოვდა მომსახურების გეოგრაფია, გაიზარდა მომსახურების ხარისხი და ტერმინალთა რაოდენობა. მარტო ბოლო ერთ წელიწადში, 100-ზე მეტი სერვის-ცენტრი გაიხსნა თბილისსა და რეგიონებში.

დღეს საქართველოში საბანკო მომსახურება 24-საათიან რეჟიმშია შესაძლებელი, რაც ევროპის ბევრი ქვეყნისთვისაც დიდ ფუფუნებას წარმოადგენს. წამყვანი ორი ქართული ბანკის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟის ლისტინგშია და ესეც საინტერესოა, რომ მსოფლიოს წამყვანი საფონდო ბირჟა, რომელსაც კომპანიების შეფასების მკაცრი კრიტერიუმები აქვს, არ გაუფრთხილდებოდა თავის პრესტიჟს, ან რომელი უცხოელი ინვესტორი იქნებოდა დაინტერესებული ამ „ანომალიური“ და „მახინჯი“ სექტორის ბანკების აქციების შეძენით?

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული საბანკო სექტორის უკან დგანან ავტორიტეტული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომლებიც მნიშვნელოვანი წილის მფლობელები და აფილირებული პირები არიან, უცხოური კაპიტალის ხვედრითი წილიც საბანკო სექტორში საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს, 87 პროცენტს შეადგენს და როდესაც ამ ტიპის სრულიად უსაფუძვლო განცხადებების ტირაჟირება ხდება, ეს თავისთავად აისახება ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე. ამიტომ, თუ ანტისაბანკო განცხადებების ტენდენცია გაგრძელდა, ეს სერიოზულად უარყოფითად იმოქმედებს არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთებზე და გამოიწვევს მათ ზრდას, არამედ ეს ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს ეკონომიკის განვითარებაზე, მთლიანად.

**– დემურ გიორხელიძე ბანკებს, ასევე, ბრალს დებს არაპროფილური აქტივებით გატაცებაში, რითიც ბანკები ფაქტიურად ეკონომიკის სხვა სეგმენტების კონკურენტები არიან და რაც, ასევე, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას თუ ზრდის საბანკო სექტორის მოგებას?**

– სამწუხაროდ, ეს განცხადებაც არაობიექტურია და რეალურ საფუძველსაა მოკლებული, რადგან ბანკებს მნიშვნელოვანი შეზღუდვები აქვთ დაწესებული არაპროფილური აქტივების ფლობის კუთხით.

ბუნებრივია, რომ არაპროფილური აქტივების ფლობა თეორიულად შეიძლება, ზრდიდეს ბანკების შემოსავლებს და მოგებას, მაგრამ ამავდროულად, საერთაშორისო საბანკო პრაქტიკა რისკების მართვის თვალსაზრისით, ასევე, აწესებს შეზღუდვებს კომერციულ ბანკებზე სხვა ბიზნესში წილების ფლობასთან დაკავშირებით. ოღონდ აქ არის ერთი გარემოება გასათვალისწინებელი.

აქვე, მსურს განვმარტო, რომ ეს არ ეხება შემთხვევას, თუ ბანკი რომელიმე კომპანიაში ახდენს ინვესტირებას, ანუ არ ახორციელებს მის მართვას. ხოლო თუ ბანკი ფლობს არაპროფილური კომპანიების აქციებს, ასეთ შემთხვევაში, იგი უკვე იღებს იმ რისკების ნაწილსაც, რასაც ეს კომპანიები ატარებენ თავიანთ საქმიანობაში. ამიტომაცაა აღნიშნული შეზღუდვა დაწესებული რისკების მართვის თვალსაზრისით, რომ ამ კაპიტალის წილებმა ბანკის ხელშეუხებელი კაპიტალისა და რეზერვების ჯამური ოდენობის 50%-ს არ უნდა გადააჭარბოს, ანუ არ დააყენოს ბანკის კაპიტალი ზედმეტი რისკების ქვეშ.

ამასთან, კონკრეტული კომპანიის კაპიტალში თანამონაწილეობისას ბანკს ეკრძალება იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის 20 პროცენტზე მეტის ფლობა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ბანკის წილი არ აღემატება თვით ამ ბანკის ხელუხლებელი კაპიტალისა და რეზერვების ჯამური ოდენობის 15 პროცენტს.

მეორეს მხრივ, არსებობს არგუმენტები, რომლებიც მხარს უჭერს ბანკების საქმიანობის ფართო სპექტრით დაკავებას. კერძოდ, მცირდება ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემა. მსგავს ვითარებაში, ბანკები ფლობენ კლიენტი ფირმების ფინანსური მდგომარეობის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას, რაც აიოლებს მათი გადახდისუნარიანობის შეფასების შესაძლებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მყარდება გრძელვადიანი ურთიერთდამოკიდებულება ფირმებსა და ბანკს შორის, რადგანაც ასეთ შემთხვევაში, მენეჯერების მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების მოტივაცია მინიმუმამდე დადის. ბანკი აუმჯობესებს ინდუსტრიის შესახებ ცოდნას, რაც მას მომავალში ეხმარება აღნიშნულ ინდუსტრიაში მოღვაწე სხვა ფირმების უკეთესად შეფასებაშიც. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში კომერციული, ანუ უნივერსალური მომსახურების ბანკებისათვის შეუზღუდავია ფასიანი ქაღალდების ფლობა და შეზღუდულია არაპროფილური საქმიანობის წარმოება, რაც ქართული პრაქტიკის ანალოგიურია. მოგეხსენებათ, ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისათვის არაპროფილური აქტივების შეზღუდვის გადაწყვეტილება მიიღო და ბანკებს დაევალათ არაპროფილური აქტივებისაგან განთავისუფლების პროცესის დაწყება.



ინტერვიუ საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტ ზურაბ გვასალიასთან

საქართველოს რეალობაში ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, არსებობს საბანკო და რეალური სექტორის ურთიერთკავშირის როგორც წარმატების, ასევე, წარუმატებლობის შემთხვევები. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ცალსახად იმის მტკიცება, ინვესტიციები რეალური ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში უნდა იქნას წახალისებული თუ პირიქით. ამიტომ ამ თემის აფიშირებაც სპეკულაციურ ელემენტებს უფრო ატარებს, ვიდრე – ეკონომიკური თავსებადობისა.

ამასთანავე, შვილობილი საწარმოების კაპიტალში ინვესტიციები იქვითება საზედამხედველო კაპიტალიდან. საბანკო სისტემის ინვესტიციების ჯამური მოცულობა, ბოლო წლების მიხედვით, 3%-ს არ აღემატება და აღნიშნული რისკის პოზიცია თითქმის სრულადაა დაქვითული საზედამხედველო კაპიტალიდან.

**– მიუხედავად ამისა, დემურ გიორხელიძის აზრით, რასაც ექსპერტების ნაწილიც იზიარებს, ჩვენთან საპროცენტო განაკვეთები ძალიან მაღალია, რაც სერიოზულად აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, სამაგიეროდ, ზრდის ბანკების მოგებას...**

– ამ მოსაზრებაშიც პრინციპულად ვერ დავეთანხმებით. სამწუხაროდ, თქვენს მიერ ნახსენებ ექსპერტთა ეს ნაწილი ვერ აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთები გამომდინარეობს ბანკების მიერ მოზიდული სახსრების ღირებულებიდან სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკებიდან და, რბილად რომ ვთქვათ, ვერ იქნება სადეპოზიტო საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები. მიუხედავად ამისა, საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 2012 წლიდან მოყოლებული, საშუალოდ, 4-5%-ითაა შემცირებული. მსურს მოვიყვანო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და აღიარებული საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის, KPMG-ის (საერთაშორისო აუდიტორთა დიდ ოთხეულში შედის) მიერ თებერვალში ჩატარებული კვლევა, რომლის ამოცანა იყო, შეედარებინა საქართველოს კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებულ ძირითად საკრედიტო პროდუქტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთები აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან.

კვლევამ ცხადად აჩვენა, რომ საქართველოში სასესხო პროდუქტებზე საპროცენტო განაკვეთები უფრო ნაკლებია, ვიდრე – ყაზახეთში, სერბეთში, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში, სომხეთში და მეტიც, ვიდრე პოლონეთსა და უფრო განვითარებულ აღმოსავლეთ-ევროპულ ქვეყნებში. კვლევამ, ასევე, აჩვენა, რომ საქართველოს საბანკო სექტორი რეგიონალური ლიდერია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და დასაქმების თვალსაზრისით,

პოლონეთში უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთები სულაც არაა გასაკვირი, ეს არის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერი ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და საფინანსო სექტორის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირის ქვეყნებზე, საფინანსო სექტორის გაცილებით განვითარებული დონიდან და ეკონომიკის სექტორალური განვითარებიდან გამომდინარე.

თვალსაჩინოებისათვის, მოვიყვან საპროცენტო განაკვეთებს ბიზნეს სესხებზე საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების კუთხით: საქართველოში საბანკო განაკვეთი 11%-ია, სომხეთში – 14,7%, აზერბაიჯანში, რომელიც ჩვენზე დიდი ეკონომიკისა და მდიდარ ქვეყნად ითვლება, – 15,8%, ასევე, ენერგო რესურსებით მდიდარ ყაზახეთში – 12,5%, სერბეთში – 13,6% და მხოლოდ პოლონეთშია შედარებით დაბალი საპროცენტო მაჩვენებელი – 6,3%. ამ მონაცემებითაც ცხადად ჩანს, თუ რამდენად ადექვატურ საპროცენტო განაკვეთში სთავაზობს მომხმარებელს საბანკო სექტორი დღეს სესხებს.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული კვლევა კიდევ ერთ მითს ამსხვრევს „ხალხის ძარცვასა“ და „დრაკონულ განაკვეთებზე“ სამომხმარებლო სესხებთან მიმართებაში.

რაც შეეხება არაუზრუნველყოფილ, ანუ სამომხმარებლო სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც უფრო მაღალი რისკების მატარებელია, უზრუნველყოფილ სესხებთან შედარებით: საქართველოში საბანკო განაკვეთი 15,1%-ია, სომხეთში – 24%, აზერბაიჯანში – 22%, ყაზახეთში – 16,5%, სერბეთში – 20,5%, ხოლო პოლონეთში ანალოგიური მაჩვენებელი 14,%-ია და, როგორც ვხედავთ, არც იმდენად დაბალია საქართველოს ბანკების შეთავაზებულ განაკვეთთან შედარებით.

აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ მითები „ანომალიურ და მახინჯ“ საბანკო სისტემაზე, ერთხელ და საბოლოოდ, უნდა დაიმსხვრეს და რაც უფრო ადრე მოხდება ამის გაცნობიერება, მით უკეთესი იქნება ქვეყნის განვითარებისათვის;

უნდა გვახსოვდეს, რომ საბანკო სექტორის, მით უმეტეს, წამყვანი კომერციული ბანკების რეპუტაციული რისკის ზრდა მთლიანად აისახება ქვეყნის საფინანსო სექტორზე, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციებზე. აქედან გამომდინარე, არ მგონია, ეს ვინმეს ინტერესებში შედიოდეს, რადგან საბოლოო ჯამში, წაგებული ყველანი დავრჩებით.

**ესაუბრა ნატა შამათავა**

## მშვიდობა მსოფლიოს!

**საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში, 2000 წლის 30 აპრილს, კლარა ჰელტერმა „მშვიდობის კედელი“ ააგო და მასზე სიტყვა „მშვიდობა“ მსოფლიოს 49 ენაზე დაწერა. მან, ვისაც ამ კედლის შესახებ სმენია, შესაძლოა, ბესიკ ადამიაც გაეგოს, მაგრამ თუ არ გაგიგიათ, მაშინ ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ დაგამახსოვრდებათ... 2013 წელს, პრეზიდენტობის კანდიდატი ყოფილა... ამ საკითხზე, უფრო სწორად, იმ ციხე-გემზე, რომელსაც „ლაზიკა“ უნდა დარქმეოდა და რომელშიც ბატონ ბესიკს, თუკი პრეზიდენტი გახდებოდა, „უმსგავსო“ ადამიანები უნდა „შეეყარა“, ქვემოთ თავად რესპონდენტი ისაუბრებს... საქართველოში ვერა, მაგრამ საკუთარი „მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბის“ პრეზიდენტი გახდა, ოღონდ — 2008 წელს. კლუბის სლოგანი ასეთია: „ლანდ (ქვეყანა), ლიფე (სიცოცხლე), ლოვე (სიყვარული)“. პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი მოითხოვს, რომ პარიზის „მშვიდობის კედელზე“ ჯადოსნური სიტყვა „მშვიდობა“ ქართულადაც დაიწეროს. ამბობს, ყოველთვის მინდოდა, ისეთი რამ გამეკეთებინა, რითიც ჩემი ქვეყნის გამთლიანებასა და, საერთოდ, მშვიდობის დამყარებაში პატარა წვლილს შევიტანდი. ამიტომ ჩემს პატარა ავტომობილზე სიტყვა „მშვიდობა“ მსოფლიოს 22 ენაზე დავაწერეო...**

# ფრანგული შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ




## პრეზიდენტობის ექსკანდიდატი პარიზში, „მშვიდობის კედელზე“ მიბმას აპირებს

**— ავტომანქანაზე „მშვიდობა“ ფრანგულადაც დააწერეთ?**

— რა თქმა უნდა!

...ევროპაში, თან მაინც და მაინც, პარიზში პირველად 2004 წელს მოვხვდი. ეს ვიზიტი შეიძლება, როგორც ჩემს სასიკეთოდ, ასევე საუბედუროდაც შეფასდეს. სასიკეთოდ იმიტომ, რომ წილად მხვდა პატივი, მენახა ევროპის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი — პარიზი, საუბედუროდ კი იმიტომ, რომ პარიზის „მშვიდობის კედელზე“ ქართული წარწერა ვერ ვნახე... მაშინ სააკაშვილის პერიოდი იყო და მის სახელზე უამრავი წერილი გავგზავნე, ყველა ავაწრიალე, „მშვიდობის კედელზე“ ქართული წარწერა არაა და გვერდით დამიდექით-მეთქი.

**— მერე, აწრიალდნენ?**

— არა... რამდენიმე სამინისტრომ მომწერა, ვერ დაგაფინანსებთო. ერთი სიტყვით, შედეგი არ მოჰყვა... 2008 წლის 28 იანვარს, ჩემი და ჩემი მეგობრის დაბადების დღეს, ჩამოვაყალიბე „მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბი“. ომი რომ დაიწყო, ქუთაისიდან ჩემი ავტომობილით წამოვედი და ალმოდებული გორი გამოვიარე, ვიფიქრე, მშვიდობის წარწერებით რუსულ ტანკებს შევასკდები, ან წინ აღვუდგები-მეთქი...

**— პატრიოტული იდეაა, მაგრამ მის განხორციელებაში ხელი ვინმემ შეგიშალათ?**

— არ მითქვამს, უეჭველად გავაკეთებ-მეთქი... პოპულისტურად არ უნდა ისაუბრო და საქმე უნდა გააკეთო, მაგრამ რაღაცნაირად მინდოდა... სატელევიზიო კადრებში მოვხვდი და ტელეკომპანია „რიონიდან“ დამირეკეს, ხომ მშვიდობა გაქვსო. გორში გზა გადაკეტილი იყო და, რა თქმა უნდა, არ შემიშვეს.

მოკლედ, ჩემი მანქანით დავდიოდით, ხალხს ვხვდებოდით და მშვიდობის ერთგვარი ნიშა დავიკავეთ. 2011 წელს, როცა საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი, სარკოზი საქართველოში ჩამოვიდა, კვლავ მივწერე სააკაშვილს და შევეხვეწე, შემახვედრე-მეთქი, მაგრამ ვინ მიმიშვებდა... ამავე წელს, შემოდგომაზე, კეთილი ადამიანების დახმარებით, იტალიის ვიზა გავაკეთე და წავედი... 19 ოქტომბერს ვიზა მეხსნებოდა, 21-ში ნობელის დაბადების დღე იყო. ჰოდა, წავიღე ნახატები თბილისის ხედებით, ყანწები, ნობელის მუზეუმში შევედი და იქ მყოფთ ნობელის დაბადების დღე მივულოცე. პრესსამსახური მოვიდა, წიგნები და შოკოლადი მაჩუქა, საპატიო სტუმრების წიგნში ჩანაწერი გამაკეთებინა. იქიდან, როგორც იქნა, პარიზში ჩავედი. იქ ჩემმა მეზობელმა ქართველების ოჯახმა მიმიღო. 29 ოქტომბერს, „მშვიდობის კედელთან“ გავედი და საფრანგეთის მთავრობას ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენაზე მივმართე, რომ ზემოთხსენებულ მონუმენტზე სიტყვა „მშვიდობა“ ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაეწერა. ყველაფერი ეს გადაღებულია და „ფეისბუქზეც“ მაქვს ატვირთული. შემდეგ, სურათები დავბეჭდე და პარიზის მერიაში დავტოვე, მაგრამ მერიიდან არაფერი ისმოდა... ფანატიკურად ვიყავი განწყობილი და გადაწყვეტილი მქონდა, „მშვიდობის კედელთან“ ყოველდღე მივსულიყავი. მეორედ მისვლისას ვიღაც სომეხი რუსულად გამომელაპარაკა და მითხრა, ჩვენთვის ნუ იბრძვი, ჩვენს ენაზე წარწერა უკვე გაკეთებულიაო.

**— დარწმუნებული ხართ, რომ „მშვიდობა“ ქართულად არ წერია?**

— რას ჰქვია... მილიარდი პროცენტით!

**— ყველა წარწერა ნახეთ?**

— აბა, რა?! საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საელჩომაც აღიარა, რომ არ წერია. სხვათა შორის, სააკაშვილისდროინდელმა ინტეგრაციის თუ რომელიღაც სამინისტრომ „მშვიდობის კედელთან“ გადაღებული ჩემი ფოტოები საკუთარ ვებგვერდზე ატვირთა. 2012 წელს, საგარეო საქმეთა სამინისტროში ევროპული დეპარტამენტის ხელმძღვანელ ნინო ბარათაშვილს შევხვდი და ყველაფერი ვუთხარი.

**— ბატონო ბესიკ, პარიზის „მშვიდობის კედელზე“ ქართული წარწერის გაკეთებას რატომ ითხოვთ?**

— ცოტა მეუხერხულება, მაგრამ, არ გეწყინოთ, ქართველი კაცისგან ამ შეკითხვას არ ველოდი...

**— ქართველობა რა შუაშია? — ეს მონუმენტი სახელმწიფოსი ხომ არ არის; კერძო პირმა ააშენა და წარწერებიც თავისი სურვილით გააკეთა, ანუ შექმნა ისეთი, როგორიც უნდოდა. კი ბატონო, თქვენი სურვილი, კედელზე „მშვიდობა“ ქართულადაც ეწეროს, მშვენიერია და მივესალმები, მაგრამ კერძო მესაკუთრის, რომელსაც ამ შემთხვევაში, მონუმენტის სახე აქვს, გადაკეთებას რა უფლებით ითხოვთ?**

— ჩვენი ისტორია დაბადებიდან ქადაგებს, რომ ჩვენი წინაპრები ჩვენი კეთილდღეობისთვის სისხლს ღვრიდნენ. ეს მშვიდობისთვის ბრძოლა იყო! ჰოდა, როცა ვნახე, რომ „მშვიდობის კედელზე“ ქართული წარწერა არ იყო, პროტესტის გრძნობა გამიჩნდა და გადავწყვიტე, მიზნის მისაღწევად მებრძოლა. დაწერილს არ ვკითხულობ და ეს ჩემი გულიდან წამოსული სიტყვებია.

მშობლების საფლავს გეფიცებით, ამ საქმისთვის ბევრი რამ გავყიდე და დღემდე ჩემი რესურსებით მოვდივარ. „მშვიდობის კედელთან“ რომ ვიდექი, ერთი ქართველის თვალებში ცრემლი დავინახე, რომელმაც თქვა, რამდენჯერაც აქ გავივლი, გული მისკდება, მშვიდობა რატომ ჩვენს ენაზე არ წერია, ერთ დღესაც ავდგები და ამოვფხაჭნიო... აი, ეს თქვა საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა არალეგალმა. ესე იგი, ქართული წარწერა ყველა ქართველისთვის სიამაყე იქნება. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ცოტა „ამოგვაგდო“, მაგრამ კაცობა და ადამიანობა არ დაგვიკარგავს.

პრეზიდენტობის კანდიდატიც გახლდით, კახი კალაძესაც შევხვდი ამ თემასთან დაკავშირებით და, საერთოდ, ბევრი ვიმუშავე. ბატონ კახის შევთავაზე, ქუთაისში, „ტორპედოს“ სტადიონთან „მშვიდობის ბურთი“ დავდგათ, ისრაელიდან, პალესტინიდან, სომხეთიდან, აფხაზეთიდან, ოსეთიდან ბავშვთა ნაკრებები მოვიწვიოთ... და მშვიდობის საფეხბურთო ჩემპიონატი ჩავატაროთ-მეთქი...

**— გრანდიოზული იდეაა, ბატონო ბესიკ...**

— დიახ... სპორტის როლი მშვიდობის საკითხში, თან ქვეყნის პიარიც იქნება-მეთქი... ესე იგი, ყველგან ვიბრძვი. ქადაგიძეს, ეროვნული ბანკის მმართველს შევთავაზე, ვერცხლის სამახსოვრო მონეტები გამოვუშვათ და ტურისტებზე გავყიდოთ-მეთქი... ისიც მინდოდა, საქართველოს ყველა საზღვართან სამშვიდობო მონუმენტები დაგვედგა, შემომსვლელს საქართველო მშვიდობასთან რომ გაეიგივებინა, მაგრამ ესეც არ გამოვიდა...

ახლა იდეა მაქვს, პარიზის კედლის რეკორდი მოვხსნათ და თბილისში, „მშვიდობის ხიდზე“ მსოფლიოს მრავალ ენაზე დავაწეროთ „მშვიდობა“. მე ვარ ადამიანი, რომელსაც მშვიდობიანი მისია აკისრია. ყველგან მქონდა სასიკეთო იდეები, მაგრამ ყველგან დაბლოკეს.

**— გებრძვიან?**

— არ ვიცი... როცა წერილებს ვაგზავნი, კი ვწერ, „მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბის“ პრეზიდენტი, პუბლიცისტი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი-მეთქი, მაგრამ როგორ ვთქვა, რომ ჩემი ეშინიათ?! საქართველოს ქუთაისური „ჯიგარის“ პრეზიდენტი, რკინის ხელი სჭირდება, მე პატიოსან ოჯახში გავიზარდე... ვიქნებოდი უკომპრომისო და ბოროტებას, უკანონობას თავს შევწირავდი! ავაშენებდი ციხე-გემ „ლაზიკას“, სადაც უმსგავსო ხალხს შევყრიდი, ციხე-გემს ფოთის პორტთან ახლოს დავაყენებდი, ხელისუფლებაში პატიოსან ადამიანებს მოვიყვანდი, ქვეყანას ავაღორძინებდი, პატიმრებს კი, როცა დაშოშმინდებოდნენ, საქართველოში მერე შემოვუშვებდი.

შარშან, ფრანსუა ორლანდის ვიზიტისას, საქართველოს პრეზიდენტი მე რომ ვყოფილიყავი, ავდგებოდი და ალაფურშეტისას ქუთაისურად „შევუსრულებდი“. ვეტყოდი, ფრანსუა, ძმურად, პარიზის „მშვიდობის კედლის“ ავტორი მოვძებნოთ და ოფიციალური თანხმობა მოვაცემინოთ-მეთქი.

**— იმ კედელზე „მშვიდობა“ რუსულადაც წერია, არა?**

— რუსულად ორჯერ წერია... ერთ დაფაზე წვრილი შრიფტით წერია, მეორეზე — მსხვილი. არ მინდა, ვინმეს დავაბრალო და არც ის მინდა, რომ რუსებს პირდაპირ „დავეჯახო“, მაგრამ ეჭვის დონეზე ვფიქრობ, რომ ქართული ენის უკუგდებაში ადგილი, შესაძლოა, დიდძალ კორუფციულ გარიგებას ჰქონდეს. ჩვენ დაგვჩაგრეს და საქმეს ჩამოგვაცილეს.

**— ვინ ვის გაურიგდა, ან ვის რაში აწყობდა?**

— ჩვენს არაკეთილმოსურნე რუსეთს აწყობდა, რომ იქ „მშვიდობა“ ქართულად დაწერილიყო? წარწერა სიმბოლურია, მაგრამ მის უკან დიდი პოლიტიკა იმალება! დაგვამცირეს და ჩვენს ენაზე არ დაწერეს.

**— ისე, კედელზე რუსულად დაწერილ „მშვიდობას“, თვალებში ნაცრის შეყრის გარდა, რა დატვირთვა აქვს? — ხომ ვხედავთ, რუსეთი რასაც აკეთებს...**

— იცით, რა?! — ეს მონუმენტი ვიღაცის კერძო საკუთრება თუა, მაშინ სახლში უნდა ედგას, მაგრამ როცა ისეთ ადგილზეა, სადაც მილიონობით ადამიანი მოძრაობს, უკვე გარკვეული მესიჯია, თუ ვის მშვიდობას სცემს საფრანგეთი პატივს.

**— არ მიგაჩნიათ, რომ რუსული „მშვიდობის“ გვერდით ქართული „მშვიდობა“ მხოლოდ ილუზიაა?**

— არა... რატომ რუსულის გვერდით? — იქ წარწერა 49 ენაზეა.

მოკლედ, 2013 წელს, პარიზში ისევ წავედი, ისევ ვატარებდი აქციებს და დავდიოდი კულტურის სამინისტროში. შემდეგ, ჩასვლა 2014 წელს, ბასტილიის დღეს მომიხდა, მაგრამ ფრანგებს პატივი ვეცი და მათ ეროვნულ დღესასწაულზე სამშვიდობო აქცია არ ჩავატარე.

საგარეო საქმეთა მინისტრმა, თამარ ბერუჩაშვილმა მომწერა, „მშვიდობის კედელი“ არალეგალურადაა დადგმული და პარიზის მერია უჩივისო. რამდენი ხანია ასეა, მაგრამ ის მონუმენტი ისევ იქ დგას... შეიძლება, სასამართლო პროცესი, მართლაც, მიმდინარეობს, მაგრამ იმდენი ენერგია დავხარჯე, რომ პარიზში, ალბათ, ისევ წავალ, იმ კედელს მივებმები და ვიტყვი, ვიდრე სასამართლო არ დასრულდება და „მშვიდობას“ ჩემს ენაზეც არ დააწერთ, მანამდე აქ დავრჩები-მეთქი.

**— იქნებ, ძეგლის ავტორია წინააღმდეგი?**

— კედლის უკან 16 ბოძი დგას და წარწერები იქაცაა. ვამბობ, რომ აზერბაიჯანული და ქართული წარწერების გაკეთება მხოლოდ კავკასიური ენების კი არა, რელიგიის დაფასებაც იქნება. თუ ადგილი არ არის, აღვმართოთ ახალი მილი კავკასიის პატივსაცემად და „მშვიდობა“ ყველა კავკასიურ ენაზე დავწეროთ.

**— ბატონო ბესიკ, ძეგლის ავტორზე გკითხეთ...**

— ის უკვე მიხვდებოდა, რომ ვიბრძვი და შეიძლება, ნანობს კიდეც, ნეტავ, თავის დროზე დამეწერაო, მაგრამ არ უნდა, შეცდომა აღიაროს. ამიტომ წავალ საფრანგეთში, სასამართლოს ძალით დავუწყებ ბრძოლას, ვეტყვი, რომ ნერვიულობის ნიადაგზე, ფსიქოზი და უძილობა დამემართა.

ბოლოს, მინდა, სალომე ზურაბიშვილსა და გიორგი ფოფხაძეს, როგორც საფრანგეთში ცნობილ ქართველებს მივმართო, რომ ამ საქმეში ჩაერთონ და დამეხმარონ.

და ბოლოს, მშვიდობა მსოფლიოს!

**ესაუბრა ბექა ღიბრაძე**

**„საქართველოს ქუთაისური „ჯიგარის“ პრეზიდენტი, რკინის ხელი სჭირდება, მე პატიოსან ოჯახში გავიზარდე... ვიქნებოდი უკომპრომისო და ბოროტებას, უკანონობას თავს შევწირავდი! ავაშენებდი ციხე-გემ „ლაზიკას“, სადაც უმსგავსო ხალხს შევყრიდი, ციხე-გემს ფოთის პორტთან ახლოს დავაყენებდი, ხელისუფლებაში პატიოსან ადამიანებს მოვიყვანდი, ქვეყანას ავაღორძინებდი, პატიმრებს კი, როცა დაშოშმინდებოდნენ, საქართველოში მერე შემოვუშვებდი... შარშან, ფრანსუა ორლანდის ვიზიტისას, საქართველოს პრეზიდენტი მე რომ ვყოფილიყავი, ავდგებოდი და ალაფურშეტისას ქუთაისურად „შევუსრულებდი“. ვეტყოდი, ფრანსუა, ძმურად, პარიზის „მშვიდობის კედლის“ ავტორი მოვძებნოთ და ოფიციალური თანხმობა მოვაცემინოთ-მეთქი“.**

№ 32 (296)
12 – 18 აგვისტო 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

გზა ტაოზისაკენ

ისა ამინი

# ტუალეტის ქაღალდზე დაწერილი დღიური

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №30, 31)



## „კომუნისტში“ გახვეული ოცნებები

ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ხიდან ხეზე გადაფრინდა სკვინჩა, ზარი დაირეკა. შეგვლალეს კლასებში. დავიწყეთ გაკვეთილების მომზადება. რომეო, ბეროკინა და ჟანგირა იგვიანებენ, რაც განგაშის ტოლფასია — დღის განაწესს არღვევენ, რეჟიმის ზონიდან გავიდნენ. ვიდრე მათზე ძებნა გამოცხადდება, მოასწრეს, შემოიძურწნენ დამნაშავეებივით, თავჩაღუნულები დაფასთან გამწკრივდნენ. ზედამხედველმა დაიწყო მათი დაკითხვა: სად ბრძანდებოდნენ ჩვენი დროის გმირები? ზარის ხმა ვერ გაიგეთ? თუ კარგ საქმეზე იყავით, გვითხარით, ჩვენც წამოვალთ. პასუხის გაცემის სურვილს ერთი მათგანიც არ ამჟღავნებს. მათი დუმილი ,,ბუას“ უფრო აწიწმატებს, ლაქლაქებს და ლაქლაქებს. ჩვენ რა გვენაღვლება, სწავლის სურვილით ერთიც არ ვგიზგიზებთ. წიგნებში მოჩვენებით თავჩარგულებმა, თავი მივანებეთ განათლების მიღებას, ხელს გვიშლიან, ბატონო, ძვირფას დროს გვართმევენ. ნიკაპი ხელის იდაყვებზე ჩამოვდეთ, ორატორს ვუსმენთ. საღამოს, მასწმა, დაიწყო რა თავისი მონოლოგი, ეშხში შესულმა ნახევარ საათზე მეტი ილაპარაკა. მთელი თავისი მჭევრმეტყველება გადმოაფრქვია. გზადაგზა თავისი შეგონების გასამყარებლად, მოიშველია ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ: მაკარენკო, ძერჟინსკი და ისევ მაკარენკო. ეს ჩვენი გზააბნეული კრავები დგანან მხრებჩამოყრილები, სახეზე მწუხრი დაჰკრავთ. დანაშაულს ინანიებენ. მათი თვალებიდან გამოკრთის დაუფარავი ხა-ხა-ხა. მასწი განაგრძობს ქაქანს, ქოთქოთს. როგორც იქნა, გული მოიოხა. იმ დროს, როცა ბიჭებს ეგონათ, გადავრჩითო და ელოდებიან ნანინანატრ, დაეგდეთ თქვენს ადგილებზეო, კლასში, სამარისებურ სიჩუმეში, გაისმა ომახიანი ბრძანება: აიწიეთ შარვლის ტოტები! გაიხადეთ ფეხსაცმელი, ჩაიწიეთ წინდები! ბიჭები შეცბნენ, არ ნებდებიან ძახილით, ,,კარგი, რა, მასწ!“

— ჩაიწევთ თუ სხვა ხერხს მივმართო?

ბიჭები, ბოლოს, მაინც ნებდებიან უზენაესის ბრძანებას. იატაკზე გაიშალა, „დაისის“, „ლუქსის“, „კოლხეთის“, „აისის“ და კიდევ, ალბათ, მაისის „ბიჩოკები“. მასწმა მედიდურად გადმოგვხედა და ამ დიდებულ წამებში, ჩვენ შევიქენით სასწაულის მხილველნი: დაიბადა ახალ მეძებარი, რომელშიაც განსხეულდა შერლოკ ჰოლმსი, პუარე, მეგრე... მერე? ხელები მერხზე... საწყალ სახაზავს გვარიანად მოხვდა. ჯერ სადა ხართ, მასწი იშტაზე მოვიდა:

— აბა, აკრიფეთ ,,ბიჩოკები!“ კლასი ადგეს.

ავდექით.

— დაეწყვეთ ორ–ორი.

დავეწყვეთ. გავედით „კორიდორში“, ჩავედით ეზოში, მივედით სკოლის უკან, ნაგვის ბუნკერთან. „ბიჩოკები“ გაიხვა გაზეთ „კომუნისტში“. აუტოდაფე მოვაწყვეთ. ზედ მივაყოლეთ პიონერული ფიცი: „ვფიცავთ! ვფიცავთ! ვფიცავთ! აღარასოდეს, არაფრისდიდებით, სიცოცხლის ბოლომდე არ მივეკარებით ამ საზიზღარ თამბაქოს. მშრომელთა მასების შრომისუნარიანობის დაქვეითების წინააღმდეგ გამოგონილ ტარტაროზს!“

შეგონება ჩვენა, ოლოლო — თქვენა...

ამ გაქანებულ აუტოდაფეს თვალი გავარიდე და სკოლის კედელს ავაყოლე, რომელზეც სახანძრო კიბეა, კიბეს ენა გამოვუყავი და მუშტი დავუქნიე. შარშან, დედისერთა ლოვა აბობღდა, შუაწელამდე ვერ მიაღწია. ფეხი დაუსხლტა, ჩამოვარდა. მიწამდე სული არ დაჰყოლია. საწყალი დედამისი, გამხდარი, თმათეთრი ქალი, როგორ იდგა ამ სახანძრო კიბის წინ, უხმოდ, ცრემლებგამშრალი. მხრები უკანკალებდა. კიბეს ამუნათებდა, შვილი რატომ წამართვიო...

ერთ კვირა დღეს, როცა კაციშვილი არ ჭაჭანებდა ინტერნატში, ყველანი სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. არავინ მოგვაკითხა. დარაჯს, ვოვასა და ჩემს ანაბარაა მცირე კეთილი ზონა. ოდნავ შებინდებულზე, ვოვა და მე გავემართენით ამ ავადმოსაგონარ სახანძრო კიბისკენ. ვდგავართ და შიშით ვუყურებთ კიბეს, რომელიც ასეთი გულსატკენი საქციელის გამო დასაჯეს. მიწის ზედაპირიდან ასასვლელი ორ მეტრამდე ჩამოაჭრეს. იმის შიშით, რომ სხვამ არ გაიმეოროს, არ გაბედოს, არ აძვრეს და სული არ გასძვრეს. ქვა ავიღე, კიბეს ვესროლე. ვოვამ ფიცრის კარგა მოზრდილი ნაჭერი გაუშვა კიბისკენ. უკრაინულად რაღაც ჩაიდუდღუნა, მგონი, შეუკურთხა. მუშტშეკრულები ვდგავართ, აქაოდა, თუ კიბე ჩვენკენ წამოვა, საკადრის პასუხს გავცემთო. კიბე, რა?! — კიბეა. ქვაც მოხვდა, ფიცარიც. ერთი არ დასცდენია ,,ვაი, დედაო“. კვლავინდებურად მიცოცავს ზევით სახურავისკენ (სადაც აბობღება და იქიდან გადმოხედვა თითოეული ჩვენთაგანის ფარული ოცნებაა). თავისი კიბური ჭკუით ფიქრობს, თავს იმართლებს. არა, აშკარად მოგვესმა. ვფიცავ ნაყინსა და შოკოლად კამფეტებს, თუ ვიტყუებოდე — კიბე გველაპარაკება.

— მე რა შუაში ვარ, ჩემთვის მივუყვები კედელს. ის საწყალი ბიჭი, საკუთარი სურვილით მოვიდა. მოპატიჟებით კალთები არ დამიხევია. დადგა, გაიხედა აქეთ-იქით, მარტო დაიგულა თავი. არავინაა. მის ფერმკრთალ სახეს დავაკვირდი, სიფრიფანა ხელებსა და უმწეო ფეხებს, მხოლოდღა თვალები უელვარებდა დაუოკებელი ჟინით. მე, კიბეს, უსიამოდ გამაჟრჟოლა. ფოლადის სხეულზე ცივმა ჟანგმა დამასხა. ბიჭმა მესერს გახედა, სურვილი დაებადა, დაენახა, რა ხდება მესერს იქით. მოეკიდა სახელურს თავისი გამოუცდელი ხელით. ასვლა დაიწყო. მინდოდა, მეთქვა, არ გინდა, შვილო, ჯერ პატარა ხარ, სუსტი, მაგრამ ლაპარაკი რომც შემძლებოდა, კიბეს ვინ მოუსმენს, ადამიანის ნაშიერი? ჰმ... ჩემი ბედისწერაა, ვიყო კიბე. თქვენ გაქვთ თავისუფალი არჩევანი. მე არავის ვაძალებ. ჩამებღაუჭა, დაიწყო აცოცება. მესერის სიმაღლეს გაუსწორდა. ცოტა შეისვენა. მე, რკინამ ვიგრძენი მისი გულის აჩქარებული ფეთქვა. ბევრი ასულა, მეხანძრე თუ ხელოსანი, იმათი გულის ფეთქვაც მომისმენია, ეს განსხვავებული იყო. ისეთი, როგორ გითხრათ, წარმოუდგენელია, თქვენ მეტყველ და მოაზროვნე ადამის შვილებსაც გაგიჭირდებათ გადმოსცეთ ენით. ჩემი რკინის სხეული შეირხა, გაფრენა მომინდა. თავდაჯერებულმა აღმასვლა განაგრძო, თავი ზურგისკენ შეატრიალა და აი, მის თვალწინ გადაიშალა მესერს იქითა სამყარო, მინდორი. რომლის შუაწელში პატარა მდინარე მიედინება. ხარბად მოავლო თვალი. წკრიალა ხმით გაიცინა და ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა ჩამავალ მზეს. მეგონა, გაჩერდებოდა, უკან, დაბლა დაეშვებოდა... მინდვრის ბოლოს რომ რკინიგზაა, მარცხენა მხრიდან, გვირაბიდან, ჩამავალი მზის მოლაპლაპე რელსებზე, სამგზავრო მატარებელი გამოსრიალდა, გულამოსკვნით მიაკივლა შორიახლოს მდებარე სადგურს, მოვდივარო. ეგ თქვენი თანატოლი მატარებლის დანახვამ მთლად გადარია, უფრო მაღლა დაიწყო ასვლა აჩქარებით, მოვასწროო, მატარებელს და შიგ მსხდომებს სახურავიდან ორივე ხელით მივესალმები. ბედნიერ მგზავრობას ვუსურვებო. ჩემი ენა არ გესმით, რას გაგიგებთ მე, კიბე ადამის მოდგმას?! ზემოთ აიხედა, მეწამულისფერი ცის დანახვაზე, მატარებელი გადაავიწყდა მგზავრებიანად. გული სიხარულით აევსო, თან ნაღვლობს იმის გამო, რომ კაციშვილი ვერ ხედავს. ბიჭები უნდა წამომეყვანაო, გაუელვა. განა, რაღა დარჩა სახურავამდე? — სამიოდე საფეხური. რა დროს ეს არი. დაღლილობა შემოეპარა, ეს რა ხდება მის თავს, კიბემ როგორ უნდა დაჯაბნოს. ხელი აღარ ემორჩილება. სიხარული უმწეობამ ჩაანაცვლა, შიში მზაკვრულად მიეპარა, გადაწყვიტა, ძირს დაეშვას, სვენებ-სვენებით ჩავა. ოღონდ ძირს არ ჩაიხედოს. ცალი თვალი მაინც გაექცა, გაგება უნდა, რამდენად ახლოსაა მიწა. გადაიხედა და თავბრუ დაეხვა. ფეხი აუცდა. ერთი ხელი გაუშვა სახელურს. მეორე ხელმა ვერ გაუძლო სიმძიმეს. იმითღა შემიძლია განუგეშოთ, ,,ვაი“-ს დაძახება ვერ მოასწრო, წამებში მოხდა. მიწას დაენარცხა. ტკივილი არ უგრძვნია. ეს მე ვარ უბედური. მომადექით ორნი, ქვებს მესვრით. დაგავიწყდებათ, რაც მოხდა. დასასრული არ გეხსომებათ მწარე. აბა, ჩაიხედეთ საკუთარ გულებში. თქვენც სიამოვნებით ამოძვრებით, თქვენცა გკლავთ სურვილი, ამოცოცდეთ, მაღლიდან გადახედოთ ქვეყნიერებას. რაც უნდა გეჩიჩინოთ, არ გინდათ, ბიჭებო, არ გაბედოთ ამოსვლა-მეთქი, მაინც თქვენსას გაიტანთ. ფეხი ავიდგა, გავიქცე? სხვა კიბეს მოადგამთ. გიყვართ კიბეზე აცოცება. პანტა-პუნტით მოფრინავთ ქვევით, მაინც, არ ეპუებით.

— მშვიდობით, ლოვა.

ჩავიცუცქე, როგორც ცხოველმა მგელმა, თავი მაღლა ავწიე. მთვარეს შევხედე და ყმუილი მოვრთე. ვოვა გვერდში მომიცუცქდა. ასე უნისონში გავაბით ყმუილი. ეშხში შევედით. ხმასაც ავუწიეთ თანდათანობით. სკოლის მთელ არემარეს სწვდება, მინდორს ეფინება ყმუილი. მესერს იქიდან, ბავშვის შიშნარევმა ხმამ გამოგვაფხიზლა...

— ვაიმე, დედა! გავიქეცით, ბიჭებო, სადღაც, ახლოს ცოფიანი ძაღლებიაო.

ავდექით და მხრებჩამოყრილები წავძუნძულდით, სკოლის წინ მდებარე ეზოსკენ...

მაკულატურა, წიგნის ხალტურა. ვადაგასული ქაღალდის შეგროვება. საზეიმოდ გამოგვიცხადეს. ვინც ნორმას შეასრულებს, გამარჯვებული კლასი დასაჩუქრდება ლენინის გადიდებული სურათითა და ტელევიზორით. ატყდა და რა ატყდა, ალიაქოთია. მთელი ჩვენი კლასი ფუტკრის სკას დაემგვანა. ვინ საიდან რას მოათრევს, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. დიდია გამარჯვების სურვილი. ორი ციცქნა მარინა, ბუთხუზა მაყვალა, გაწიკნული მზია, ჩუმჩუმელა ბაბულია. ჩუმჩუმელები უძახე, შეუძლებელს აკეთებენ. დაგვჯაბნონ ლამისაა ბიჭები. საიდან რას მოძებნ-მოჩიჩქნიან, კაციშვილმა არ იცის. თითოეულ კლასს აქვს თავისი საკუთარი საკუჭნაო. ვიღაც უხილავის ჯადოსნური ხელის დაქნევით თვალისდახამხამებაში ივსება მაკულატურით. არკადი მინდვრის თაგვივით დასუნსულებს, არ დატოვა კუთხე-კუნჭული. საიდან რას მოათრევს, გაოგნებული ვართ. აგვხადეთ თავის ქალა, ტვინს ეწერება ,,ქაღალდი“. ქაღალდით დავსნეულდით. ცხადშიც და სიზმარშიც, მაკულატურა გვესიზმრება. გული გვწყდება, რკინის მესერი ქაღალდის რომ არ არის. რკინის ჭიშკარი თავის გასაღებიანად ქაღალდის იყოს და ყველა ის კარი, რომელსაც აწერია — ,,შესვლა აკრძალულია“, ფეხსაცმელი რომელიც გიჭერს, ან დახეულია, ტანსაცმელი, რომელიც გაცვია და არ ,,გევასება“. გამუდმებული ნატვრაც — ,,მალე გავიზარდო, დიდი გავხდე მალე“ — ქაღალდი იყოს...

ყველას მაინც იმ მოსწებმა გადაუჯოკრეს, ჩუმად რომ აბოლებენ, სწავლობენ ორიანებზე. კოჭლიან სამიანებს სამადლოდ უწერენ, უფროსების თვალშიც სახელი აქვთ გატეხილი. ყველაზე დიდი გულმოდგინება მათ გამოამჟღავნეს. ერთ დღეში დაუსვეს წერტილი საქმის წარმატებას. საიდანღაც ქაღალდის უშველებელი რულონი მოათრიეს. მომიჯნავე კლასის ბავშვებმა ხელები უმწეოდ ჩამოყარეს, ხალისი დაეკარგათ. გამარჯვება აშკარად ჩვენს მხარესაა. ველოდებით ფინალს.

მე პატარა ცინიკოსი ვარ. მასობრივი ჰაი-ჰუი გულზე არ მეხატება. ისე რა ვმონაწილეობ. ამ გაგანია ქაღალდომანიაობისას, რემარკის ,,სამ მეგობარს“ ვკითხულობ. უკანა მერხზე ვზივარ და ამ წიგნის სიცოცხლით ვსუნთქავ, მე მათი მეოთხე მეგობარი ვარ. აბა, ახლა ქაღალდისთვის მცხელა, ამხელა მეგობრები მყავს, თან როგორი ერთგულები. პატი სანატორიუმში სიკვდილს ებრძვის. რობი დარდით ზეზეულად ხმება, მეგობარ ქალს ვერაფრით შველის. მიუხედავად იმისა, ცდას არ აკლებს. მეც შეყვარებული ვარ. რობის ადგილას ვარ ახლა. ,,— პატ, — ვამბობ მე, — პატ!“ და მან პირველად არ გამცა პასუხი. წარმოგიდგენიათ, რა დამემართა. თავს მერხზე ვდებ. ჩუმად ვსლუკუნებ. არ მინდა, რომ შემამჩნიონ. აუხსენი ამათ, რა მჭირს. მესმის აღტაცებული ჟრიამული. თავი წამოვწიე. ეს რომეომ დაიმსახურა ოვაცია, იმდენი მაკულატურა მოიტანა, სახე არ უჩანს. ფეთიანივით წამოვხტი, კლასიდან გავვარდი. მესამე სართულზე, სამუსიკო ოთახის კარი გავაღე. ჯობია, აქ მოვიოხო გული ქვითინით. კედლიდან შემომცქერიან მსოფლიო მუსიკის კორიფეების სურათები, თავზე ხელოვნური პარიკებით, ზურგს ამურები უმშვენებენ. პიანინოსთან მივედი, სახურავი ავხადე, კლავიშებს შევეხე ჩემი უხეში თითებით. თვალები დავხუჭე და პატისთან გავფრინდი ცხვირმოუხოცავი პიონერი...

ჩვენს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია. დაუღალავმა და მუხლჩაუხრელმა გარჯა-გაწამაწიამ თავი ამაყად ასწია და შედეგიც გამოიღო. ხუმრობა საქმე ხომ არაა, მეორე ბ-ე კლასმა ერთ ტონა მაკულატურას მოუყარა თავი. გავიმარჯვეთ. ღირსეულად ვდგავართ ქაღალდის გროვის ოლიმპზე. სამართლიანადაც ველოდებით შრომის ნაყოფს. დადგა ეს ნანინანატრი წამი: შაბათი დილაა. პიონერული ხაზის მოსაწყობად ვემზადებით. ელვარებენ მზის სხივებში წითელი დროშები და ყელსახვევები. საზეიმოდ გამოვეწყვეთ. გოგონებს თეთრი წინსაფრები აცვიათ, თავზე დიდი თეთრი ბაბთები უკეთიათ. გედები გეგონება. ცმუკავენ ერთ ადგილას. ბიჭებს პიჯაკები და თეთრი პერანგები გვაცვია. ნაძვის ხეებში შეყუჟული ჩიტების ჟივილ-ხივილი ისმის. ბედი არ გინდა, ერთმა თავხედმა ბეღურამ გადაიფრინა და ზედ ყელსახვევზე მოისაქმა, დამასკლინტა. ბეროკინას რა გამოეპარება, ატეხა ხორხოცი, მთელი კლასი მე მომაჩერდა. ბეროკინამ, გულს ნუ გაიტეხ, ბაჩუკი, კიდევ კარგი, სპილოები არ დაფრინავენო. ჩვენი ჟრიამული გადაფარა მუსიკის ჰანგებმა. სკოლის რადიოს კვანძიდან სიომა ახალ სიმღერას გვასმენინებს — ,,ა პეპიტა, პეპიტა!“ სიმღერა მორჩა. დაიწყო პიონერული ხაზის მოწყობის ღონისძიება. დასცხეს დოლბარაბანს. ტრუბა-საყვირებმა მარში დააგუგუნეს. ჩვენც ჩავიარეთ საზეიმო მარშით. დირექტორისა და მასწავლებლების, მძლოლი სედრაქას, დარაჯი ლაზარისა და შეფ ,,პოვარ“ იაშას წინ. საწყის პოზიციაზე დავბრუნდით. იწყება დაჯილდოების ცერემონიალი. გასუსულები ვართ, გული გადმოვარდნაზეა. დირექტორმა სათვალე გაიკეთა, ცხვირი მოიფხანა, პიჯაკის ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, თვალი გადაავლო, უკან ჩააბრუნა. ხელები მოიფშვნიტა.

— ყოჩაღ, ბავშვებო, კარგად იშრომეთ. მომავალშიც იყავით ასეთი მუყაითები, აქტიურად მიიღეთ მონაწილეობა კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეშიო. ეს ქვეყანა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

12 – 18 აგვისტო 2015

№ 32 (296)



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

## გზა ჭაოზისაკენ

თქვენი და თქვენისთანა ბავშვებისააო. შრომა დაგიფასდათ. ჩვენი ქალაქის, საქარხნო რაიონის ხელმძღვანელობა გასაჩუქრებთ ტელევიზორით...

ვივა პროფესორე, ვივა აკადემია!

მთელ საბჭოთა კავშირში, ტელევიზორი სკოლაში, ისიც საკლასო ოთახში, ჩვენ გვიდგას. ციმციმ ავარბენინეთ. ხუმრობა საქმეა?! ხალხს სახლებში არ უდგას ეკრანი. წუთი არ გავა, კარი არ გაიღოს და ცნობისმოყვარე თვალმა არ შემოიხედოს. შურით სკდებიან. იმდენი ქნეს, გაითვალა. დიდი დიდი ერთი კვირა დაგვცალდა ბედნიერების სიხარული. წაგვართვეს – სამასწავლებლო ოთახში დადგეს. აბა, დილით ჩვენ ტელევიზორს ვინ გვაყურებინებს? საღამოსაც ზედმეტია ლაპარაკი. აუხსენი ხეპრეებს. ხალხო, წერა-კითხვა ვისწავლეთ. დათვლაანგარიშიც გვეხერხება ათასამდე. ას მანეთზე მეტი ხელფასი ჩვენ არ გვექნება, მუშაობას როცა დავიწყებთ. თუ მეტი გამოგვივა ჯამაგირი, მაგ საქმესაც მოევლება. დავითვლით ას მანეთამდე, გავჩერდებით, გადავკეცავთ ფულს, ჯიბეში ჩავიდებთ, ვიტყვით, ერთი ასი. მეორე ფულის დასტასაც დავითვლით, მეორე ასი. ამ სკოლაში, ეჭვი მეპარება, ოდესმე ნიუტონი ან ლაუაზიე გაიზარდოს. მამაცხონებულებო, გვაყურებინეთ მულტფილმებს, რა დაშავდება?! აი, ამიტომაც ვარ პატარა ცინიკოსი. გავბრაზდი, მასწი გაკვეთილს გვიხსნის. მე თავი მაქვს ჩარგული მერხში. მეორედ დავიწყე სამი, ახლა უკვე „ოთხი მეგობრის“ წაკითხვა...

სასულე ორკესტრში, მაესტრო გოგისთან, რეპეტიციები ყოველ მეორე დღეს გვიტარდება. მაესტრო ცოტა ბრაზიანი კაცია. სპირტიანი სასმელების დიდი მოყვარული. ხასიათიც იმისდა მიხედვით ეცვლება, მაგალითად, თუ გადაკრულშია, ბუზღუნის ხარისხი იკლებს. იმ შემთხვევაში, როცა აკლია საწვავი, უგუნებოდაა. სათოფეზე ვერ მიეკარები. საჭირო ნოტს თუ ვერ აიღებ, იღრინება ავი ქოფაკივით – ავ, ავ, ავ. წარამარა მოტვლეპილ თავს ფანქრით იქექავს. ცდას არ აკლებს, მუსიკის სამყაროში ჩვენს გათქვეფას.

– მუღამი, ბიჭებო, მუღამი დაიჭირეთ! გულით მიდით, გული სულის კარი გაუღეთ. იფრინეთ, ინარნარეთ. აფეთქდით. შეჯანჯღარდით. ნუ ნაღვლობთ, ნუ დარდობთ იმაზე, კარტოფილი გაიაფდება თუ პური გაძვირდება. ეს მუსიკაა, სალაფავის ჭამა არ გეგონოთ. თქვენ სხვა ხართ, აპასიონატა! რაინდებო! წინ, პარნასისკენ!

– საყვირი, კარგი ხარ, ბარაბანი, ნუ აბრაგუნებ, ტაშტი არ გეგონოს, წკრიალა თეფშები, ბიჭო, შე ჭიჭო ასატეხო. მათლაფა არ გეგონოს ბორშით სავსე. ისე ურტყი. კრიალა, მხიარული ჩალის ფერი, ლაღი, სევდიანიც. ჟრიამულიც მივიღო...

– კლარნეტი, კლარნეტი-მეთქი! შალახოს დონე აქ არ გამაგონო. სასულე ორკესტრი შენს გარეშე არაფერია. მესამე მაღალი, კამკამა სი მომეცი. ჩაბერე. აი, ასე, კარგია. ხუთიანი გეკუთვნის, პლუს, შენი შეყვარებული. ნუ იღრიჯები, თითქოს ლატარიის ბილეთით „გაზ-24“ მოგეგოს... ოთხ თვლაში.

– ალტი, თამამად, ნუ ჩამორჩი. აიკიდე ზურგზე, უშენოდ კაპიკის ფასია ორკესტრი. რა მოგივიდა. ამ დილით კარაქიანი პური დაგაკლდა? თუ ჩაი გაგიცივდა. აბა, მიდი: ცუმპა, ცუმპა, ცუმპა რა. ცუმპა, ცუმპა, რა... რა... რა... თუ არ მომისმენთ, გაიზრდებით დიდყურაანთ ვირები. გაისარჯეთ, მოემზადეთ!

ორკესტრი წამიერად გახევდა. მაესტრომ გადმოგვხედა, როგორც ჯარისკაცებს, რომლებმაც დიდი ქალაქი უნდა აიღოთ. ოღონდაც უდანაკარგოდ. წამში მოასწრო, თვალი თვალში გაგვიყარა, ცოტა მუდარაც იკითხება მის გამოხედვაში. ხელი აიქნია. კლუბში გაისმა საამო სასმენად მელოდია „ყვავილი თოვლზე“.

გოგის თვალები ნახევრად აქვს დახუჭული, თავისი ჯადოსნური ხელით მიგვიძღვის თოვლიან მთებზე საოცნებო ყვავილის, ედელვაისის მოსაძებნად. დამთავრდა ბოლო აკორდი. მაესტრო აშკარად კმაყოფილია. ვერ გადაუწყვეტია, გვაქოს თუ იწუწუნოს.

– ცოტა აურიეთ, მაგრამ სიტყვა მომეცით, მეორე რეპეტიციაზე გამოასწორებთ. საერთო ჯამში, ვივა! ვაშა! ედელვაისი ხელში ჩავიგდეთ. იცოდეთ, გაფრთხილება უნდა. თავში არ აგივარდეთ. ვიცი, უფრო უკეთესად შეგეძლოთ შესრულება, განა, რკინის გულები გვაქვს, რახან ინტერნატელები, ოხრები და მიუსაფრები ვართ. მტერს თვალი დავუყენოთ. მსოფლიოში ყველაზე ნიჭიერი ბავშვები ხართ.

– ბარიტონი, მეორედ გაკვეთილი არ გამიცდინო.

– კლარნეტი, სი-ს არა უშავდა.

– ალტი, ჰაერი-ენა-ჰაერი. სადა ხარ, მიწაზე დაეშვი, სადილი არ გაგექცევა.

აბა, ჩემო არწივებო, მოემზადეთ! დავცხოთ „ჩემო კარგო მეგობარო“.

მაესტრომ ხელის მკვეთრი მოძრაობით დაგვრაზმა. ინსტრუმენტები ჩვენთან ერთად ყალყზეა შემდგარი. აიქნია მარჯვენა ხელი და წავიდაა...

ორკესტრი მზადაა, ორკესტრმა მარშის დაკვრა-შესრულება ისწავლა. „ფანფარი მარში,“ „მოვდივართ ერთად,“ „ჩემო ტკბილო მეგობარო“, „ყვავილი თოვლზე“... საჩვენებელი მოსმენა ეზოში მოხდა. მაესტრო გოგიმ, ფურორი უნდა მოვახდინოთო, ყველას ვაჩვენოთ, რა ბიჭებიცა ვართო. საქმის მკეთებელი ხალხი გახლავართ და პურს ზოგიერთებივით ტყუილუბრალოდ არ გეახლებითო.

შუა გაკვეთილებისას, ჩუმად გამოგვიყვანა კლასებიდან, სასპორტო მოედანზე მოვეწყვეთ, რომელიც სამხედრო პლაც-პიონერული შეკრების ადგილიცაა. მაესტრო გოგი ახალთახალ კოსტუმშია გამოწყობილი. პიჯაკი ზომით დიდია, ხელები არ უჩანს, კვერთხიღა აკლია და ქურუმი გეგონებათ. შარვლის ტოტები რომ დაამოკლოს და თავის ზომაზე დადგეს, მონარჩენი ნაჭრისგან ერთი შარვალი შეიკერება. თეთრი პერანგი აცვია იმხელა საყელოიანი, გუთნის სახნისი გეგონება, ტრაქტორებს რომ უბიათ. აშკარაა, ძალით არავის დაუჭერია და არ შეუშინებია, ჩაიცვი ეს ფართხუნა სამოსი, თორემ ლონისძიებას ჩაგიშლი ან, სულაც, მუსიკის პედაგოგობას აგიკრძალავო. ძალიანაც თავისუფლად და ლაღად გრძნობს თავს. ერთი კი ეგ არის, ისეთი „ბაბოჩკა“ უკეთია, პირდაპირ „დაცემაა“. ჩვენ აღტაცებას ვერ ვმალავთ. მაესტრო შუაში მოვიქციეთ, აღკაზმულობას ვუქებთ. „ბაბოჩკას“ გამოვყოფთ, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. გოგი მაესტრო წამით გაირინდა, თვალებში სევდანარევი სიხარული გაუკრთა. სადღაც, შორს, მოგონებებში გადაეშვა, თვალები დაენამასავით, ეს „ბაბოჩკა“ თქვენს ასაკს კარგა გვარიანად უსწრებს, პაპად გეკუთვნით. ან რა დროს „ბაბოჩკაა“?! საქმეს მივხედოთ. აბა, ჩქარა, დალაგდით, ჩემო ზაქარიებო და მოცარტებო, პლუს, პაგანინებო. მტერს თვალი დავუბნელოთ, მოყვარეს – გაუნათოთ!

ჩვენც სასწრაფოდ მოვეწყვეთ. მუსიკალური ინსტრუმენტები მოვიმარჯვეთ – არ უნდა ბევრი ჰაი-ჰუი და ვაი-უშველებელიო. მაესტრომ მუშტი და წარბი შეკრა ერთბაშად. ჩვენ სმენაზე ვართ, მთავარსარდლის განკარგულებას ველით. თავი გაიქნია, მუშტი აიქნია, ჰაერში გაშალა. დავცხეთ და რა დავცხეთ. ნეტავ, თქვენც იქ ყოფილიყავით, გეხილათ და მოგესმინათ. ჯერ „ფანფარი“ მარში შევასრულეთ. მარშის ჰანგების პირველივე ხმაზე მთელი სკოლა გაირინდა მის მოსასმენად. ჯერ კი იუცხოვა ამ შუაგაკვეთილების მიკუთვნებული დრო-საათის დარღვევა. – ვის გაუგია, ვის სმენიაო, თქვეს სკოლის კედლებმა. აი, ჩამთავრდა „ფანფარი“ მარში და სასწრაფოდ ისე, რომ სულის მოთქმა არ გვაცალა მაესტრომ. დავიწყეთ შესრულება „ჩემო ტკბილო მეგობარო“.

მეორე სართულის მესამე ფანჯარა გაიღო. დირექტორმა გამოყო თავი. გონზე ვერ მოსულა, ვერ გადაუწყვეტია, დაგვიცაცხანოს, დაგვტუქსოს თუ მოგვეფეროს და ქება-დიდებით ცაში აგვიყვანოს. დირექტორის მესამე ფანჯარას მხარი აუბეს, გაიღო მეოთხე, მეხუთე ფანჯრები. ყველა გაიღო, სამივე სართულისა. ფანჯრებს მოაწყდა ათასი ობოლი თვალი... გვიყურებენ, გვისმენენ, ენატრებათ მშობლები. ჩვენ კი ვუკრავთ გამალებით, მონდომებით. თითოეულ ნოტს ველოლიავებით. ჩავათავეთ მეორე მარშიც. მაესტრომ დრო იხელთა, მიხვდა რა, რომ დავიქოქეთ, ბიჭებო, დასვენების დრო არაა ახლაო. შემდეგიო და ჩვენც აღტკინებულებმა (ეხუმრები ასეთ მსმენელ პუბლიკას? საკუთარ სკოლას და ტოლ-სწორებს?) დავცხეთ და გავუშვით ეთერში მესამე მარში – „ყვავილი თოვლზე“. ცალი თვალი ფანჯრებისკენ გაგვირბის. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მინდა, თვალი მოვკრა, მეოთხე ბ-ე კლასიდან ერთ მატრაკვეცას. მთელი სხეული, გულის მეთაურობით რომ ამიცეკვა, მაგრამ იმდენ თავში რას გამოარჩევ. აშკარად, ყველა იცინის. ჩავათავეთ მესამე. აქ მაესტრომ ყელი გამოგვიწია, არ გაჩერდეთ, ბარემ ხარჯი-ხარჯიაო და მეოთხეც გავამელოდიურეთ – „მოვდივართ ერთად“.

რა მუსიკაა, შენი სულისა?! სკოლა ბაირამობს. ჩვენი სამადლობელია, რომელსაც ვუძღვნით დარაჯ ლაზარს, შოფერ სედრაქს, პოვარ იაშას და მთელ საბჭოთა კავშირს, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე გადაჭიმულს და გაშლილს.

აი, ბოლო ნოტი ჩავამთავრეთ. ხელები ჩამოვუშვით. აუდიტორიის შეფასებას ველოდებით, მკაცრ კრიტიკოსებს. მეშვიდე ფანჯრიდან, მეექვსე ა კლასიდან, სამჯერ ერთი და იმავე კლასში ჩარჩენილი, ოროსანი ჯანგირას ხმამ დაარღვია სიჩუმე: ვაშა და დიდება! დაფნის გვირგვინი კომუნიზმის მშენებარე ჩვენს სახელოვან მუსიკოსებს. ცოტა ეჭვი შეგვეპარა მის გულწრფელობაში. ჯანგირამ, მგზნებარე სიტყვებს, ტაშიც მოაყოლა. ჯანგირას ტაშს ტაშითვე უპასუხა რომეომ. რომეოს – მალხაზმა, მალხაზს – ბეროკინამ, ბეროკინას – მზიამ, მარინამ და ბაბულიამ. მთელი სკოლა ტაშით გვესალმება. მაესტრომ „ბაბოჩკა“ შეისწორა, რუბიკონი გადალახულიაო. დავცხეთ ისევ, რითიც დავიწყეთ – „ფანფარი“ მარში. მარშის დაკვრით გავეშურეთ სკოლის შენობისკენ. ავედით სამუსიკო ოთახში. ზარიც დაირეკა. ვზივართ. მაესტრო ბოლთასა სცემს, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში ხელების ფშვნეტით გადი-გამოდის, თავისთვის ბუტბუტებს. შემოვიდა დირექტორი. მაესტროს მძიმედ დაუკრა თავი, მოწიწების ნიშნად. ჩვენკენ გამოიხედა, ჰაიტ, მალადეც! მე თქვენ გაჩვენებთ სეირსო. მაესტროს ხელი ჩამოართვა, საქებარი სიტყვები არ დაიშურა, აქო, გვაქო. თქვენი სახით განძი გვაქვსო, მაესტროს ხელი გადახვია მეგობრულად, გასასვლელისკენ გაემართნენ. მაესტრომ გასვლისას გამოგვხედა, რევოლუციონერივით მომუშტული ხელი ასწია, ვივა, კუბაო და დერეფანში გაუჩინარდნენ.

ერთ საათში მაესტრო მასწავლებლების გარემოცვაში დგას, ცხვირაწითლებული, გაღიმებული, გახარებული იღებს მილოცვებს – მორის ნაჭრისგან, ბურატინოების გამოთლას ულოცავენ...

დირექტორის მუქარა, გაჩვენებთ სეირსო, ისე აგიხდეთ, როგორც ჩვენ აგვიხდა. ძნელი, რთული და ეკლიანია, ია-ვარდით არაა მოფენილი შემოქმედის, მუსიკოსის გზა. ეს მძიმე უღელი დავიდგით კისერზე შვიდმა ბავშვმა. ბარიტონი, ვალტორნა, ალტი, თეფშები, კლარნეტი, ბარაბანი, ტრუბა-საყვირი – ჩვენ უნდა ვიხსნათ აწი სკოლის ღირსება და მოვუპოვოთ დაფნის გვირგვინი. ილიჩის თავმოტვლეპილი სიგელები და დიპლომები. წითელი, ხასხასა ვიმპელები... ძნელია, გაუძლო ცდუნებას და არ გაყოყოჩდე.



(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

№ 32 (296)
12 – 18 აგვისტო 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი




### ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჰოლივუდელები და ბოლივუდელები

მსოფლიოში გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემა „ფორბსმა“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელსაც, მესამე წელია, რობერტ დაუნი უმცროსი ლიდერობს. როგორც „ფორბსი“ წერს, 2014 წლის ივნისიდან 2015 წლის ივნისამდე, მსახიობმა 80 მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო.

მდიდართა რეიტინგში მეორე ადგილი ჩინელ მსახიობსა და საბრძოლო ხელოვნების ოსტატ ჯეკი ჩანს ხვდა, რომელმაც ბოლო ერთ წელში, ჰოლივუდურ და ჩინურ ფილმებში მონაწილეობით, 50 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

რეიტინგის მიხედვით, მესამე ადგილზე ვინ დიზელია, რომელმაც 47 მილიონი დოლარი მოაგროვა.

მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობების ათეულში, ასევე, მოხვდნენ: ბრედლი კუპერი (წლიური შემოსავალი 41,5 მილიონი დოლარი); ადამ სენდლერი (წლიური შემოსავალი 41 მილიონი დოლარი); ტომ კრუზი (წლიური შემოსავალი 40 მილიონი დოლარი) და მარკ უოლბერგი (წლიური შემოსავალი 32 მილიონი დოლარი).

„ფორბსმა“ წელს არაჰოლივუდელ მსახიობთა შემოსავლებიც გამოაქვეყნა. შესაბამისად, რეიტინგის ათეულში სამი ბოლივუდელიც მოხვდა: ამიტაბხ ბაჩანია და სალმან ხანის წლიური შემოსავალი 33-33 მილიონი ყოფილა; აკშაი კუმარის კი, — 32 მილიონი.

### 42 წლის ჰაიდი კლუმს 29 წლის მამაკაცი შეუყვარდა

42 წლის სუპერმოდელმა ჰაიდი კლუმმა თავისი ახალი ბოიფრენდის, ვიტო შნაბელის 29-ე დაბადების დღე მზიან სარდინებზე აღნიშნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წყვილის ურთიერთობა დღითიდღე სერიოზულ სახეს იღებს. მეტიც, ჰაიდი საკუთარ ვნებას აღარ მალავს და ვიტოს სიყვარულს საჯარო ადგილებშიც უმტკიცებს.

ისე, უნდა ითქვას, რომ ასაკის მიუხედავად, მოდელი მაინც მაცდურად გამოიყურება.

### ქეთა თოფურია ჰაკერების მახეში გაება

რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი, ქეთა თოფურია, რომელიც ახლახან დედა გახდა, ჰაკერების მახეში გაება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მიკრობლოგი, სადაც პირად ფოტოებს აქვეყნებდა, გატყდა.

„ქეთა თოფურიას ექაუნთი გატეხეს და ვიდრე ყველაფერი გაირკვევა, არ მიაქციოთ ყურადღება უცნაურ პოსტებს“, — დაწერა ქეთამ ინსტაგრამზე.

ჰაკერების მსხვერპლი რუსული ესტრადის კიდევ ერთი წარმომადგენელი, სლავაც გახდა: თაღლითებმა მისი საფოსტო მისამართი გატეხეს და ყველა ექაუნთზე პაროლი შეუცვალეს. უფრო ადრე ინტერნეტ-თაღლითების შეტევამ კი, ოლგა ბუზოვა დააზარალა.

საერთოდ ჰაკერები ვარსკვლავების პირად არქივებს თავს ხშირად ესხმიან. ამ „ტრადიციის“ საფუძვლად კი, ხმაურიანი სკანდალი ითვლება, როცა ჰაკერებმა ინტერნეტში ჯენიფერ ლოურენსის და სხვა ამერიკელი ვარსკვლავების შიშველი ფოტოები გამოაქვეყნეს.

### ენი კრავიცს სცენაზე შარვალი გაეხა

ცნობილ ამერიკელ მომღერალ ლენი კრავიცს სტოკჰოლმში, კონცერტის დროს, შარვალი უხერხულ ადგილას გაეხა, რის გამოც კონცერტი ცოტა ხნით შეაჩერა.

„ბოდიში. შარვალი შუაზე გადამეხა. სხვათა შორის, დღეს ოჯახის დღეა“, — მიმართა მომღერალმა მსმენელს და შარვლის გამოსაცვლელად კულისებში გავიდა.

## არა-ჩვეულებრივი გვერდი



## ჯულია რობერთსმა 13-წლიანი ოჯახი დაანგრია

მსოფლიოში ცნობილი ჰოლივუდელი ჯულია რობერთსი მეუღლეს, ოპერატორ დენი მოდერს, რომელთანაც 13-წლიანი ქორწინება აკავშირებს, ეყრება. განშორების მიზეზად ჯულიას ხასიათი სახელდება.

„დენი გრძნობს, რომ მათი ურთიერთობა პარტნიორული და ღირსეული აღარ არის. ჯულია ძალიან ემოციურია, ხშირად აწყობს სკანდალებს“, — ამბობს წყვილის მეგობარი. ჯულია და დენი 2002 წელს დაქორწინდნენ. 2004 წელს ჰეიზელი და ფინი შეეძინათ. სამი წლის შემდეგ, მსახიობმა მესამე შვილიც გააჩინა, რომელსაც ჰენრი დაარქვეს.

## მერლინ მონროს უნიკალური შიშველი ფოტო იპოვეს

1949 წელს, მსოფლიოს ყველა დროის სექსსიმბოლოდ აღიარებული მერლინ მონრო კალენდრისთვის გაშიშვლდა, რაშიც 50 დოლარი გადაუხადეს. მაშინ მერლინს თითქმის არავინ იცნობდა. მას შემდეგ კი, რაც პოპულარული გახდა, ფოტო „ფლეიბოის“ ყდაზე გამოქვეყნდა. ფოტო, რომელზეც მერლინი ეროტიკულ პოზაშია გამოსახული, რამდენიმე ათეული წელი დაკარგულად ითვლებოდა, ახლა კი, იპოვეს.



## 12 წლის ბრიტანელ გოგონას აინშტაინზე მაღალი IQ აქვს

12 წლის ბრიტანელმა ნიკოლ ბარმა ინტელექტის კოეფიციენტში გამაოგნებელი შედეგი აჩვენა — 162 ქულა აიღო და ფიზიკის თეორიის ფუძემდებელ ალბერტ აინშტაინს, ასევე, თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიზიკოს სტივენ ჰოკინგს ორი ქულით გაუსწრო. შესაბამისად, გოგონა მსოფლიოს ყველაზე ჭკვიანი ადამიანების რიგში მოხვდა. „ის ძალიან შრომისმოყვარეა. გაკვეთილების შემდეგ დამატებით რჩება კლასში და არასოდეს აცდენს სკოლას“, — ამბობს ნიკოლის დედა.

სხვათა შორის, მოზარდი პედიატრობაზე ოცნებობს.

შეგახსენებთ: ზრდასრული ადამიანის საშუალო ინტელექტის კოეფიციენტი 100 ქულაა. 140 ქულაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანი კი, გენიოსად ითვლება. ნიკოლის მამა ასფალტის დამგებად მუშაობს და ამბობს, რომ მისი ქალიშვილით მთელი სამეზობლო ამაყობს. „გავოგნდი, როცა შედეგები შევიტყვე“, — აცხადებს გოგონა.

## ტიმოტიმ ერთი წლის შვილს ძვირადღირებული ავტო აჩუქა

31 წლის რუსმა რეპერმა, ტიმოტიმ სოციალურ ქსელში შვილთან ერთად გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა, რომელიც მერსედესის მარკის ავტომობილშია გადაღებული. მანქანას ოქროსფერი ბაფთა და გასაბერი ბურთები ამშვენებს. „ალისა თემურის ასული თავის ახალ ნივთს ათვალიერებს“, — მიაწერა რეპერმა ფოტოს. შეგახსენებთ, რომ რეპერის ქალიშვილი ერთი წლისაა.




წმინდა ნინოს სახელობის ბოდბის დედათა მონასტერი

## ჯანსულის სიცილნათელები

### ხმა

ვაი, ჩვენდა სავალალოდ,
ველარ ვიტანთ ერთმანეთს,
ახლა ლარიც აღარ ლარობს,
დაემსგავსა ერთ მანეთს.
აღარც მთა და აღარც მდელო,
აღარა გვაქვს ერთობა,
ხმა დაკარგა საქართველომ
და სხვის ხმაზე ერთობა.

### „ნაცებო“!

„ნაცებო“, ხელი არ გვახლოთ,
თუ გაქვთ ნერვები აშლილი,
ივანიშვილმა დაამხო
რეჟიმი სააკაშვილის.

### ქა-ჯო-ბამ გვა-ჯო-ბა

წესად აქვთ ნამუსაყრილებს –
ნათქვამს უთხრიან სამარეს,
თუ რამე წავიშაყირე,
მეორე დღესვე წამართვეს!

### „ფუ-ჩური“

ქართველებო,
ნეტა, როდის მოხვალთ გონს,
თქვენ ნამდვილად
დაემსგავსეთ ურჩხულს,
„ფუ-ჩურიო“, „ფუ-ჩურიო“
რომ ამბობთ,
ნუ აფურთხებთ,
მოაშორეთ „ფუ“ ჩურს.

### გამგებმა გამიგოს

შენ ამბობ, უკეთესია,
მე ვამბობ, უკვე თესლია,
პოლიტიკაში „ბარიგობს“,
ჰოდა, გამგებმა გამიგოს.
გაშორდა ადამ-ევასა,
ყნოსა და „მოტყდა“ წამლიდან,
თბილისი აღარ „ევასა“,
ჰოდა, კიევში წავიდა.
ახლა მერობა აბოდებს,
გადაჰყავთ რომის მერადო,
ჰოლანდიაში ამბობენ,
აღიკვეცება ბერადო.
ისე, ბერობა მერობას
მართლა სჯობია
ბევრადო.




დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024
9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძნიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით